საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №208 (2320) ოთხშაბათი 16 ოქტომბერი, 1996 წელი. ფასი 30 თეთრი. თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისობის წინ



ბავშვთა სურათების გალერეა:

მობრძანდით ჩვენთან!

თბილისის ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა 1968 წლიდან არსებობს. თავდაპირველად კი ჯიმშერ მუჯირმა განათლების სამინისტროსთან შექმნა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო ცენტრი. ეს იყო 1965 წელს. ამ ცენტრის სხვადასხვა განყოფილებებიდან ერთ-ერთი სახვითი ხელოვნების განყოფილება გახლდათ, რომელიც მთელს რესპუბლიკაში აწყობდა გამოფენებს, კონკურსებს, თავისი წვლილი შეჰქონდა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში. ამ საქმისადმი იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ლადო გუდიაშვილმა, უჩა ჯაფარიძემ, ელენე ახვლედიანმა.

ბავშვთა ოლიმპიადებისა და კონკურსების შედეგად დაგროვდა უამრავი ნამუშევარი, რომელიც ცენტრის მცირე კაბინეტში აღარ ეტეოდა. განყოფილების წინაშე დადგა შენობისა და საგამოფენო დარბაზის პრობლემა. 1968 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება დაეარსებინათ ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი. ამისათვის კი საჭირო იყო ცალკე შენობა. 1973 წელს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ზედა სართულზე გაიხსნა პირველი გამოფენა და მუშაობა უფრო საინტერესო გახდა.

1981 წელს თბილისობის დღეებში გალერეა განახლებულ ძველ უბანში გადმოვიდა. სურათების გალერეის ხელმძღვანელს ლია გორგაძეს და მის თანამშრომლებს გამოფენის მოწყობის უფრო მეტი საშუალება მიეცათ.

ამჟამად აქ ფიროსმანის საიუბილეო გამოფენაა. როგორც ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ინფორმაციისა და ორგანიზაციის განყოფილების გამგემ მარინა თაბორიძემ გვითხრა, თბილისობისთვის ახალი ექსპოზიცია მზადდება, მასალები უკვე შემოდის, მიმდინარეობს ნამუშევრების აღრიცხვა და გამოფენისათვის მზადება.

მობრძანდით ჩვენთან, კმაყოფილი დარჩებით!

იზა ჯაჭვაძე.

საქართველოს მხარე კატეგორიულად უარყოფს უსაფუძვლო ბრალდებებს

1996 წლის 10 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგს გაიმართა საქართველოს პარლამენტის სხდომა, რომელზეც განიხილეს აფხაზეთში არსებული კონფლიქტის მოწესრიგებასთან, რუსეთის, როგორც კონფლიქტში შუამავლის სამშვიდობო საქმიანობასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განვითარების მომავალთან დაკავშირებული საკითხები.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში საქართველოს ბრალად ედება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელი კომპლექსის გადასინჯვის მცდელობა და ლაძაბულობის გამოწვევაც კი. საქართველოს მხარე კატეგორიულად უარყოფს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ წაყენებულ ამ უსაფუძვლო ბრალდებებს, რადგან განხილვის მთელი მიმდინარეობა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ საქართველოს სურს გამოძებნოს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის გზები, გულწრფელად შეშფოთებულია ორმხრივი ურთიერთობის განვითარებით და ესწრაფვის, დაძლიოს ამ გზაზე შექმნილი დაბრკოლებები. ამიტომ ანტირუსული კამპანიის შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ლაპარაკი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამასთანავე, არავის არა აქვს უფლება, აუკრძალოს სუვერენული სახელმწიფოს პარლამენტს, საქმიანად განიხილოს საჭირბოროტო პრობლემები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს პარლამენტმა კრიტიკულად შეაფასა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში რუსეთის სამშვიდობო და საშუამავლო საქმიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა რამდენიმე წლის განმავლობაში მოთმინებით და უაღრესად საქმიანი სელისკვეთებით ცდილობს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მიაღწიოს კონფლიქტის მოწესრიგებას და ამისათვის თანახმაა ყოველგვარ დათმობაზე. სავსებით ცხადია, რომ ამ პროცესში რუსეთის აქტიური ხელშეწყობის გარეშე პროგრესის მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია. ამიტომ, ბუნებრივია, პარლამენტის ტრიბუნიდან გამოთქმული უკმაყოფილება იმ ვითარების მიმართ, რომელიც შეიქმნა როგორც მოლაპარაკებაზე, ისე სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების დროს. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ მთელი მოლაპარაკების პროცესი შემოიფარგლა სეპარატისტების დარწმუნების უშედეგო და გაუთავებელი ცდებით. მშვიდობისმყოფელნი კი კარგა ხანია იმ ძალად გადაიქცნენ, რომელიც ძირითადად მხარეთა გამყოფ ხაზს განსაზღვრავს და ამით უთანხმოების მიჩქმალვას უწყობს ხელს.

თუ რაოდენ უშედეგოა ცდები, კეთილგონიერებისაკენ მოვუწოდოთ სეპარატისტებს, კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი გადაწყვეტილებით, მოაწყონ არჩევნები ტერიტორიაზე, სადაც მოხდა ქართული მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა, და ამით დააკანონონ თავიანთი ნამოქმედარის შედეგები. ქართული მხარე სავსებით საფუძვლიანად ელოდა და ელის, რომ რუსეთის მხარე, როგორც შუამავალი, პრინციპულად შეაფასებს სოხუმის ხელისუფალთა ამ პროვოკაციულ განზრახვას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება შეიცავს დასკვნას იმის თაობაზე, რომ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ინტერესებს შეესაბამება იმ პრინციპების განუხრელი დაცვა, რომლებიც ჩამოყალიბებულია მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ჩვენს ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ქართულმა მხარემ, რომელიც სავსებით იზიარებს ასეთ მიდგომას და გულწრფელად სურს განავითაროს უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა რუსეთთან, ესმის რა მასთან სტრატეგიული პარტნიორობის დიდი მნიშვნელობა, უკვე დაამტკიცა ეს ხელშეკრულება და განუხრელად იცავს მას. ამიტომ მხოლოდ სინანულს იწვევს ის, რომ ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მიმართულებებსა და ძირითად პრინციპებს, დღემდე არ არის რატიფიცირებული რუსეთის მიერ.

საქართველოს მხარე, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობა ააგოს თანასწორუფლებიანი, ერთიერთხელსაყრელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის პრინციპების ჭეშმარიტი ერთგულების საფუძველზე, კვლავ გამოხატავს მზადყოფნას, ერთად ეძებონ ასეთი მიდგომის განხორციელების გზები, ამასთან, რუსეთის სრული გაგებისა და თანაზიარობის იმედი აქვს, რაც ცხადყო კიდეც საქართველოს პარლამენტის ცნობილმა გადაწყვეტილებამ.



იმსჯელეს ნავთობსადენის მშენებლობის საკითხზე

15 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ყაზახეთის ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ჟაკ რეტურნე. შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, იმსჯელეს ყაზახეთის რესპუბლიკიდან საქართველოს გავლით ნავთობსადენის მშენებლობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივებზე.

სურათზე: შეხვედრის დროს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უნივერსიტეტი ზეიმობს

15 ოქტომბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. საიუბილეო საღამოს ვრცელ ანგარიშს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

გაიხსნა პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი

15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი. მისი გახსნის პატივი წილად ხვდა საფრანგეთში საქართველოს ეროვნული არქივის კომისიის თავმჯდომარეს, 81 წლის მამია ბერიშვილს.

პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. დარბაზს ამშვენებს პირველი რესპუბლიკის ეროვნული დროშა, გერბი, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ლომთათიძის პორტრეტები.

გუშინვე პარლამენტის შენობის მეორე სართულზე გაიხსნა მემორიალური კუთხე, სადაც მალე დაიდგმება ნოე ჟორდანიას ბიუსტი.

კავკასია: ისტორიისა და დღევანდელობის ასპექტი

მუშაობა დაასრულა საერთაშორისო კონფერენციამ „კავკასია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში“, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავს. მისი მნიშვნელობა გასცდა მხოლოდ მეცნიერების საკითხებს და მოიცვა, უპირველეს ყოვლისა, ისეთი აქტუალური პოლიტიკური ასპექტი, როგორიცაა ერთიანი კავკასია ომების და კონფლიქტების გარეშე.

მრავალი უცხოელი სტუმარი — გამოჩენილი ქართველოლოგი, სწორედ ამ კუთხით დაინტერესდა კავკასიის რეგიონით, მისი პრობლემებით.

მცხეთაში სასულიერო გიმნაზია გაიხსნა

მცხეთის ყოფილ პიონერთა სასახლეში მცხეთობა დღეს მართლმადიდებლური გიმნაზია გაიხსნა: მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური ცენტრი. სიმბოლურად თორმეტმა პირველკლასელმა შეაღო სასწავლებლის კარი. აქ ყოველ წელიწადს თორმეტი მოსწავლის მიღება ტრადიციად დამკვიდრდება. აქვე იმუშავებს საკვირაო სკოლა.

იდეის სულისჩამდგმელნი არიან პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში შალვა ოგბაიძე, დიაკვანი ილია (ნასიძე) და მორწმუნე ნათია ჩარგაზია.

ყოველთა ქართველთა მეორე ფორუმი

1998 წლისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავთან დაკავშირებით, დაგეგმილია ყოველთა ქართველთა მეორე ფორუმის ჩატარება. ამჟამად უკვე შექმნილია საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც მუშაობს აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ახალი ქართული „სტეჩკინი“

იბერიის კორესპონდენტი ირწმუნება, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულმა საკონსტრუქტორო ბიურომ დაამუშავა და შექმნა ქართული ცეცხლსასროლი იარაღის ნიმუში. ეს არის ავტომატური პისტოლეტი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება და სჯაბნის კიდეც ცნობილ „სტეჩკინის პისტოლეტს“. სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, ამ იარაღით მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ეროვნული არმია და პოლიცია.

არძინბა ჩვეულ ამპლუაში

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ და ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ადიღესა და აფხაზეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. არძინბამ აღნიშნული ღონისძიების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აფხაზეთი ორიენტირებულია რუსეთზე.

ინფორმაციები

გათიშე და იბატონე

როგორც იბერიის სააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ ზუგდიდიდან აცნობა, რომ გადაკეტილია ყველა გადასასვლელი ზუგდიდიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ყველა საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მიმდინარეობს მოსახლეობის უკონტროლო და თვითნებური ჩხრეკა.

აფხაზეთის ე. წ. არჩევნების ინიციატორები გალის რაიონში ეძებენ საოლქო და საუბნო კომისიების წევრებს. დღემდე დეპუტატობის კანდიდატებიც ვერ უპოვიათ. „არჩევნების“ ორგანიზატორები ერიდებიან ძალისმიერ მეთოდებს, შანტაჟსა და მუქარას, მოსყიდვას. სოფლებში ხსნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელ პუნქტებს.

დოლარი მიდის და მოდის

თბილისი. 15. (იბერია). სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ 1996 წლის პირველ ნახევარში ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციების გზით, რომლებსაც იგი ახორციელებდა ლარის კურსის შესანარჩუნებლად, დახარჯა თავისი სავალუტო რეზერვებიდან 40 მლნ აშშ დოლარი. სავალუტო რეზერვები კვლავაც არსებობს და კვლავაც ივსება ახალი კრედიტებითა თუ სხვა სახის შემოსავლებით.

ივანე ჯავახიშვილის სულის საცხონებლად

დიდი წინაპრის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი დღეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გუშინ უნივერსიტეტის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში ივანე ჯავახიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომელიც მამა ბასილმა გადაიხადა. ივანე ჯავახიშვილის სულის საცხონებელ პანაშვიდს ესწრებოდნენ და ერთობლივად აღავლინეს ლოცვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, პარლამენტის დეპუტატებმა, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, უცხოელმა სტუმრებმა.

ჩამოინგრა კლდე

14 ოქტომბერს, 14 საათზე ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკაში ჩამოინგრა კლდე.

საუბედუროდ, არის მსხვერპლი. კლდის ჩამონგრევის შედეგად ადგილზე დაიღუპა იქვე მცხოვრები ზაჩო ხეტურიანი, ხოლო ამავე სოფლის ორმა მცხოვრებმა მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, იბერიამ, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

უკანასკნელ საათს

შარიათი რუსეთის ფედერაციის კანონების ადგილს იკავებს

ჩეჩნეთის დაბა ურუს-მარტანი, რომელიც რესპუბლიკის ფორმალურ მეთაურს ზავგაევს ექვემდებარებოდა, დუდაევის მემკვიდრის — იანდარბიევის ხელში გადავიდა და ახლა აქ ამოქმედდა შარიათის კანონები.

დღეს ჩეჩნეთში ჩადის რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე სერგეი ხარლამოვი ხელისუფლების ჩამოყალიბებასთან და მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

დახურული სხდომა სათათბიროში

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გუშინ გაიმართა ჩეჩნეთის საკითხის დახურული მოსმენა. როგორც პროგრამა „ვესტიმ“ გადმოსცა, სხდომა იმდენად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა, რომ პარლამენტის ტუალეტებიც კი ჩაკეტილი იყო. მაგრამ სხდომის შემდეგ დეპუტატებმა განაცხადეს: ჟურნალისტებს მეტი სცოდნიათ, ვიდრე ხელისუფლებასო. ლებედმა დაასახელა გვარები, რომლებიც ყველამ იცოდა, — ესენი არიან შსს მინისტრი კულიკოვი, ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ფორმალური მეთაური ზავგაევი, პრემიერი კოშმანი, გენერალი პულიკოვსკი. ლებედმა მათ ბრალად დასდო გროზნოს ჩაბარება აგვისტოს დღეებში.

სათათბიროს სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა აღშფოთება გამოთქვა უშიშროების საბჭოს მდივნის გამოსვლის ტონის (და არა შინაარსის) გამო.

პარლამენტი

„ბრუნერის საკითხი“ და ახალი კანონები

15 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის მორიგი სხდომა.

ბესარიონ ჯუღელმა, სხვა დეპუტატებმა, შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის უპასუხისმგებლო განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი მხარს უჭერს აფხაზეთში ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს.

გამოითქვა წინადადება, პარლამენტმა გამოუცხადოს უნდობლობა საქართველოში გაეროს მუდმივ წარმომადგენელს. ამასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ედუარდ სურმანიძემ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს სთხოვა, შეისწავლოს ოფიციალური ინფორმაცია და მოახსენოს პარლამენტს.

პარლამენტის თავმჯდომარეს მიულოცეს მემკვიდრის დაბადება. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განიხილა და მიიღო კანონები „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“ და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“. ორივე კანონი 1997 წლიდან ამოქმედდება.

დილის სხდომაზე დეპუტატებმა დაიწყეს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა.

საღამოს სხდომაზე პარლამენტის საგარეო-ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ აფხაზეთთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხის გამო განაცხადა, რომ იგი ტელეფონით სოხუმში დაუკავშირდა თბილისში გაეროს მისიის ხელმძღვანელს ლივიო ბოტას. როგორც ბატონმა ბოტამ განაცხადა, „მას ეჭვი ეპარება, რომ ბრუნერს აღნიშნული განცხადება გაეკეთებინოს“, თუმცა მან კატეგორიულად ვერ უარყო ეს ფაქტი.

საკონსულტაციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა დეპუტატებს მოუწოდა, ფრთხილად მოეპყრან აღნიშნულ ფაქტს, რადგან შეიძლება „ეს იყოს გაეროს როლის დისკრედიტაციის მცდელობა“. კახა ჩიტაიამ დეპუტატთა კორპუსს აცნობა, რომ აღნიშნულ საკითხს დღეს განიხილავენ გაეროს დეპარტამენტში, ნიუ-იორკში. თუკი ბრუნერთან დაკავშირებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, ვიტოვებთ უფლებას, გადავდგათ გარკვეული ნაბიჯი, განაცხადა მან.

„კინოტავრი“ გვეწვია

ვარსკვლავთცვენა თბილისში

გუშინწინ, 14 ოქტომბერს თბილისში დაიწყო რუსეთის ღია ფესტივალის „კინოტავრის“ დღეები. ეფექტური იყო აქცია ფილარმონიის შენობის წინ — რუსი და ქართველი კინომსახიობები ვარსკვლავთა ბილიკის გავლით შედიოდნენ დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც მოგვიანებით „კინოტავრის“ თბილისში გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ვარსკვლავთა ბილიკის ირგვლივ შეკრებილი საზოგადოება ოვაციებით შეხვდა ოლეგ იანკოვსკის, ელდარ შენგელაიას, ნონა მორდიუკოვას, მიხეილ გლუზსკის, სოფიკო ჭიაურელს, ირინა ალფიოროვას, გურამ ფირცხალავას, ტატიანა დოგილევას, გუჯა ბურდულს, ნატალია ფატეევას, გიორგი გეგეჭკორს, ლეილა აბაშიძეს, დოდო ჭიჭინაძეს, ლიანა ასათიანს, გივი ბერიკაშვილს, მედეა ჩახავას, კახი კავსაძეს, კარლო საკანდელიძეს, ზაზა კოლელიშვილს, ნიკოლაი ერიომენკოს, ია ნინიძეს, ბორის წიფურიას, ლუდმილა ხიტიაევას, ანა სამოხინას, მატვეი განაპოლსკის, ალექსანდრ პანკრატოვ-ჩორნის, არკადი ინინს, სპარტაკ მიშულინს, ვიქტორ შენდეროვიჩს, მიხეილ მიშინს, რუდოლფ რუდინს, ნანული სარაჯიშვილს, სოსო ჯაჭველიანს, იგორ ერტენევს და სხვებს.

დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილ კინომოყვარულებს სიტყვით მიმართეს და „კინოტავრის“ თბილისში სტუმრობას გზა დაულოცეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, კინორეჟისორმა ელდარ შენგელაიამ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა და მსახიობმა ოლეგ იანკოვსკიმ. საზეიმო საღამოს, რომელმაც ლამის ოთხ საათს გასტანა, უძღვებოდნენ ტატიანა დოგილევა და მატვეი განაპოლსკი, ისინი სათითაოდ უხმობდნენ სცენაზე რუსული ხელოვნების აღიარებულ ოსტატებს, რომლებიც სიხარულს ვერ ფარავდნენ — ბოლოს და ბოლოს კვლავ რომ ეწვიენენ თბილისს, გაუნელებელი სიყვარულით იხსენებდნენ ჩვენთან გატარებულ დღეებს, ლაპარაკობდნენ იმ აღფრთოვანებაზე, რაც მათთვის განუცდევინებია ქართული კინოს, თეატრისა და სახვითი ხელოვნების ქმნილებებს.

მთელი საღამო ქართული თემების გარშემო ტრიალებდა; გვიქებდნენ სტუმართმოყვარეობას, რაინდობას, გემოვნებას, იუმორს. ბოლო შვიდი, რვა წელიწადი, რაც საქართველოში არ ვყოფილვართ, ძალიან ბევრი დავკარგეთ პიროვნულად და შემოქმედებითადო, — დანანებით ამბობდნენ. სიამოვნებას გამოთქვამდნენ, რომ აწ უკვე ისტორიის კუთვნილებაა ის წლები, როდესაც პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ამდენი ხნით მოგვწყვიტა ერთმანეთს.

მათ მადლიერებით მოიხსენიეს „კინოტავრის“ დღეების თბილისში გამართვის მოთავეები — კინოსტუდია „აისის“ პრეზიდენტი ლევან თუთბერიძე და „კინოტავრის“ გენერალური დირექტორი ლარისა ბლანკი.

საღამოზე მოგონებით გამოვიდა წარმოშობით თბილისელი, აწ გარდაცვლილი ბრწყინვალე კომპოზიტორის, მიქაელ ტარივერდიევის მეუღლე, რომელმაც ისაუბრა იმ სათუთ სიყვარულზე, რომლითაც კომპოზიტორს ქართველები და საქართველო უყვარდა. ტრიო „მერიდიანმა“ შეასრულა ტარივერდიევის სიმღერები კინოფილმებიდან და ქართული „სულიკო“.

მსმენელებს თავიანთი სიმღერებით სიამოვნება მოჰგვარეს ანა სამოხინამ და მარკ რუდინშტეინმა; შესანიშნავი აღმოჩნდა ფრაგმენტები ამ უკანასკნელისადმი (იგი კინოკონცერნ „კინოტავრის“ პრეზიდენტია) მიძღვნილი ფილმიდან, რომელიც ლაღი, მაღალი იუმორით გამოირჩევა.

ზეიმმა სასტუმრო „მეტეხში“ გადაინაცვლა, სადაც გაიმართა [illegible]-შოუ „ხუმრობენ და მღერიან რუსული კინოს მსახიობები“.

თბილისელ მაყურებელს საშუალება ეძლევა ხუთი დღის განმავლობაში კინოთეატრ „ამირანსა“ და „რუსთაველში“ ნახოს ბოლო წლების საუკეთესო რუსული ფილმები, რომლებიც „კინოტავრმა“ გამოავლინა. ეს ფილმებია დიმიტრი ასტრახანის „ყველაფერი კარგად იქნება“, ა. გალინის „კაზანოვას მოსასხამი“, დ. ევსტიგნეევის „ლიმიტა“, ს. გაზაროვის „რევიზორი“, ვ. ხოტინენკოს „მაჰმადიანი“.

კინოფესტივალის ფარგლებში გუშინ დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა იუმორის საღამო „კინოტავრი იცინის“, სადაც რუსმა მსახიობებმა გაიხსენეს თავიანთი ცხოვრებიდან, კინოფილმების გადაღებისას მომხდარი ამბები და კურიოზები.

ამავე დარბაზში 18 ოქტომბერს შედგება „კინოტავრის“ თბილისური დღეების დახურვა, რუსი და ქართველი მსახიობების მონაწილეობით გაიმართება გალა-კონცერტი, რომელიც ხალისიან განწყობილებას გვპირდება.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: ტატიანა ლოგილევას და მატვეი განაპოლსკის „დუეტი“ გახსნის ცერემონიალზე.

დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გადამხდელის უფლებების დაცვა სახელმწიფო ინტერესების დაცვის ტოლფასია

1 ოქტომბერს საქართველოში დაფუძნდა გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირი. არჩეულია კავშირის საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი, თავმჯდომარე და სარევიზიო კომიტეტი. ახლადარჩეულ თავმჯდომარეს თამაზ მალდაკელიძეს პირველი ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენმა კორესპონდენტმა.

პირველი ინტერვიუ

— ბატონო თამაზ, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის დაფუძნებას საზოგადოება, მეწარმეები, მასმედია მოწონებით, იმედიანად შეხვდნენ. ჩვენთვის საინტერესოა, თქვენი, როგორც კავშირის თავმჯდომარის, აზრი საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შესახებ.

— ის, რაც დღეს ხდება, საქართველოში მიმდინარე პროცესების ლოგიკური გაგრძელებაა. რეფორმების თანამიმდევრული განხორციელება, ეკონომიკური ვარდნის შეჩერება, ფულის წარმატებული რეფორმა, კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება, პრივატიზაცია, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, საფინანსო სისტემის რეორგანიზაცია, ენერგეტიკული და სატრანსპორტო დარგების რესტრუქტურიზაცია — აი არსებითი ნაწილი იმისა, რაც კეთდება დღეს.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო არ არსებობს უმეწარმეოდ, იმათ გარეშე, ვინც ქმნის, ვინც ასრულებს, ვინც ემსახურება, ვინც გადასახადის გადამხდელია. სახელმწიფოს ძლიერება სწორედ ამ ფენის ძლიერებაზე, მის გამჭრიახობაზე, მის უნარზე და, თუ გნებავთ, ხანდახან, მის ცბიერებაზეც არის დამოკიდებული. მწარმოებელი სფერო მთლიანი შიდა პროდუქტის ლომის წილს ქმნის. აქედან გამომდინარე, სწორედ მასზე უნდა გაკეთდეს აქცენტები, სწორედ მეწარმეებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა.

მე არც თუ იშვიათად მეკითხებიან (ძირითადად უცხოელები), თუ როგორი გადასახადები გვაქვს, — მკაცრი, ზომიერი, ლიბერალური? სიმართლე გითხრათ, ხშირად ვერ ვპასუხობ და განა იმიტომ, რომ საგადასახადო კანონმდებლობას არ ვიცნობ, არამედ იმიტომ, რომ ამ გადასახადების არსებობის მიზანშეწონილობას და არსს ვერ ვხედავ. გადასახადი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ბერკეტი უნდა იყოს, პირიქით, ხშირად ამ პროცესის დამამუხრუჭებელი ხდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კანონები კი არ ემსახურება ერის სტრატეგიულ ინტერესებს, არამედ ერის ინტერესები — კანონებს, რომლებიც ხშირად მისი ღირსების შემლახავია.

ვიღებთ კანონებს, რომლებიც გადასახადის გადახდას კი არ ემსახურება, არამედ მისი დამალვის, შემცირებისაკენ უბიძგებს მეწარმეს.

თავისთავად მიღებული კანონები არ არის ცუდი, მაგრამ მათ აკლიათ ერთიანობა, აკლიათ ქვეყნის განვითარების ერთიან პროგრამაში ერთობლივად განხილვა, გააზრება გლობალურ ჭრილში, რომელსაც პრეზიდენტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების პროგრამა ითვალისწინებს. ჭრილში, რომელსაც გადასახადის გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმებით აღჭურვის პროცესი ჰქვია.

— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მეწარმე, გადამხდელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილია. ბევრი ხომ სხვაგვარად ფიქრობს...

— ვგონებ, არ არის საჭირო ვიკამათოთ, ვინ უფრო დაუცველია და რატომ. ფაქტია, რომ მეწარმე დაუცველია. საგადასახადო წნეხი, მაკონტროლებელი ორგანოების უთავბოლო შემოწმებები, ქუჩის, ორგანიზებული თუ არაორგანიზებული, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო რეკეტი, რესურსების სიმწირე, დაულაგებელი საკრედიტო ბაზარი, ყოველდღიურად ცვალებადი საკანონმდებლო ბაზა — აი, რამდენი სირთულის წინაშე დგას მეწარმე ყოველდღე...

ჯერჯერობით უძლებს, უძლებს, როგორც გაუძლო საგეგმო ეკონომიკას, კრიმინალების თარეშს. მაგრამ როდემდე გაუძლებს? რა გარანტია გვაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვალცრემლიანი არ მიხურავს საწარმოს კარებს და თავის კაპიტალს, თავის ბიზნესს სადმე არ გაიტანს? დავკარგავთ იმას, რასაც ვერასოდეს ავინაზღაურებთ — ადამიანს, რომელიც მუშაობდა, ქმნიდა პროდუქციას, პირნათელი იყო ბიუჯეტთან; ჩვენ კი ვერ დავაფასეთ, მუშაობის პირობები ვერ შევუქმენით.

— თქვენი კავშირის მსგავსი ორგანიზაციები მრავლად არის საქართველოში. რატომ გახდა აუცილებელი ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება?

— როგორც აღვნიშნე, ბევრი რამ გაკეთებულია, თუმცა, ასევე ბევრია გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას, მაგრამ მეწარმეთა ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დამცველად არავინ გვევლინება. ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დადგა დრო, გვაერთიანოთ მეწარმეთა, ბიზნესმენთა და საერთოდ გადასახადების გადამხდელთა ძალისხმევა, რათა უფრო ეფექტიანი გახდეს მათი უფლება-მოვალეობების რეგულირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის შექმნის აუცილებლობა ჩვენმა დღევანდელმა ცხოვრებამ განაპირობა. შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლებასთან, პარლამენტთან კონსტრუქციული ურთიერთობით შეძლებს დაიცვას გადამხდელის ინტერესები და გაიზიაროს პასუხისმგებლობაც. რა თქმა უნდა, ხელისუფლებასთან იქნება კონსტრუქციული დიალოგი, მაგრამ იქნება დავაც, კამათი, ბრძოლა გადამხდელთა უფლებების დასაცავად.

გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის საინიციატივო ჯგუფის წევრები გაგვაერთიანა ერთმა იდეამ — ჩვენ არ გვინდა ვიყოთ ეკონომიკურად დაუძლურებული სახელმწიფოს მოქალაქეები. ჩვენ გვინდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც სრულიად დაიცავს გადამხდელების, მეწარმეების უფლებებსა და ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ჩვენი კავშირი შეიქმნა არა იმისათვის, რომ გადასახადები დავუმალოთ სახელმწიფოს, პირიქით, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას ფეხზე დადგომაში, გაძლიერებაში. თავის მხრივ, სახელმწიფო უნდა იყოს მეწარმის, გადამხდელის, ბიზნესმენის უპირველესი დამცველი.

გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირი არაპოლიტიკური, არასახელმწიფო, არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციაა. ასეთი ორგანიზაციები მრავლად არის საქართველოში, ახლადშექმნილიც და ძველიც. ჩვენი კავშირი აქტიურად ითანამშრომლებს მათთან საერთო პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, გამოცდილების გაზიარებისა და ხელისუფლებასთან ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით.

— კავშირის დევიზია: უფლება, მოვალეობა, თანხმობა. ლამაზად ჟღერს, მაგრამ რა დგას ამ სიტყვების უკან?

— ჩვენ გვაქვს უფლებები, კონსტიტუციური უფლებები, გვაქვს მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე, თანხმობა კი უფლება-მოვალეობების ცივილური ურთიერთმიმართების წიაღში წარმოიშვა. ჩვენ ვენდობით სახელმწიფოს, რომელიც მშვიდობას, სტაბილურობას და მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას გვპირდება, სახელმწიფოს, რომელიც არ ატყუებს, არ ჰპარავს, არ აკოტრებს სინდისიერ ბიზნესმენს, მეწარმეს და გადამხდელს. ჩვენგან თანხმობა კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენსავე უფლება-მოვალეობების შესრულებაზე თვითონვე ვაგებთ პასუხს.

— კავშირის დამფუძნებელთა კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაკონტროლებელ ორგანოებთან დამოკიდებულების განსაზღვრას. როგორია ამის თაობაზე თქვენი აზრი?

— გადამხდელის უფლებების დაცვაზე ზრუნვა არ გვინდა განვიხილოთ, როგორც ცალკე აღებული საკითხი. ეს არის ეკონომიკური აღმავლობის, სტაბილიზაციის ერთიანი პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კლანურ-მაფიოზური, გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფებები მეწარმეებს აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ და კლავდნენ. მეწარმეს ეშინოდა რაღაცის შექმნა, რადგან საწარმოდან ამოსული კვამლი კრიმინალების ყურადღების არეალში ექცეოდა. ამიტომაც საწარმოები გაჩერებული იყო. ახლა ეს ყველაფერი დამთავრდა და თითქოს მეწარმეს შვებით უნდა ამოესუნთქა, მაგრამ ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, ასეა ჩვენი საქმე. მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლემ მეწარმეებს თავისუფლად საქმიანობის საშუალება არ მისცა. ისინი არ მუშაობენ კოორდინირებულად, შემოწმებებმა პერმანენტული, ხშირად სტიქიური და ქაოსური ხასიათი მიიღო.

რა ახალ ეკონომიკურ მოდელზე, ან თუნდაც პოლიტიკაზეა საუბარი, როცა მეწარმე, გადამხდელი უთავბოლო შემოწმებათა და შემმოწმებელთა მიღება-გასტუმრებით, ახსნა-განმარტებით არის დაკავებული, იგი საქმის ნაცვლად ხშირად მისთვის გაურკვეველი მიზეზებით შემოჭრილი მაკონტროლებლების დაშოშმინებას ანდომებს დროს, ენერგიას, ნიჭს. სანამ არ მოვიშორებთ ამ სენს, არც მეწარმეს ეშველება, არც ბიუჯეტს და არც სახელმწიფოს.

პრობლემა წარმოიქმნება მაშინვე, როცა მაკონტროლებელს არ ჰყოფნის ცოდნა და კვალიფიკაცია შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის რეალური შეფასებისათვის და იწყება დავა, კამათი. ერთ მხარეს სრულიად უუფლებო გადამხდელი დგას, ხოლო მეორე მხარეს კანონის ძალით მოსაუბრე, ამავე კანონით მანიპულირებას მიჩვეული მაკონტროლებელი.

შემმოწმებლის კვალიფიკაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიმაჩნია. ამასთან, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს იმ ორგანოთა ნუსხა, რომლებსაც უფლება აქვთ შეამოწმონ ესა თუ ის საწარმო. უნდა დადგინდეს საწარმოთა ყოველწლიურ შემოწმებათა რაოდენობის ზღვარი, მკაცრად განისაზღვროს მაკონტროლებელ ორგანოთა კოორდინაციისა და ფუნქციების გამიჯვნის საკითხები.

დასამალი როდია, სხვადასხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად პრივატიზებული საწარმოები მაკონტროლებელი ორგანოების ხშირი ვიზიტების გამოც არიან გაჩერებული. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როცა რეკეტს, შავი სამყაროს ზეწოლას გადარჩენილი საწარმოები „უწყებრივი ფეოდალიზმის“ მსხვერპლი ხდებიან.

საქართველოს პრეზიდენტმა ამის გამო მკაცრად მიმართა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებს და აღგვითქვა დახმარება ყველა პრობლემის გადაჭრაში.

— კრებაზე ითქვა საგადასახადო სისტემის გამარტივებაზეც.

— საგადასახადო სისტემის გამარტივება პირველად ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში განახორციელეს და შედეგებიც თვალსაჩინო მიიღეს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში, ბევრ სხვა ქვეყანაში საგადასახადო რეფორმა საგადასახადო სისტემის გამარტივებით დაიწყო. საგადასახადო კოდექსი, რომელზეც დღეს დიდი მუშაობა მიმდინარეობს, ვფიქრობ, უნდა გახდეს ის ამოსავალი წერტილი, ორიენტირი, რომლითაც სახელმწიფომ გონივრული საგადასახადო პოლიტიკა უნდა აწარმოოს.

— ხშირად ბიუჯეტის წინაშე გადამხდელებიც სცოდავენ, შემუშავებული გაქვთ თუ არა პოზიცია მათ მიმართ და, საერთოდ, რისი გაკეთება გსურთ ამ პრობლემის გადასაჭრელად?

— გადამხდელის უფლებების დაცვის პრობლემის საკუთარ თავზე აღება და პასუხისმგებლობა, რომელიც ამ საქმესთან არის დაკავშირებული, მედლის ორივე მხარის აღქმის საშუალებას გვაძლევს. ერთ მხარეზე ჩვენ ვრცლად ვილაპარაკეთ. მედლის მეორე მხარეა გადამხდელის კულტურა. უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, როცა სირცხვილი იქნება გადასახადის დამალვა. კეთილსინდისიერი გადამხდელი არ უნდა დაზარალდეს, ვინც არ იხდის, ის პრივილეგიურ მდგომარეობაში არ უნდა იყოს. გადასახადი ქვეყნის წინაშე უპირველესი ვალდებულების რანგში უნდა ავიყვანოთ. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეამცირებს მათ რიცხვს, ვინც ბიუჯეტს უმალავს კუთვნილ გადასახადს. რა თქმა უნდა, არაკეთილსინდისიერ გადამხდელებს კანონიც მკაცრად მოსთხოვს.

— გადამხდელები სხვა პრობლემებთან ერთად ინფორმაციის ნაკლებობასაც უჩივიან. რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

— გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირს ექნება პრესის მუდმივი ორგანო, ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები, რომლის მეშვეობითაც იგი თითოეულ გადამხდელს მიაწვდის უახლეს ინფორმაციას ნებისმიერი, მისთვის საინტერესო სიახლის შესახებ, გამოუშვებს ბუკლეტებს და ცნობარებს. ერთი სიტყვით, გადამხდელი მიიღებს ინფორმაციას, რომელიც დღეს მას აკლია.

— რას ჰპირდებით გადამხდელებს?

— დაპირებები არ მიყვარს. რაც ვთქვი, ჯერჯერობით სულ ეს არის. საქმე მართლაც ბევრია. გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის წევრებს ექნებათ საქმე, რომელსაც საკუთარ საქმეს დაუძახებენ, რომელიც ეყვარებათ, რომლითაც გამდიდრდებიან კიდეც. ვფიქრობ, შეიქმნება ისეთი გარემო, რომელიც საქართველოს ყველა მცხოვრებლის კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული. ამაში ვხედავთ ჩვენი დაფუძნების მიზანსაც.

ესაუბრა
სოსო ივანიშვილი.

რა შევუნახოთ შვილებს?

ტყე — ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე

1996 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს სატყეო კომპლექსში ხე-ტყის ექსპლუატაციისა და გადამუშავების სრულყოფის საკითხები.

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბივი ჯაფარიძე.

— ქართველ მეტყევეთა დღევანდელ თაობას დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ტყე ქვეყნის სიმდიდრეა და ჩვენგან, მეტყევეებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სამოქმედო პროგრამად დაგვისახა: **„ტყე აღდგენითი რესურსია და ჩვენ გვაქვს საშუალება ეს უზარმაზარი რესურსი ისევ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ“.** როცა ქვეყნის პრეზიდენტი ამას მოგვიწოდებს, განა ჩვენ, მეტყევეებს უფლება გვაქვს ისე არ ვიმუშაოთ, როგორც საჭიროა?

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ნათლად დაგვანახვა ის შეცდომები, რომლებიც წლების განმავლობაში იყო სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის სფეროში. ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შემუშავებასა და განხორციელებას დრო სჭირდება. ისინი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

საქართველო თავისი რთული რელიეფით ისეთი ქვეყანაა, სადაც ტყის საფარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ტყე, ჩემი აზრით, აუცილებლად სახელმწიფო საკუთრება უნდა იყოს, მისი მოვლა, განახლება და ექსპლუატაცია მსოფლიო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

ჩვენში ტყეებს მრავალგვარი სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქცია აკისრია: წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური, საკურორტო-გამაჯანსაღებელი და სხვ.

საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი 2988,4 ათასი ჰექტარია. მათ შორის ტყით დაფარულია 2752,3 ათასი ჰექტარი, ანუ ქვეყნის საერთო ფართობის 39,6 პროცენტი. მერქნის საერთო მარაგი 1996 წლის მონაცემებით — 434,0 მილიონი კუბმეტრია.

საქართველოს ტყეები მრავალფეროვანია, 400-მდე სხვადასხვა ჯიშის ხით და ბუჩქით არის წარმოდგენილი. ძირითადი ფუნქციური მნიშვნელობის მიხედვით გვაქვს: ტყის ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, ახლო და შორეული ზონის საკურორტო, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მწვანე ზონები და დაცვითი საექსპლუატაციო ტყეები, კოლხეთის დაბლობებისა და ჭალის ტყეები... ტყეების უმეტესობა განლაგებულია ზღვის დონიდან 1.000 მეტრზე მაღლა, ხოლო 78 პროცენტი — დიდი დაქანების მთის ფერდობებზე. ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ისეთ მთაგორიან ქვეყანაში, როგორიც ჩვენი სამშობლოა, ტყის რესურსებს გონივრული გამოყენება სჭირდება. ტყის საფარი ხელს უწყობს ისეთ ძირითად დარგებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ჰიდროლოგია, კურორტოლოგია, ტურიზმი და სხვა. არასწორმა სარგებლობამ შეიძლება ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალ და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციების მოშლადაქვეითება გამოიწვიოს, რაც თავისთავად დიდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზიანს მიაყენებს ქვეყანას. ჩვენს მდიდარ ბუნებას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. ის ღრმაშინაარსიანი გაფართოებული სხდომაც სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა.

— ბუნებას რთული კანონები აქვს. ექსპლუატაციით დაშვებული შეცდომების შესახებ მთავრობის სხდომაზე თუ იყო საუბარი?

— რა თქმა უნდა, მეტყევეებისათვის ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია და საკმაოდ მკაცრადაც განიხილეს. საერთოდ, მთის ტყეების ექსპლუატაციის დროს უხეში შეცდომები დაუშვეს, რამაც მათი საერთო მდგომარეობა გააუარესა. ზოგჯერ ჯანსაღი, მაღალხარისხოვანი სამასალე ხეები უმოწყალოდ იჭრებოდა, რამაც შეამცირა მაღალპროდუქტიული კორომების ფართობები. კოლხეთის ტყეების არასწორმა ექსპლუატაციამ ძალზე გაამწვავა ამ ადგილების ეკოლოგიური მდგომარეობა: დაიწყო კოლხეთის დაბლობის მეორადი დაჭაობება.

დაცვითი ღონისძიებების შესუსტებამ, უკანონო ჭრებმა და საქონლის უსისტემო ძოვებამ საგრძნობლად დააზიანა ჭალის ტყეების ბიომრავალფეროვნება. შემცირდა ტყის ძირითადი ჯიშების გავრცელების არეალი. მათი ადგილი დაბალი ღირებულების მქონე ხე-ბუჩქნარებმა დაიკავა, შესაბამისად, გაუჭირდა ფაუნასაც, დეგრადირებულ ადგილებში ტყეების გაფართოებული კვლავწარმოებისა და ფაუნის მომრავლებისათვის საჭიროა დროული სატყეო-სამეურნეო და ბიოტექნიკური ღონისძიებები.

— ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების შემდეგ ტყეებს კერძო მფლობელი ეყოლება თუ კვლავ სახელმწიფოს დაქვემდებარება?

— საქართველოს ტყეების ბატონ-პატრონი, დღეის მდგომარეობით, მხოლოდ სახელმწიფო უნდა იყოს!

— რა მდგომარეობაა ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებში?

— არსებობს საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 7 მარტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო და მუნიციპალური ტყეების შესახებ“, რომლის მიხედვითაც მინისტრთა კაბინეტს დაევალა ტყეების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების ობიექტების ინვენტარიზაცია და ორი თვის ვადაში საკოლმეურნეობათაშორისო და მუნიციპალური ტყეების საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის გამგებლობაში გადმოცემა. მაგრამ დღემდე დადგენილება არ შესრულებულა. უპატრონოდ მიტოვებული ტყის მასივების უმეტესი ნაწილი უკანონო ჭრებმა ძალზე დააზიანა. დღესდღეობით საკოლმეურნეო ტყის 576560 ჰექტარი ფართობიდან გადმოცემულია მხოლოდ 177583 ჰექტარი, ანუ 30,8 პროცენტი.

საჭიროა ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სრული ინვენტარიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს ფართობების დიფერენცირება. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ქვეყანაში შემუშავებული არ არის ტყის ფონდის კადასტრი, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე დონეზე სატყეო მეურნეობის შემდგომი განვითარება. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე სამართლიანად შენიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

— სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მწვავე დეფიციტმა, კანონის უმოქმედობამ, ქაოსმა ტყეების დაცვაზეც იმოქმედა. მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში გაიჩეხა ტყე, ქარსაფარი ზოლი, დაზიანდა კორომები. ცნობილია ხე-ტყის საზღვარგარეთ უკანონო გატანის ფაქტები. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— წლების მანძილზე სატყეო მეურნეობის მოუქნელმა მუშაობამ, უკონტროლობამ, ქაოსმა და განუკითხაობამ, საზღვარგარეთ ხე-ტყის უკანონო გატანამ მკვეთრად გაზარდა ტყეების ჭრა.

ქვეყანა შეშის ანაბარა დარჩა. საჭიროა ენერგო-რესურსების დროული ამოქმედება, ზამთრის სეზონის მზადებისათვის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც პრაქტიკაში დაინერგება. მაშინ ტყეებიც უფრო დაცული იქნება. 1994 წელს სატყეო მეურნეობების მუშაკებმა ტყის უკანონო ჭრის 3020 აქტი შეადგინეს, ხოლო 1995 წელს — 2636 აქტი. გამოვლინდა 47500 კუბმეტრი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე. ამას თუ დავუმატებთ საკოლმეურნეო ტყეებს, ქვეყანაში უკანონო ჭრის ოდენობა გაცილებით მეტი იქნება. რამდენიმე რაიონში, საკოლმეურნეო ტყეების მიღება-ჩაბარების დროს, დაფიქსირდა უკანონოდ მოჭრილი 90.000 კუბმეტრი. იჩეხებოდა ტყე, მაგრამ არ სრულდებოდა ხე-ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებები. სამართალდამცავმა ორგანოებმა ბრაკონიერთა და ტყის რესურსების დამტაცებელთა მიმართ უფრო მეტი კონტროლი უნდა დააწესონ.

საქართველოს სატყეო კომპლექსში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის ცხოვრებაში დასანერგად, ხე-ტყის რესურსების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენების, საბაზრო ეკონომიკის მეთოდების ამოქმედების, მარკეტინგული და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამსახურის შექმნის მიზნით, საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში სატყეო დარგის მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთად ახლა მუშავდება შემდგომი სამოქმედო პროგრამა.

როცა ტყის აღდგენა-განახლებისა და დაცვის საკითხებს ვეხებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად გადაუდებელი საკითხი — ტყის მკურნალობა — ტყეში გავრცელებული საშიში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენმა მეცნიერებმა აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან.

ქვეყნის სატყეო მეურნეობის სისტემას დიდი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია, რომელიც წლების მანძილზე პრაქტიკაში დაინერგა. თბილისის შემოგარენში მშრალ, კლდოვან, ექსტრემალურ პირობებში ტყეების გაშენებისა და გამწვანების გამოცდილება კვლავ უნდა გამოვიყენოთ. ამ გამოცდილებით დაინტერესდა თურქეთი, თურქმენეთი და ირანი.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ინდოეთის, ავსტრიის, იტალიის, უნგრეთის, ისრაელის წარმომადგენლებთან ხე-ტყის დამზადება-გადამუშავების ინვესტიციების მიზიდვის, ერთობლივი საწარმოების შექმნისა და შესაბამისი მექანიზმების შესყიდვისათვის. ტყის დამზადება-გამოზიდვისა და გადამუშავებისათვის საჭიროა მაღალმწარმოებლური იმპორტული დაზგა-დანადგარების შეძენა. საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი წარმოების შექმნისათვის საინტერესოა ავსტრიული ფირმის „კემპინგენის“ წინადადებები, რომლის შესახებაც მოსაზრებანი წარუდგინეთ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას. ვამუშავებთ ტყის კოდექსის ახალ ვარიანტს, რომლის მიღების შემდეგ ჩვენი ტყეების სასარგებლოდ ბევრი რამის გაკეთება იქნება შესაძლებელი.

დღეს ყველას გვიჭირს, მაგრამ საჭიროა ჩვენი სიმდიდრის — ტყეების მიზანმიმართულად, გონივრულად და გეგმაზომიერად გამოყენება, ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება, ტყის მოვლითი ჭრების სრულად წარმოება და მთავარი სარგებლობის — ტყეკაფების ფონდების ათვისება. ხე-ტყის პროდუქციის სრულ რეალიზაციას ძირითადში უნდა აწარმოებდნენ სატყეო მეურნეობების სახელმწიფო ორგანიზაციები სატყეო ვაჭრობათა, აუქციონებისა და ბირჟების მეშვეობით.

ჩვენი დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი მტკივნეული საკითხი ტყეების კვლავწარმოება და დაცვაა. მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკაში აპრობირებული დიფერენცირებული ტექნოლოგიის გამოყენებით ტყის დაზიანებული ადგილების, დაბალი ღირსებისა და დაბალი სიხშირის ტყეების აღდგენასა და მათი პროდუქტიულობის ზრდას მომავალში უდიდეს ყურადღებას დავუთმობთ. ტყის ძვირფასი სახეობების, სწრაფმზარდი, ნაყოფმომცემი ჯიშების განახლება-გაშენება ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით და ადგილის შერჩევით მოხდება. გაშენდება თუთა, დაფნა, აკაცია, თხილი, ხილკენკროვანი თუ სამკურნალო მცენარეები, ცელულოზა-ქაღალდის საწარმოებლად — ვერხვი, ხოლო დეკორატიული ნაწარმის, ავეჯის, სპორტული ინვენტარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად — ბამბუკი. დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან ადგილებში — ევკალიპტი, კანადური და ბალზამური ვერხვი, ხოლო მდინარე ალაზნის ნაპირებზე თხელნაჭუჭა პეკანი გაშენდება.

საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დავალებით მუშავდება კაკლნარის განაშენიანების გაფართოებული პროგრამა. საკუთარფესვიანი, სელექციური კაკლის ნერგებისა და ნამყენი კაკლის ჯიშების გამოყვანის კვალობაზე შესაძლებელია ყოველწლიურად ქვეყნის მასშტაბით 50-60 ჰექტარზე გაშენდეს სამრეწველო კაკლის პლანტაციები. ეს ჩამონათვალი ჩვენი მუშაობის ის მცირედი ნაწილია, რომელსაც ახლო მომავალში პრაქტიკაში დავნერგავთ.

დღეს მეტყევეებს დიდი მისია დაგვეკისრა. პრეზიდენტმა და პარლამენტმა ნდობა გამოგვიცხადეს. ეს ნდობა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს... სატყეო მეურნეობის სისტემაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ესაუბრა
ცისანა სიხარულიძე.



კრიპტომერიის კულტურა, რომელიც ქობულეთის რაიონში 1956-57 წლებშია გაშენებული.

ხეებს ჭრიან, ტყეებს აშენებენ

თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე, ქსიისის მთის მშვენიერ სანახებში, ზღვის დონიდან 1800 მეტრზე თავდება ტყის უზარმაზარი მასივი, რომელიც კასპის სატყეო მეურნეობას ეკუთვნის.

მეურნეობის დირექტორის ზაქრო ფუღაძის სამუშაო ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— აი, ვლადიმერ ხეჩიკაშვილი, წეღან რომ გიამბეთ...

დირექტორმა კი მიამბო, თუ როგორ ჭირდა მარტო ტყისა კი არა, საკუთარი თავის დაცვაც ამ რამდენიმე წლის წინ ბრაკონიერებისაგან თუ სხვადასხვა ჯურის უსაქმურთაგან.

ვლადიმერ ხეჩიკაშვილს, ხოვლეს სატყეო უბნის უფროსს, ოთხი წლის წინ ტყეში გვარდიელები შემოეჭყარნენ, სასამსახურო თოფი წაართვეს, — ამ ტყეს შენზე უკეთესად მოვუვლითო, აქედან მოუსვი. ერთი-ორიც უთავაზეს და გამოუშვეს. და გაჰქონდა იმ დღეებში ტყეს ბაგაბუგი, თოფებისა და ავტომატების ჯერი ენაცვლებოდა ერთმანეთს, უმოწყალოდ ხოცავდნენ ნადირს, ჭრიდნენ ხეებს, ანადგურებდნენ ბუნებას.

სწორედ იმ წლებში იყო, ტყეებს რომ ულმერთოდ ჩეხავდნენ. თუმცა, არც შემდგომში დაუკლიათ ხელი. ხოვლეს სატყეოში, სოფელ ზენაკრისის შორიახლო მუხისა და რცხილის შეიდჰექტარიანი ფართობი გაამეჩხერეს, მეტეხის ჭალაში განადგურებულია ხელოვნურად გაშენებული (!) 15 ჰექტარი ვერხვის კორომი.

უნებართვო ჭრა გრძელდება. წელს, ტყის წესების დარღვევისათვის 25 აქტია შედგენილი 147 კუბმეტრ უნებართვოდ მოჭრილ ხე-ტყეზე. რა თქმა უნდა, კასპელ მეტყევეებს ეკოლოგიური პოლიციაც გვერდით რომ ედგას, შედეგები უკეთესი ექნებოდათ.

ახლა, როცა ზამთარი არც ისე შორსაა, ბრაკონიერებმა გაააქტიურეს „მოღვაწეობა“. გახშირდა ტყეში ხელეჩოებითა და წალდებით რაგინდარა ხალხის ტორიალი. მეურნეობაც, თავის მხრივ, ტყის დაცვის უფრო ეფექტურ მეთოდებზე გადავიდა: რკონის, ახალქალაქისა და კავთისხევის უბნებზე ხერგილები აღმართეს და საიმედო ხალხიც დააყენეს.

წლის ბოლომდე სატყეო მეურნეობამ 5 000 კუბმეტრი შეშა უნდა დაამზადოს. აქედან 4000 — მოვლითი ჭრების შედეგად. 700 კუბმეტრი უკვე გაუგზავნეს რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებს შეღავათიან ფასებში, ლტოლვილებზე კი 200 კუბმეტრი გასცეს.

თუმცა მეურნეობის ტყის მასივები 24 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავს, მაგრამ მისი შემდგომი აღდგენა-განახლება მაინც გეგმიურად მიმდინარეობს. წლეულს გაზაფხულზე 10 ჰექტარი გაშენდა, ზამთრისპირზე სოფლებთან მიმდებარე ტყეების აღსადგენად ფანქრული წესით დამატებით 20 ჰექტარი გაშენდება.

წამოსვლისას კასპელმა მეტყევეებმა თავიანთი ჩანაფიქრი გამიმხილეს და თუ ის ცოცხლად საქმედ იქცა, სასიკეთოდ წაადგება მეურნეობის ეკონომიკას. ახლა ქვეყანა დაწყნარდა, იარაღიანი მოთარეშეები აღაგმეს, შიშიანობა გაქრა და მეტყევეებმაც გადაწყვიტეს მეცხოველეობა აალორძინონ. რკონის სათიბებზე უკვე გათიბეს ათი ტონა ბუნებრივი ბალახი, დაწნეხეს კიდეც. ახლა ხე-ტყეზე გავცვლით 100 სული ცხვრის შემოყვანას აპირებენ, რომელიც სამი-ოთხი წლის შემდეგ 700-სულიან ფარად უნდა გადაიქცეს. თუ გაამართლა, მერე მეცხოველეობაზეც იფიქრებენ...

თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ანგარიში და ვარაუდია. ჯერ მხოლოდ იძახიან, ვნახოთ, რა ძალა შესწევთ საამისოდ.

გურამ ჭაშაკიძე,
„სრ“ საკ. კ

იჩქარეთ, ბიზნესმენებო!

ევროპარტნერიატი იტალიაში გეპატიჟებათ

ახლა საქმიან წრეებში ხშირად გავიგონებთ — უინვესტიციოდ ფეხზე დადგომა გაგვიძნელდებაო. დახმარება განსაკუთრებით კერძო სექტორს სჭირდება, მას, ვინც პირველად მოჰკიდა ბიზნესს ხელი და ჯერაც კარგად ვერ გარკვეულა მის სიავკარგეში. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები მზრუნველობას არ გვაკლებენ.

ევროპარტნერიატის პროგრამა, რომელიც ევროკომისიამ 1987 წელს შეიმუშავა, მისი რეგიონული და ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი იმისთვის ჩაიფიქრეს, რომ განვითარებად, ჩამორჩენილ ქვეყნებს დახმარებოდნენ და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოები ამ ქვეყნების საწარმოებთან დაეკავშირებინათ.

ამგვარმა ღონისძიებებმა კეთილი ნაყოფი გამოიღო. ევროპის კომპანიათა წარმომადგენლებს წელიწადში ორჯერ იწვევენ ევროპარტნერიატის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ პარტნიორებს მასპინძელი და მოწვეული ქვეყნებიდან. ამჟამად ევროპარტნერიატის ღონისძიებაში მონაწილე ქვეყნების რიცხვმა 60-ს მიაღწია. დაინტერესებული შეხვდებიან ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, ხმელთაშუა ზღვისა და აზიის ქვეყნების, დსთ-ს ქვეყნების და მონღოლეთის, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, აგრეთვე ისლანდიის, ნორვეგიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებს.

ამგვარი ურთიერთობა, საქმიანი დამეგობრება მართლაც დიდ შესაძლებლობებს იძლევა. 1995-1996 წლებში გერმანიაში, პორტუგალიასა და შვეიცარიაში გამართულ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 46 ქართველმა ბიზნესმენმა, აქედან ოთხმა დიდ წარმატებასაც მიაღწია. მორიგი ევროპარტნერიატის ღონისძიება ჩატარდება გენუაში (იტალია) 1996 წლის 27-29 ნოემბერს. ჩვენი ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის მიმდევართ დიდი შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებაში, დაამყარონ საქმიანი კონტაქტები იტალიის 400-ზე მეტ კომპანიასთან, აგრეთვე შეხვდნენ ფირმების წარმომადგენლებს სხვა მონაწილე ქვეყნებიდან ეკონომიკის თითქმის ყველა დარგიდან.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ამ დღეებში ევროკომისიაში ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართეს ბიზნესკომუნიკაციების ცენტრის (ევროკავშირის ტასისის პროგრამაში მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოთათვის) დირექტორმა ლაშა კუხალაშვილმა და ევროკომისიის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ჟერომ კასიერსმა. მათ უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს. ითქვა, რომ ეს ღონისძიება დიდად დაეხმარება ბიზნესმენებს უკეთ მუშაობაში. ოღონდ შეხვედრაში მონაწილე ბიზნესმენი ისეთი საწარმოდან ან ფირმიდან უნდა იყოს, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 500 კაცს არ აღემატება.

ამჟამად ამ საინტერესო შეხვედრაში მონაწილეობა წარმოების სექტორში მომუშავე 15 ქართველს შეუძლია, ბიზნესმენებმა 15 ოქტომბრამდე უნდა მიაკითხონ ბიზნესკომუნიკაციის ცენტრს (კოსტავას ქ. № 47), სადაც ისინი შეავსებენ კითხვარებს და გაეცნობიან კატალოგს. წინასწარ შევსებული განაცხადების საფუძველზე ორგანიზატორები მოუმზადებენ განრიგს დაახლოებით 30 საქმიანი შეხვედრისათვის. ჩვენგან 15-ივე მონაწილე ბიზნესმენის მგზავრობის ხარჯები საქართველოსათვის განკუთვნილი ტექნიკური დახმარების პროგრამის (ტასის) სახსრებიდან დაიფარება.

მაინც რა შეიძლება მოგვიტანოს ამგვარმა შეხვედრებმა?

ამ კითხვას ლაშა კუხალეიშვილმა ასეთი პასუხი გასცა: წინა სამი ევროპარტნერიატის გამოცდილებიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ღონისძიება ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანია საქართველოს ფირმებისა და საწარმოებისათვის, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა პირადი კონტაქტები შესაძლო პარტნიორთან ან ინვესტორთან ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მომავალი ბიზნესის წარმატებით წარმართვაში. ასე რომ, ნოემბერში იტალია 4000 საქმიან ბიზნესმენს ელოდება, მუშაობა ორ დღეს გაგრძელდება.

მოსკოვიც ემზადება მასპინძლობისათვის, შემდგომი შეხვედრა „დსთ-პარტნერიატი, მოსკოვი-97“ — გაიმართება მომავალი წლის 20-21 თებერვალს. მასში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის 150 კომპანია, 700-მდე საწარმო რუსეთის 13 ეკონომიკური რეგიონიდან, დსთ-ს ქვეყნებიდან, მონღოლეთიდან და ევროკავშირიდან. „დსთ-პარტნერიატი, მოსკოვი-97“ პირველი ღონისძიებაა, რომელიც დსთ-ს ქვეყნებში ჩატარდება.

ამ შეხვედრის ძირითადი მიზანიც იგივე რჩება — სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებს შორის მჭიდრო, საქმიანი თანამშრომლობის, სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების დამყარებისათვის საჭირო დახმარება. იჩქარეთ, ქართველო ბიზნესმენებო, იქნებ ბედმა გაგიღიმოთ და საინტერესო, სასარგებლო საქმეში ჩაებათ.

ლალი ქინქლაძე.



გზა, რომელზეც ყველა ერთად მივდივართ

„დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოსთვის, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში ხდება ისტორიული კანონზომიერების აღდგენა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაღიარებთ, რომ დღევანდელი ქართული დემოკრატია ეფუძნება იმ პრინციპს, საზრდოობს ფესვებით, რომლებიც მომდინარეობს იმ ადამიანების მიერ შექმნილი ტრადიციებისგან, რომელთა პორტრეტებიც ამშვენებს ამ დარბაზს. ჩვენ გვეამაყება, რომ ქართველებს შეგვიძლია წარმოვთქვათ — პირველი ქართული რესპუბლიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული დემოკრატიის არსებობას მსოფლიოს სხვა დემოკრატიებს შორის. სამწუხაროდ, პირველი დემოკრატიის ბედი ძალზე ტრაგიკული იყო. ჩვენ დღეს დარწმუნებული ვართ, რომ ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიან დემოკრატიას, სახელმწიფოს ვქმნით, მაგრამ ჩვენი მომავალი წარმატებები და წინსვლა წარმოუდგენელი იქნებოდა იმის გარეშე, რომ პატივი არ მივაგოთ ადამიანებისთვის, ვინც დიდებულად გაიარა გზა, რომელ გზაზეც ჩვენ ყველა მივდივართ".

ზურაბ ჟვანია.

15 ოქტომბერს პარლამენტში საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზის გახსნისას წარმოთქმული სიტყვიდან.

სემინარი

ადგილობრივი ხელისუფლების მოდელების თაობაზე

ქუთაისში, ფოთსა და გორში გაიმართა ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისა და საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის ერთობლივი სემინარი, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო მოსმენებს ადგილობრივი ხელისუფლების მოდელების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობა დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომელშიც ვერ მოხერხდა განსაზღვრულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა. ამ ვაკუუმის შევსებად დღეისათვის პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციაზე საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ და კანონებზე ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის წესს, მათ სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, მათი უფლებამოსილების განხორციელების სახელმწიფო გარანტიებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ეს არის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულების მცხოვრებნი თავად, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად აწესრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ცხადია კანონის ფარგლებში და სახელმწიფო ინტერესების შეუბლავად. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც ხალხისთვის ხელმისაწვდომს ხდის ქვეყნის მართვას და ასწავლის თავისი უფლებების გამოყენებას. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ყველგან ერთი არ არის. იგი დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ტრადიციებზე. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობის ყველანაირ სისტემას აქვს ერთი საერთო ნიშანი — ეს არის თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა წარმომადგენლობითობის, არჩევითობის პრინციპის საფუძველზე და არჩევნების ჩატარება პერიოდულად, კანონით განსაზღვრულ ვადებში. სემინარში კი, რომელიც მიზნად ისახავდა გასცნობოდა მოსახლეობის აზრს, თუ თვითმმართველობის როგორი სისტემა იქნებოდა ოპტიმალური საქართველოსთვის, მონაწილეობდნენ თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის წევრები ვანო ხუხუნაიშვილი, პაატა ჩეკურიშვილი, თეიმურაზ ანდრიაძე, კოტე მგალობლიშვილი, კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ბოლქვაძე. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები დარიუს ელისი, ექსპერტები უოლი როჯერსი და იოჰან ჰემელსი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

უცხოელმა სტუმრებმა დამსწრეთ გაუზიარეს ამერიკისა და ევროპის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, ისაუბრეს ადგილობრივი ბიუჯეტისა და ხელისუფლების ფინანსირების საკითხებზე, აუდიტორული საქმიანობის, ადგილობრივი და დამატებითი, ადგილობრივი, რეგიონული და სახელმწიფო აღმასრულებელ და კანონმდებელ ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე, ხელისუფლების დელეგირების მექანიზმზე, იმსჯელეს დეცენტრალიზაციის საკითხებზე, ხელისუფლების დონეებს შორის ურთიერთობებზე, მათ მოწყობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უმთავრესი ფუნქციებია ბიუჯეტის დამტკიცება, მის შესრულებაზე კონტროლი, კანონით მინიჭებულ ფარგლებში ნორმატიული აქტების მიღება.

ადგილობრივი თვითმმართველობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად პარლამენტში უკვე დიდი ხანია დაიწყო მსჯელობა, არსებობს კანონპროექტის რამდენიმე ვარიანტი განსახილველად შემოსული იუსტიციის სამინისტროდან და სახელმწიფო კანცელარიიდან.

როგორც უცხოელმა სტუმრებმა სემინარის დასასრულს აღნიშნეს, არ არსებობს ქვეყნის მართვის იდეალური მოდელი, იგი პრაქტიკიდან გამომდინარე თანდათან დაიხვეწება. ამას დრო სჭირდება სტრუქტურული გარდაქმნების ჩასატარებლად და სათანადო კადრების მოსამზადებლად, ამიტომ არსებულიდან საბოლოო მდგომარეობამდე გადასვლა თანდათანობით უნდა მოხდეს, დინჯად, მაგრამ დაუყოვნებლად.

თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი კონცეფციას საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის შეჯერებულ ვარიანტს მიმდინარე წლის საშემოდგომო სესიაზე გაიტანს განსახილველად. ამავე პერიოდში ნავარაუდევია ქალაქ თბილისის სტატუსის შესახებ კანონპროექტის განხილვა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ კანონპროექტს პარლამენტი მომავალ წელს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს, არჩევნები კი სავარაუდოდ 1997 წელს, არა უგვიანეს ოქტომბრისა ჩატარდება.

სემინარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა.

პარლამენტის პრესსამსახური

ფრაქციის ლიდერი

თუ ვიჩქარებთ, რასაც გვაქვს ისიც ხელში შემოგვადნება

შალვა ნათელაშვილი — დაიბადა 1958 წელს დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში.

1981 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1989 წელს მოსკოვში დაამთავრა დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა. მუშაობდა პროკურატურაში გამომძიებლად, პროკურორად, უფროს პროკურორად, პარტიული კომიტეტის მდივნად, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსად, საქართველოს წინა პარლამენტში იყო იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ამჟამად საპარლამენტო ფრაქცია „ამომრჩევლის" თავმჯდომარეა, არის პარლამენტის ბიუროს წევრი, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

წინა პარლამენტში, ოცდაექვსი პარტიის ხელში ყველას კარგად გვახსოვს როგორ ჭირდა კანონის გატანა. ეს ახლა გადის კანონი ხრიალ-ხრიალით, თორემ მაშინ ერთი მძიმის გამო სამდღიანი კამათი შეიძლებოდა გამართულიყო. იფიქრა, იფიქრა შალვა ნათელაშვილმა და ნახა მაშინ საშველი: ზოგიერთი პარტიისათვის რომ ესიამოვნებინა, საგანგებოდ ჩაწერდა კანონპროექტში ისეთ სისულელეს, რომელსაც აუცილებლად „ჩაავლებდნენ" და დაუყოვნებლივ ამოღებას მოსთხოვდნენ. „შეცდომის დამჭერს" სახალხოდ მადლობას უცხადებდნენ. მოკლედ, საქმეს ეშველა. ორივე მხარე აღფრთოვანებული იყო თავისი საზრიანობით.

დგას ერთხელ პარლამენტის ფოიეში შალვა ნათელაშვილი და დეპუტატებთან საუბრობს. ზურგიდან მზერა იგრძნო. მოიხედა — ჩვენი სახელოვანი კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე მისჩერებია. ბატონი თენგიზი ახლოს მივიდა და უთხრა, ახალი ფილმის გადაღებას ვაპირებ, მთავარი როლი უნდა შემოგთავაზოო.

— კი ბატონო თენგიზ, რა თქმა უნდა, როგორ გეკადრებათო, — უპასუხა მოულოდნელობისგან დაბნეულმა შალვა ნათელაშვილმა:

სამწუხაროდ, თენგიზ აბულაძემ ვერ მოასწრო ჩაფიქრებული ფილმის გადაღება, რომ მოესწრო, ვინ იცის, შალვა ნათელაშვილი იქნებ სახელოვანი მსახიობი გამხდარიყო. აკი ამბობენ, თენგიზ აბულაძე არჩევანში არასოდეს ცდებოდაო.

მგონი ამაზე ცოტათი გული წყდება. არა, კი არაფერი უთქვამს, უბრალოდ ასე ვფიქრობ. მე, ალბათ, დამენანებოდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც ნანობს, ისეთი აღტაცებით საუბრობს თავის საქმეზე, არ შეიძლება გულით არ უყვარდეს.

მაშ ასე, გვესაუბრება შალვა ნათელაშვილი, ფრაქცია „ამომრჩევლის" თავმჯდომარე:

— ჩვენი ფრაქცია წლეულს, გაზაფხულზე შეიქმნა. იგი აერთიანებს მაჟორიტარ დეპუტატებს, როგორც პარტიულს, ისე არაპარტიულს. ცენტრისტული მიმართულებისაა. ძირითადი აქცენტი გადატანილი გვაქვს სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, ვინაიდან ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის სტრატეგიული ხაზი ამ მიმართულებით გადის.

აუცილებლად მიგვაჩნია უშუალოდ სოფლებში და ქალაქებში ხალხთან მუშაობა. ვთვლით, რომ მაჟორიტარი დეპუტატების პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე ლეგიტიმურობის ხარისხით ბევრად მაღალია, ვიდრე პარტიული სიით არჩეული დეპუტატებისა, რომლებმაც ეს სტატუსი მიიღეს პრეზიდენტის ფაქტორის გამოყენებით და მთელი სახელმწიფო მანქანის დახმარებით. მოქალაქეთა კავშირს, ვგულისხმობ: მათ, თვითონაც რომ არ ელოდნენ, იმდენი ხმა მიიღეს.

— მოქალაქეთა კავშირს თქვენ არაერთხელ „გაჰკარით კბილი"...

— ვისაც ეს ეხება, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ მომავალში პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები არასოდეს არ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს.

რაც შეეხება ჩვენს ფრაქციას, აქ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან არიან დეპუტატები — ილია ხუციშვილი, ვახტანგ გოგუაძე, გივი ზაუტაშვილი, ვალერი გიორგობიანი, გივი გერიტიშვილი, ივერი ქელიძე, მიხეილ ოსაძე, თამაზ დაუშვილი, გიორგი ბიჭაშვილი... ეს ის ხალხია, რომლებიც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სახელმწიფო მუშაობის პრაქტიკით მოვიდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

— რა მიზანს ისახავს საქართველოს „ლეიბორისტული პარტია", რატომ არ დაარქვით მას, უბრალოდ, „შრომის პარტია". უცხო სიტყვა ეფექტისათვის გინდოდათ?

— საქართველოს ლეიბორისტული პარტიის შექმნა უდიდესი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აზროვნების განვითარების გზაზე. ეს გახლავთ პარტია, რომელიც რეფორმატორული პოლიტიკის გზით ახორციელებს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც სახელმწიფოს არსებობის საფუძველი უნდა იყოს. იცავს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, საშუალო და წვრილი ბიზნესმენების, აგრეთვე, უმუშევრების ინტერესებსა და ეყრდნობა მსოფლიო ლეიბორიზმის უდიდეს გამოცდილებას. ამის ბრწყინვალე მაგალითია ინგლისი, ავსტრალია, მალტა, ახალი ზელანდია, სადაც ლეიბორისტები არიან ან წლების განმავლობაში იყვნენ მმართველი პარტიის როლში და შეძლეს დასახული მიზნების შესრულება. რაღა ჩვენ მოგვეცარება ხელი?

რაც შეეხება პარტიის სახელწოდებას, ზოგიერთები მართლაც გვაფრთხილებდნენ, უცხო სიტყვაა და ხალხი ვერ დაიმახსოვრებსო. ვერ დავიჯერებთ, ჩვენი ხალხი ასეთი უნიჭო არ არის. თუ ვინმე ვერ დაიმახსოვრებს, დაიმახსოვროს სიტყვა „ლეიბზე". მაგრამ ეს ისეთი ლეიბი იქნება, სადაც ადამიანი თავისუფლად მოისვენებს და პროკრუსტეს სარეცელივით, თუ გრძელი იქნა, ფეხებს არ მოაჭრიან და თუ მოკლე, არ დაუგრძელებენ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალში თქვენი პარტია მმართველი ძალა გახდება?

— რასაკვირველია. და ეს მოხდება ხალხის გულწრფელი მხარდაჭერით. ჩვენ შევარჩევთ ღირსეულ კადრებს სახელმწიფო თანამდებობაზე, საქმით შევებრძოლებით კორუფციას, ანტიეროვნულობას, აქცენტს გავამახვილებთ საკუთარი ეკონომიკის განვითარებაზე, იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქე, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ სახელმწიფოსაგან თავს დაცულად გრძნობდეს.

— მგონი ახალს არაფერს ამბობთ. ასეთი მიზანი სხვებსაც აქვთ. კერძოდ, რით განსხვავდებით სოციალური პარტიისაგან?

— ჩვენს მსგავსებაში გასაკვირი არაფერია. ლეიბორიზმი სოცინტერნის წევრია. ევროპის ქვეყნებში სამი-ოთხია ერთი მიმართულების პარტია. ამის ზედა ზღვარი არავის დაუდგენია. ჩვენ ვითანამშრომლებთ ერთმანეთთან, ამ ძალებს მოკავშირე ძალებად მივიჩნევთ, მაგრამ სოციალურ პოლიტიკაში ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ ეროვნულ, ტრადიციულ, კარგი გაგებით კონსერვატორულ პრინციპთა დაცვას. მაგალითად, ინგლისელი ლეიბორისტები ევროგაერთიანებაში ინგლისის მჭიდრო ინტეგრაციის მომხრენი არ არიან. უფრთხილდებიან თავისი ქვეყნის სუვერენიტეტის მაღალ კოეფიციენტს. ჩვენც იმ პრინციპით ვხელმძღვანელობთ, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროგაერთიანებაში, ასევე, დსთ-ში — აქტუალურია, მაგრამ უნდა არსებობდეს, ზომა და სტანდარტი, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ, ან ვერ გადავაბიჯებთ. მაგალითად, ევროგაერთიანებაში რომ წევრად შევიდეთ, ამისათვის უნდა გავაუქმოთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა, რაც გამოიწვევს საქართველოში ლინჩის წესით მასობრივ ურთიერთანგარიშსწორებას. ეს ხომ ფაქტია.

ასევე, ევროპული კოეფიციენტით ერთი პატიმრის შენახვაზე დღეში ათი დოლარი მაინც უნდა დაიხარჯოს, მაშინ როცა ჩვენთან ექვსი-შვიდი ლარია ხელფასი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საერთოდ უხელფასოდაა. პატიმრისთვის ასეთი კარგი პირობები რომ შევქმნათ, ჩემი ჩათვლით ყველა ციხისკენ გაიქცევა. ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის მომავალში, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი ხალხის ტოლერანტობის გათვალისწინებით, იდეალური იქნება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი, რომელსაც აღიარებენ გაერო და ჩვენი დიდი მეზობლები. მაგრამ მანამდე ჩვენც უნდა გავიზარდოთ და ჩვენი მეზობლების აზროვნებაც. ამისათვის კი დროა საჭირო, ხოლო თუ ვიჩქარებთ, არსებული სტატუსიც ხელში შემოგვადნება.

მზია გელენავა

ინფორმაცია

ყურადღება კახეთს

პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა კახეთის რაიონების გამგებლებს. ისაუბრეს რეგიონში შექმნილ რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე. კახეთის ზონა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აგრარული ზონა, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. სტიქიურმა უბედურებებმა, თუ ფინანსურმა სიძნელეებმა მოსავალს დიდი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ კახეთის რეგიონში, საქართველოს სხვა რაიონებშიც.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, კახეთის მაჟორიტარმა დეპუტატებმა, პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკისა და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ საკითხის მიმართ და უახლოეს პერიოდში სათანადო შესწავლის შემდგომ განსახილველად წარადგინონ გაფართოებულ თათბირზე.

თანამშრომლობის პერსპექტივებზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსი პოდბერიოზკინი.

შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილე ლივიუ ბოტა.

ბატონმა ლივიუ ბოტამ პარლამენტის თავმჯდომარეს გააცნო დღეს აფხაზეთში არსებული ვითარება.

ისაუბრეს კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივებზე. აღინიშნა, რომ უნდა გააქტიურდეს სამშვიდობო ძალების საერთაშორისო ორგანიზაციათა როლი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

პრობლემებს შეისწავლიან და დაეხმარებიან

პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა საქართველოს მხატვართა კავშირის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე ისაუბრეს მხატვართა კავშირში არსებულ მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე, მხატვართა სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მხატვართა კავშირს დიდ სირთულეებს უქმნის შენობის უქონლობა, რომელიც თბილისის ომის დროს განადგურდა.

პარლამენტარი

ზურაბ ნოღაიდელი:

რატომ ვიყარე კენჭი აჭარის არჩევნებში?

საქართველოს პარლამენტის წევრი ზურაბ ნოღაიდელი ამას წინათ მოქალაქეთა კავშირისა და „აღორძინების" ერთიანი ბლოკის სიით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა. იგი საქართველოს პარლამენტში გარემოს დაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომისიებში თანამშრომლობს. ამავე დროს უძღვება პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს.

ბატონი ზურაბი მოქალაქეთა კავშირის გენერალურ მდივანთან მიხეილ მაჭავარიანთან ერთად არჩევნების წინ, თავიდანვე, აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი ბლოკის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და სწორედ მისმა კავშირმა გადაწყვიტა, როგორც ქობულეთელს კენჭი ეყარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

32 წლის ზურაბ ნოღაიდელი საქართველოს წინა პარლამენტის წევრიც იყო. მაშინ იგი მწვანეთა პარტიის სიით აირჩიეს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას ხელმძღვანელობდა.

დაიბადა 1964 წელს, ქობულეთში. სწავლობდა ბათუმის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში. დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და რამდენიმე წელიწადი მუშაობდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, როგორც მკვლევარი. იკვლევდა ბუნებრივი პროცესების მოდელირებას. შემდეგ სამუშაოდ გადავიდა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მისი მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია. ხელმძღვანელობდა დათარიღების ლაბორატორიას, პარალელურად, წელიწადნახევარი გამოცდილებას იძენდა ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში. მერე ლაბორატორია შექმნეს და მას ხელმძღვანელობდა. მაგრამ მალე, მწვანეთა მოძრაობის ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ თბილისში თავისთან მიიწვია სამუშაოდ. მწვანეების ცენტრალურმა საბჭომ კი ზურაბ ნოღაიდელი აღმასრულებელ მდივნად დანიშნა.

ერთი წლის დაოჯახებულია.

— საკმაოდ ძნელია ორ უმაღლეს ორგანოში იყო დეპუტატი და ორივეგან სრულყოფილად იმუშაო...

— ძალიან ვცდილობ, აქაც და იქაც ეფექტიანად ვიმუშაო. რამდენად შევძლებ, ამას ხალხი შეაფასებს, რომელსაც ვერაფერს გამოაპარებ. რაც შეეხება საპარლამენტო სესიებში მონაწილეობას, შეიძლება ისინი ერთმანეთს დაემთხვეს. ვითარებიდან გამომდინარე განვსაზღვრავ, საით წავიდე. მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია საქართველოს პარლამენტის სესიას დაემთხვა. ბათუმში წავედი, რადგან პირველ სესიაზე გამოუცხადებლობა არ შეიძლებოდა. იქ საორგანიზაციო საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო და საკუთარი პოზიცია უნდა გამომეხატა. პირველივე სესიაზე შეიქმნა პრეზიდიუმი, არჩეულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ერთიანი ბლოკის ლიდერი ასლან აბაშიძე, მისი მოადგილეები, კომისიები და მათი თავმჯდომარეები. როდის იქნება შემდეგი სესია, ჯერჯერობით, არ დადგენილა, მაგრამ ვიცი, რომ მომდევნო სესიისათვის რამდენიმე განსახილველი დოკუმენტი მზადდება. იურიდიული კომიტეტი დებულებებს ამუშავებს კომიტეტებისა და კომისიების შესახებ, გარდა ამისა, ამ სესიაზე ახალი მთავრობის შექმნის საკითხი უნდა გადაწყდეს. აჭარის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, ძველი მინისტრთა საბჭო გადამდგარია. მიმდინარეობს კონსულტაციები. მასში არ ვმონაწილეობ, მაგრამ სესიას აუცილებლად დავესწრები და აჭარის ახალი მთავრობის დაკომპლექტებაშიც აქტიურად დავიდებ წილს. რამდენიმე დღით ადრეც კი ჩავალ და საკუთარ მოსაზრებას აუცილებლად გამოვთქვამ, რადგან ჩემთვის სულერთი არ არის ვინ იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომელმაც ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად, ხალხის საკეთილდღეოდ უნდა იღვაწოს.

— როგორ აფასებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს?

— არჩევნებზე, მის ჩატარებამდეც და შემდეგაც, ბევრს ლაპარაკობდნენ. თქმა იმისა, რომ თავიდან ბოლომდე გაუმწვავებლად და წესების დაურღვევლად ჩაიარა, მართალი არ იქნებოდა. არჩევნების პერიოდში იქ ვიყავი და ზოგიერთი დარღვევის თაობაზეც ვიცი, მაგრამ მთავარია, რომ ამ დარღვევებს არჩევნების საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მყოფმა ყველა პარტიის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საბოლოო ოქმს და ცნო მისი შედეგები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნები საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა და, უპირველესად, იმის გამო, რომ არჩევნები ყოველგვარი ვადების დაცვით გაიმართა ერთ-ერთ რეგიონში. მისი ახალი ხელისუფლება არჩევნების გზით მოვიდა. მეორეც, ამ არჩევნებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის დამკვიდრების საქმეში. იგი ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია.

მაინც რატომ ვიყარე კენჭი აჭარის არჩევნებში, რატომ მეწადა ასე გულით იქაური პარლამენტის დეპუტატობა? მსურდა უშუალოდ ურთიერთობის შესაძლებლობა მქონოდა, მთლიანად აჭარისა და, განსაკუთრებით, ქობულეთის მოსახლეობასთან. უფრო აქტიურად შემძლებოდა იმათი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა, ორივე პარლამენტში მუდმივად გამომეხატა ქობულეთის ამომრჩეველთა ინტერესები, იმის მიუხედავად, რომ არც აქ და არც იქ მაჟორიტარი დეპუტატი არა ვარ.

— თქვენ მოქალაქეთა კავშირის საერთაშორისო მდივანიც ბრძანდებით, ორიოდე სიტყვა ამაზეც...

— საგარეო პოლიტიკური აქტიურობა და წარმატებები საქართველოში, საზღვარგარეთის განსაკუთრებული ყურადღება მის მიმართ, დღეს აშკარად შესამჩნევია და ამაზე მეტყველებს თუნდაც მრავალი მნიშვნელოვანი ვიზიტი, რომლებიც, მჯერა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კავკასიის მოვლენების მოწესრიგებაში, საქართველოსთან კეთილი ურთიერთობის განვითარებასა და თანამშრომლობაში.

მთლიანად კავკასიაში კი დღეს პოლიტიკურად დაძაბული ვითარებაა. თუმცა ცეცხლი შეჩერებულია, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობა საგრძნობია. საქართველო კი ამდაგვარ დაძაბულობას მომზადებული ხვდება. ქვეყნის შიგნით ასეთი სრული ურთიერთგაგება, როგორიც დღეს არის, არასოდეს ყოფილა.

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკა, მისი „გუნდისა" და პარლამენტის ერთიანი მოქმედება წინაპირობას ქმნის, ვფიქრობ, რომ დღევანდელ პოლიტიკურ დაძაბულობას საქართველო ბევრად უფრო იოლად გადაიტანს და წარმატებითაც კი. ახლახან ხელმოწერილი დოკუმენტები კი, რომლებიც ყაზახეთის ნავთობის საქართველოზე გავლას შეეხება, არა მარტო უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენაა, არამედ — პოლიტიკურიც. ეს ნიშნავს, რომ ყურადღება და ინტერესი საქართველოსადმი, უკვე სხვა ტიპისა და სხვა რანგისაა, რაც იმან განაპირობა, რომ ყველაფერ ამას ჩვენი ქვეყანა სხვაგვარად მომზადებული ხვდება. დღეს ამას ყველა ხედავს და ყველა აღნიშნავს.

ახლა კვლავ საქართველოს პარლამენტს დავუბრუნდები და გეტყვით: სრულებით ახლებურად გაიაზრა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის შენობის მოწყობა და ეს აშკარად თვალშისაცემია. აქ უკვე გახსნილია ბიბლიოთეკა, ილია ჭავჭავაძის დარბაზი, პრესკლუბი. გვექნება საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის დარბაზები. პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით უახლოეს ხანში პარლამენტი ღია იქნება საზოგადოებრიობისათვის — მოეწყობა ექსკურსიები, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტებისათვის. ნახავენ როგორ მიმდინარეობს კანონშემოქმედებითი მუშაობის პროცესი, უშუალოდ იხილავენ საქართველოს კონსტიტუციის ორიგინალს, სურათებსა და ფილმს, თუ როგორ აწერდნენ ხელს პარლამენტის წევრები მასზე. ყოველივე კი ერთიანი სახელმწიფოს იდეოლოგიისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას.

ასე დაამთავრა ჩემთან საუბარი ბატონმა ზურაბმა, რომელსაც სჯერა: მომავალი 1997 წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება. უპირველესად, ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან გვექნება პირველი რეალური ბიუჯეტი, რომლის პროექტი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო და განსახილველ-დასამტკიცებლად პარლამენტს გადასცა.

სჯერა, რომ საქართველოში აქტიურად შემოვა ინვესტიციები. ფულით, საქმითა და გამოცდილებით უკან მობრუნდება საზღვრებს გარეთ გასული ქართველობა. თავისი გონიერული პოლიტიკით საქართველო იქნება ერთიანი, მთლიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

სხდომა

კორუფცია სამსჯავროზე

პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბატონმა რევაზ ადამიამ ხაზი გაუსვა ძალოვან სტრუქტურებსა და შინაგან ჯარებში შექმნილ ვითარებას, განსაკუთრებით სამხედრო კომისარიატებში.

„ამჟამად მიმდინარეობს წვევამდელ ოფიცერთა გაწვევა, არავისთვის არ არის უცხო ის ფაქტი, რომ კომისარიატის სისტემაში კორუფციამ მძლავრად მოიკიდა ფეხი" — განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

სხდომაზე შენიშვნები და წინადადებები წარმოადგინეს თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების სამსახურისა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებმა, ითქვა, რომ დღეისათვის ბევრია სახელმწიფო ჯარიდან მოსამსახურის გაქცევის შემთხვევა და სამხედრო სამსახურზე თავის არიდების მიზნით ქრთამის აღება ზემდგომი ორგანოების მხრიდან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა კორუმპირებული ელემენტების გამოვლენა და დასჯა.

უშიშროების მინისტრის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა დაწვრილებით ისაუბრა უშიშროების სამსახურში დღეისათვის არსებულ ვითარებაზე. კითხვაზე, არის თუ არა უშიშროების სამსახური ჩართული ნავთობის, სიგარეტისა და სასმელის ბიზნესში, ავთანდილ იოსელიანმა უპასუხა, რომ ასეთი ფაქტები უშიშროების სამსახურების ექსხელისუფლების პერიოდში აღინუსხა. ამჟამად კი მსგავსი შემთხვევები აღარ არსებობს.

საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა ვალერი ჩხეიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უბრალო ჯარისკაცის მდგომარეობის პრობლემას, დღეისათვის დიდი დარღვევებია სამხედრო ნაწილების მომარაგების საქმეში, ფაქტი ერთია, ისევ კორუმპირებული ელემენტების წყალობით კუთვნილი ტანსაცმელი, იარაღი და საკვები ჯარისკაცამდე არ მიდის.

დასასრულ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ აღნიშნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სოციალური მდგომარეობა არ ქმნის კორუფციის წყაროს. თითოეულმა პიროვნებამ და სამსახურმა დამოუკიდებლად უნდა ებრძოლოს მექრთამეობას. უნდა შეიქმნას სამხედრო მოსამსახურის სოციალური დაცვის სისტემა.

სხდომაზე მოწვევას მარგიანს ძალოვანი სტრუქტურები გადასცემენ

გაიმართა საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე.

სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბატონ ავთანდილ სილაგაძის მიმართ, რომლის საბოლოო დამტკიცება, წინა სხდომაზე გადაიდო განხილვის პროცესში წამოჭრილ ახალ გარემოებათა გამო.

სხდომაზე დაგეგმილი იყო საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, თურქმენეთის რესპუბლიკიდან მიღებული ბუნებრივი გაზის ანაზღაურებაში დაშვებულ დარღვევებსა და დამახინჯებებთან დაკავშირებით, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან დღეს, ბატონი მარგიანის ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

კომისიამ გადაწყვიტა, მიმართოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს, რათა ამ უწყებებმა უზრუნველყონ კომისიის მოწვევის გადაცემა ავთანდილ მარგიანისათვის.

გვერდი მოამზადა
რუსუდან ლორთქიფანიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
№208. ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 1996 წელი

ეროვნული

ისტორიის ფურცლები

ქარიშხლიანი წლების ქრონიკები

მეფესა და დედოფალს თავადი ანდრონიკოვი არ უყვარდათ. სასახლეში იცოდნენ, რომ მირონცხებულ წყვილს მისგან შორს ეჭირა თავი.

გრაფი ფრედერიქსი დაკითხვაზე უჩვენებს: „მეფე ხშირად მეკითხებოდა ხოლმე, რა კაციაო. ვეუბნებოდი, საძაგელი რეპუტაცია აქვს, მეტს ვერაფერს დავუმატებ, რადგან დამტკიცებას ვერ შევძლებ თქვენო უდიდებულესობის წინაშე-მეთქი“.

და მაინც, ფრედერიქსი, ვითომ ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ნიკოლაი II-ს ყოველთვის უმალ მიართმევდა ხოლმე ანდრონიკოვის უქვეშევრდომლეს დეპეშებსა და მოხსენებით ბარათებს ამა თუ იმ მინისტრის საქმიანობის დახასიათებით, მათზე სხვადასხვა ცნობით, იმ მოვლენათა აღწერით, რომლებიც დედაქალაქს აღელვებდა და ა. შ. ეს ბარათები კარგად იყო დაწერილი, უმთავრესად მშვენიერი ფრანგული ენით, ხანდახან ლვარძლითაც იმ მაღალი თანამდებობის მოხელეთა მიმართ, ვისაც ის მტრობდა.

ცივი დამოკიდებულების მიუხედავად, იმპერატორი მაინც ანგარიშს უწევდა ანდრონიკოვს.

როდესაც თავადმა მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელმწიფო მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეოდ დაწერა (ადრესიც თვითონ შეადგინა და ხელმოწერებიც თვითონ შეაგროვა), პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ს. ბელეცკის დახმარებით გამოსცა ბროშურა „ი. ლ. გორემიკინის სახელმწიფო დამსახურებათა შესახებ“ და მეფეს მიართვა, თუმცა ამ ნაშრომს სასახლესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, იმპერატორის კარის მინისტრის კანცელარიის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ა. მოსოლოვისგან ასეთი ბარათი მიიღო:

„მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო მიხაილ მიხაილოვიჩ. ბატონ იმპერატორის კარის მინისტრის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ თქვენი ბრწყინვალების მიერ ხელმწიფისთვის წარსადგენად მოტანილი ბროშურა წარდგენილ იქნა უმაღლესი დანიშნულებისამებრ და ნაბრძანებია საჩუქრისთვის მადლობა მოგახსენოთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით. მოიღეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი ჭეშმარიტი პატივისცემა და ერთგულება“.

მას ჰქონდა საოცარი უნარი – შეეღწია ყველა მინისტრთან. ეს მისი ცხოვრების წესი იყო. სასახლის კარზე თავისი ინფორმატორების საშუალებით (ამ საქმეში მარჯვედ იყენებდა ახლო ნაცნობობას სასახლის კომენდანტთან, გენერალ ვლადიმირ ვოეიკოვთან, გრაფ ფრედერიქსსა და სასახლის კამერდინერთან, რომელიც უბრალო ლაქია კი არ იყო, მეფის კაბინეტთან მორიგის თანამდებობა ეკავა), ყოველთვის პირველი იგებდა ახალი დანიშვნის შესახებ და აღზევებულს პირველი მიულოცავდა ხოლმე ბარათით, მადლობა ღმერთს, რომ რუსეთს ეშველა, ბოლოს და ბოლოს, სამინისტრო (თუ დეპარტამენტს, რომლის ახალგამომცხვარი ხელმძღვანელიც იყო მისი ბარათის ადრესატი) სათავეში ღირსეული პიროვნება ჩაუდგაო. თან საჩუქრად ხატს აახლებდა, რომელსაც ტრაფარეტულად 50-50 მანეთად ყიდულობდა ხოლმე. ოღონდ, ვითომ გაკვრით ჩაურთავდა, ეს ჩემი საგვარეულო ხატიაო (სხვათა შორის, ორი ხატი, ფრეილინა ანა ვირუბოვას ხელით, დედოფალსაც კი მიართვა).

გულაჩუყებული და ნაამები ჩინოვნიკი მადლობის წერილით უპასუხებდა. შემდეგ ანდრონიკოვი „თავაზიანობის ვიზიტით“ ესტუმრებოდა კაბინეტში და ნაცნობობა გაჩარხული იყო.

უბრალოდ, ორგანულად ვერ იტანდა, ვინმე დიდ მოხელესთან პირადი ნაცნობობა არ ჰქონდა. თუ მინისტრი (სულ ერთია, რომელი უწყების ხელმძღვანელი) ოფიციალური ვიზიტით ან დასასვენებლად სადმე მიემგზავრებოდა, აუცილებლად მიიდოდა ვაგზალზე გასაცილებლად, მის მეუღლეს თაიგულსა და კანფეტებს მიართმევდა.

ზოგის გულს რაიმე პირადი სამსახურითაც ინადირებდა. მაგალითად, სახელმწიფო მდივანს, შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრს ა. მაკაროვს ერთადერთი ვაჟი მოუწყო რომელიღაც სასწავლებელში (დიდ მოხელეს თვითონ ერცხვინებოდა შვილის საქმეზე ვინმესთან მისვლა და თხოვნა). ეს „მარმარილოს სასახლის“ მფლობელის, დიდი მთავრის კონსტანტინ კონსტანტინოვიჩის საშუალებით გააკეთა, რომელთანაც საკმაოდ გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა.

თუ რომელიმე მინისტრი მიღებაზე უარს ეტყოდა, ამას ყოველთვის მტკივნეულად, ნერვიულად აღიქვამდა, რადგან უშუალოდ მათთან ვიზიტებს, ინტიმურ სატელეფონო საუბრებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს მისი სისუსტე კი არ იყო, არამედ ერთხელ და სამუდამოდ მოფიქრებული გეგმა, რომლის საშუალებითაც ახორციელებდა მიზანს: ყველაფერი სხვაზე ადრე შეეტყო, მაგალითად, ახალი დიდი მოხელის დანიშვნა და მასთან უმალ გაება ურთიერთობა.

წვრილფეხა მოხელეები, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ რა გულითადი დამოკიდებულებაც ჰქონდა მათს ხელმძღვანელთან ანდრონიკოვს, ანგარიშს უწევდნენ ამ გარემოებას, ცდილობდნენ შეესრულებინათ ყოველი თხოვნა. ერჩივნათ მისი სახით კარგი ნაცნობი ჰყოლოდათ, ვიდრე საშიში, ძლიერი მტერი. ის არასდროს არ ითხოვდა, უბრალოდ, მიდიოდა ამა თუ იმ წინადადებით და აკეთებინებდა კიდეც, რადგან ის ფაქტი, რომ თავადი ასე ხშირად დაიარებოდა მინისტრთან, დეპარტამენტში დიდმნიშვნელოვან მოვლენად აღიქმებოდა, ხაზს უსვამდა მისი პიროვნების სიდიდეს: „როგორ არ გავუკეთო ეს საქმე ანდრონიკოვს, ის ხომ ჩვენი უფროსის მეგობარია!“ ამასთან, როცა რომელიმე მოხელეს რაიმეს სთხოვდა (თხოვნა კი უამრავი ჰქონდა), გადაკვრით მიანიშნებდა ხოლმე, უარის თქმა სასურველი არ არის, „იქ“, „ზევით“ არ მოგიწონებენო.

ძალზე ბევრს დადიოდა და საქმიანი კაცის იერი რომ ჰქონოდა, მოუცილებლად ატარებდა პორტფელს. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ტაინი სოვეტნიკი ნიკოლაი პლევე ერთობ დაინტერესებული იყო ამ პორტფელით. ბოლოს ჩაიგდო კიდეც ხელში, მაგრამ მასში... გაზეთების მეტი არაფერი აღმოჩნდა. გაზეთებმა „ნოვოე ვრემიამ“ და „ვეჩერნოე ვრემიამ“ კბილიც გაჰკრეს: აღწერეს როგორც ზოგადი ტიპი, ოღონდ ისე, რომ მკითხველი უმალ მიხვდა ვისზეც იყო ლაპარაკი. 1912 წელს კი თავადმა ვ. მეშჩერსკიმ თავის გაზეთ „გრაჟდანინში“ წერილი გამოაქვეყნა, არიან ტიტულიანი ვაჟბატონები, რომლებიც მინისტრებს კანფეტებს მიართმევენ ხოლმე სადგურში გაცილებისასო.

ანდრონიკოვმა „ტიტულიან ვაჟბატონებში“ საკუთარი თავი იცნო, ისიც შეიტყო, რომ ამ „ბოროტი წერილის“ გამოქვეყნებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა მოხელის, კამერ-იუნკერ სერგეი პალეოლოგისა და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, ამ გაზეთის თანამშრომლის ნიკოლაი ბურდუკოვის ხელი ერია და ერთი აყალმაყალი ატეხა. პალეოლოგი დაფრთხა და ცა და დედამიწა მოიყვანა მოწმედ, უდანაშაულო ვარო. ბურდუკოვს კი იმდენი უსიამოვნება და ზარალი მიაყენა (მათ შორის, მატერიალურიც!), რომ სულ თავზედი აწყევლინა. მეშჩერსკიმაც გეარიანი შიში ჭამა და თავადს ფრანგულად მისწერა წერილი, ღმერთი-რჯული, თქვენ სულაც არ მიგულისხმიხართო. ამ წერილმა ანდრონიკოვს საშუალება მისცა მისულიყო, პირადად გაეცნო მეშჩერსკი და შემდეგ დამეგობრებოდა კიდეც – არ იყო დასაკარგი კაცი, გავლენიანი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა, რაც მთავარია, რასპუტინის მეგობარი და ყურმოჭრილი ყმა გახლდათ.

სულ რაღაც ინტრიგაში იყო გახვეული. ზოგიერთები გერმანიის ჯაშუშად მიიჩნევდნენ. მის ბინაზე კონტრდაზვერვამ თვალთვალიც კი დააწესა (გამოძიებას პოლკოვნიკი ვ. ერანდაკოვი აწარმოებდა).

იყო კი რაიმე საფუძველი საამისოდ?

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სერგეი ვიტეს ყოფნის პერიოდში მ. ანდრონიკოვი რამდენჯერმე გაგზავნეს გერმანიაში. იგი პირადად იცნობდა და ამ მგზავრობის დროს წარუდგა კიდეც იმპერატორ ვილჰელმს. კაიზერისგან პორტრეტიც კი მიიღო სამახსოვრო წარწერით, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, უმალ დაამძრობდა ხოლმე.

მიმოწერა ჰქონდა გერმანიის არისტოკრატიის წარმომადგენლებთან, იქაურ უმაღლესი წრის მანდილოსნებთან. მასთან გერმანიიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა კატეგორიის პირები, რომლებიც თავს კომერსანტებად ასაღებდნენ.

თავადი საერთოდ კარგად იყო განწყობილი გერმანიისადმი და ამას არც არასოდეს მალავდა გარეშეებთან საუბრისას, მაგრამ, ამასთან, საკმაოდ კონსერვატორი მონარქისტიც გახლდათ. გერმანიის მომხრე უბრალოდ, იმის გამო იყო, რომ მისი სიყვარული სიჭაბუკის წლებიდან ჰქონდა, ძვალ-რბილში გამჯდარი. მაგრამ თვით ს. ვიტეც ხომ გერმანიას სცემდა თაყვანს (ვიტეს ანდრონიკოვი რასპუტინმა გააცნო, მან დააახლოვა თავადი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოჯახთან).

ჯაშუშობა ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ ბევრი რამ მართლაც საეჭვოდ გეცემა თვალში!

1915 წლის ზაფხულში კონტრდაზვერვამ სასტუმრო „ბელვიუში“ მისი ბინა გაჩხრიკა. აღმოაჩინეს სამხედრო დოკუმენტები, რომლებთანაც მ. ანდრონიკოვს არავითარი დამოკიდებულება, მით უფრო, სარგებლობის უფლება, არ შეიძლება ჰქონოდა. მათს შორის იყო დოკუმენტი ასეთი სათაურით: „საარმიო რეზერვისა და შეიარაღების მდგომარეობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა მესამე საარმიო კორპუსის მეთაური, ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი ეპანჩინი. თუ რატომ და ვისთვის დაიწერა იგი, ამის გონივრული ახსნა დაკითხვაზე ვერც ეპანჩინმა და ვერც ანდრონიკოვმა ვერ შეძლეს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოიცა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება: დამსახურებული ჯარისკაცი სამსახურიდან დაითხოვეს მუნდირის ტარების უფლების გარეშე, იმ ბარათის შედგენისთვის, რომელშიც მან, ეპანჩინმა, „თავს უფლება მისცა აესახა სამხედრო ხასიათის მეტად საიდუმლო ცნობები“.

ანდრონიკოვს კი ხელი არ ახლეს. მაშინ მას ჯერ კიდევ მფარველობდა გრიშკა რასპუტინი.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

ურალის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები: ტოლმაჩოვი, ბელობოროდოვი, საფაროვი, გოლოშჩეკინი, რომლებმაც ლენინისა და სვერდლოვის მითითებით დაადგინეს მეფის მთელი ოჯახის სიკვდილით დასჯა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 185-192, 194-196, 198-205,207

ყარსის კონფერენცია

საქართველო – სომხეთ – აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელშეკრულების 75 წლისთავისათვის

ყარსის კონფერენცია

1921 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების მე-14 მუხლის თანახმად, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და თურქეთის წარმომადგენელთა კონფერენცია ჩატარდებოდა ქალაქ ყარსში (თავდაპირველად ბაქო იყო არჩეული). ამასთან დაკავშირებით საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების ოპოზიცია მოითხოვდა 16 მარტის შეთანხმების პირობების გადასინჯვას საზღვრების საკითხში, ამ დოკუმენტს თვლიდნენ, როგორც „უკანონო და თავსმოხვეულ აქტს“, ხოლო „ართვინ-ატაანის ოლქები უნდა დაბრუნებოდა თავის ნამდვილ პატრონს-საქართველოს“. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდში ქართველ ბოლშევიკთა ნაწილიც სხვებთან შედარებით უფრო ეროვნულ ნიადაგზე იდგა (სწორედ ამიტომ ისინი „უკლონისტებად“ მონათლეს) და როგორც ჩანს, თურქებთან მოლაპარაკებისას ცენტრში მიღებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული პოზიციის გამოთქმას აპირებდნენ, თუმცა რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს რა გამოეპარებოდა. აი, შესაბამისი დირექტივაც:

„ოქმი ნომერი 17
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სხდომისა
3 სექტემბერი, 1921 წელი

ესწრებოდნენ: რკპ (ბ) ცკ კავბიუროს წევრები ამხ. ორჯონიკიძე, კიროვი, ნაზარეთიანი, მდივანი, ფიგატნერი, ელიავა, პლუშჩაკოვი, ნარიმანოვი, მიასნიკოვი, ჰუსეინოვი, შახტახტინსკი, აბილოვი, სულთანოვი, ეგოროვი, მავრინი.

მოისმინეს: ყარსის კონფერენციის შესახებ;

დაადგინეს:

1) მოლაპარაკება ჩატარდეს მოსკოვის ხელშეკრულების ჩარჩოების მკაცრი დაცვით;
2) კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა მოახდინონ ანტანტასთან თურქეთის ბრძოლის სოლიდარობის დემონსტრაცია;
3) აღმოუჩინონ ამ ბრძოლაში დახმარება (ფულით და ა.შ.);
4)... 5)...
6) არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ცალკეული რესპუბლიკების სეპარატული გამოსვლები, ყველა საკითხში გამოიჩინონ ერთსულოვნება...“

ასეთი მკაცრი დადგენილების შემდეგ რთული და თითქმის შეუძლებელიც კი იქნებოდა მოსკოვის ხელშეკრულებაში რაიმე კორექტივების შეტანა, თუმცაღა ყარსში გამგზავრებამდე, „უკლონისტებმა“ მაინც მიაღწიეს მცირე გადახვევებს ამ ოქმის პირობებიდან (წინდაწინვე ვიტყვით, რომ სამწუხაროდ, ისინი არ განხორციელებულა).

ყარსში 27 სექტემბერს დაწყებული მოლაპარაკების ყველაზე მძიმე მომენტები სასაზღვრო პრობლემას ეხებოდა. სწორედ მისი მოწესრიგების მიზნით შეიქმნა სპეციალური სასაზღვრო კომისია, რომლის შემადგენლობაში საქართველოს მხრიდან შედიოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვა. კომისიის სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ თურქეთს საქართველოსათვის დაეთმო [illegible] სარფის სამხრეთი ნაწილიც ([illegible] ხელშეკრულებით სარფი [illegible] გაიყო), ხოლო სომხეთისათვის — [illegible] ქალაქ ანის ნანგრევები, მაგრამ თურქები მტკიცედ იდგნენ..., მათი დელეგაციის მეთაური ქიაზიმ ყარა-ბექირი ანგორიდან გამოგზავნილი საიდუმლო ინსტრუქციებით იყო აღჭურვილი, რომელთა თანახმად 1) თურქეთის მხარე წინასწარ უარს აცხადებდა მოსკოვში დადგენილი საზღვრების შესწორებაზე; 2) თურქეთის დელეგაციას ყოველი ღონე უნდა ეხმარა ბათუმის ნავსადგურზე კონტროლის მისაღწევად, რათა მიეღო ფართო შეღავათები საზღვაო პორტით სარგებლობის მიზნით (სურდა შეექმნა ე.წ. „ნეიტრალური ზონა“ თავისი საწყობებისათვის, პაკჰაუზებისათვის; ამავე დროს, ამ „ზონაში“ საქართველოს იურისდიქცია არ უნდა გავრცელებულიყო... 3) თურქეთმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება თითოეულ რესპუბლიკასთან ცალკე, სეპარატული ხელშეკრულების დადების იდეაც.

ეს ინსტრუქციები ძირითადად აისახა კიდეც ხელშეკრულების თურქულ ვარიანტში, რომელიც ქიაზიმ ყარა-ბექირმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებულ დელეგაციას წარუდგინა. საპასუხოდ მას საბჭოთა მხარემ 5-პუნქტიანი მემორანდუმი დაუპირისპირა, რომელშიც ზემოთხსენებული საზღვრის შესწორებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი მოთხოვნები იდო საფუძვლად.

ასეთი დიპლომატიური კონფრონტაციის გამო მოლაპარაკება საკმაოდ გაჭიანურდა. მართალია, მოსკოვის ხელშეკრულების პირობები არცერთი მხარისაგან ამგვარ დათმობებს არ ითვალისწინებდა, ამავე დროს, მაინც არსებობდა საბჭოთა დელეგაციის მხრიდან მეტი პრინციპულობის გამოჩენის შესაძლებლობა, თუმცა პოლიტიკური და კლასობრივ-კონიუნქტურული ინტერესების გამო მათ თავი შეიკავეს (სტრატეგიულ მოკავშირესთან ურთიერთობა აღარ გაამწვავეს). საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ყარსში მიღწეული ორივე მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები შეთანხმების პროექტი ძირითადად იმეორებდა 16 მარტის ხელშეკრულების დებულებებს.

1921 წლის 13 ოქტომბერს თურქეთმა და საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც 17 მუხლისაგან შედგება და თან ახლავს დანართები საზღვრების აღწერით. მათზე ყურადღების გამახვილება ვფიქრობთ აღარაა საჭირო, რადგან მკითხველმა უკვე იცის მათი შინაარსი — იმ დოკუმენტის ტექსტი რამდენიმე წლის წინათ თითქმის ყველა გაზეთში გამოქვეყნდა, გარდა ამისა, ხელშეკრულების დებულებათა უმრავლესობამ უკვე დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა და ამჟამად ანაქრონიზმებს წარმოადგენს.

ყარსში მოლაპარაკების საბოლოო დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ გაერთიანებული საბჭოთა დელეგაცია უკან დაბრუნდა. 15 ოქტომბერს ერევანში დიდი მიტინგიც გაიმართა (ეს დღე საზეიმო, უქმე დღედ გამოცხადდა), რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ მრავიანი, შახტახტინსკი და სხვები. „ორატორებმა აღნიშნეს კონფერენციის დადებითი შედეგები ორივე მხარისათვის და სიხარულით მიუთითეს იმ გულწრფელობაზე, რომლითაც იყო გამსჭვალული მოლაპარაკების ყველა მონაწილე“, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“ იმ დღეებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ, ისინი პირდაპირ თბილისში გამოემგზავრნენ.

როგორც კი ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნდა, ლეგალურმა ოპოზიციამ (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა), იგი უარყოფითად შეაფასა. მათ განსაკუთრებით მწვავედ გამოხატეს უკმაყოფილება ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს, 1922 წლის 14 აპრილს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიაზე. ამ საკითხზე მთავარ მომხსენებლად გამოვიდა თვითონ შალვა ელიავა. მან ცაკ-ის წევრებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ხელშეკრულებისათვის და მოეხდინათ მისი რატიფიკაცია. კამათში გამოსულმა სოც. ფედერალისტმა სიმონ ხუნდაძემ კი მკაცრად გააკრიტიკა, განსაკუთრებით „საზღვრების წამგებიანად“ გადაწყვეტის გამო. აჭარელმა წარმომადგენლებმა თოდრიამ და ხიმშიაშვილმა, მართალია, მთლიანობაში მხარი დაუჭირეს დოკუმენტს, მაგრამ მაინც უარყოფითად შეაფასეს აჭარის ორად გაყოფა. მამია ორახელაშვილმა თავისი „ბოლშევიკურად შემართული“ სიტყვით არაკეთილმსურველებს აზრის გამოხატვის საშუალება აღარ მისცა. 14 აპრილის შუაღამისას ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა, თავი მხოლოდ სამმა წევრმა შეიკავა.

თურქულმა მხარემ ამ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის რატიფიკაცია მოახდინა 1922 წლის 16 მარტს დიდი ეროვნული კრების დადგენილებით (კანონი № 207) და როგორც სხვაც ასეთ წყარო გვამცნობს, იქაც სამი წევრი წასულა წინააღმდეგ (ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქების დეპუტატები). სარატიფიკაციო სიგელები კი გაიცვალა 1922 წლის 11 სექტემბერს ქ. ერევანში.

ყარსის ხელშეკრულების დებულებებმა მისი მე-18 მუხლის თანახმად (სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად უნდა ჩატარებულიყო ცალკე მოლაპარაკება) შემდგომი გაღრმავება და განვითარება ჰპოვა 1922 წლის თებერვალ-ივლისში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც პერმანენტულად თითქმის ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკების პროცესში დაიდო შემდეგი შეთანხმებები:

1) კონვენცია საქართველო — თურქეთის საზღვარზე გადასვლის წესების შესახებ (1922 წლის 20 მარტი);
2) კონვენცია საძოვრებით სარგებლობის შესახებ (1922 წლის 20 მარტი);
3) კონვენცია სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობის შესახებ (1922 წლის 9 ივლისი);
4) საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია (1922 წლის 9 ივლისი);
5) კონვენცია ბათუმის პორტით შეღავათიანი ტრანზიტის შესახებ (1922 წლის 12 ივლისი);
6) კონვენცია ვაჭრობის შესახებ (1922 წლის 14 ივლისი);
7) კონვენცია იურიდიული დახმარების შესახებ (1922 წლის 14 ივლისი);
8) საკონსულო კონვენცია (1922 წლის 14 ივლისი);

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი შეთანხმებებიდან პირველი ორის დენონსაცია ჯერ კიდევ 1927 წელს მოხდა სსრკ მთავრობის მიერ თურქეთიდან „ჯაშუშების შემოგზავნის“ მოტივით, თუმცა ზოგიერთი ცნობით ირკვევა, რომ იმავე წელს ახალი დადებულა; შემდეგი ოთხის იურიდიული ძალის ბედი გაურკვეველია, ხოლო ბოლო ორის რატიფიკაცია არ მომხდარა, რადგან მოგვიანებით ამავე სფეროში მოლაპარაკება დაიწყო უკვე საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის. ამ შეთანხმებების ტექსტები უკვე კარგადაა დავიწყებული, ზოგი მათგანი შეიძლება დაკარგულიც კია, არადა, ისინი ცალკე შესწავლას მოითხოვენ.

მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების დადებისთანავე, განსაკუთრებით 20-ანი წლების შუახანებიდან საბჭოთა მთავრობა რამდენჯერმე შეეცადა, როგორმე შეერბილებინა მათი უარყოფითი შედეგები აჭარის მოსახლეობის მიმართ და საერთოდ, ეკონომიკის სფეროში (მხარის ხელოვნურად გაყოფამ დიდი სიძნელეები წარმოშვა ბათუმის პროდუქტებით მომარაგების საქმეში. გარდა ამისა, ართვინის ახლოს არსებობს სპილენძის მდიდარი საბადოები და სპილენძსადნობი ქარხანა. ჯერ კიდევ 1920 წლის ბოლოს აქ მწყობრში ჩადგა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ რეკონსტრუირებული მეტალურგიული საწარმო, 1922 წელს დაიწერა კიდეც შესაბამისი მემორანდუმი თურქეთის ხელისუფლების მიმართ ამ საბადოებისა და ქარხნის კონცესიით აღების თაობაზე, მაგრამ ამაოდ). სხვათა შორის, ამ ფაქტებზე ზოგიერთი საბჭოთა და სახელმწიფო მოღვაწე მიუთითებდა, როგორც კონფიდენციალურ წერილებში, ასევე ღია წესითაც (მაგ: ბათუმიდან რსფსრ-ს კონსულის [illegible] ტყობინება გ. ჩიჩერინისადმი, [illegible] წერილი ლენინისადმი [illegible]), ამავე აღნიშნავდნენ სომხებიც საკუთარი საზღვრების „უსამართლოდ გადაწყვეტის“ გამო: ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, შემდგომში რეპრესირებული ბაგრატ ბორიანი თავის ორტომიან გამოკვლევაში „სომხეთი, საერთაშორისო დიპლომატია და სსრკ“ წერდა — „ყარსის ზავი, არსებითად იყო ყველაზე ცუდი და დამამცირებელი ზავი სომხეთისათვის“.

სტალინი: „ჩვენ თურქებს არ ვაშინებთ, მათ მხოლოდ საზღვრები უნდა შეასწორონ“

მეორე მსოფლიო ომში თურქეთს, მართალია, ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული, მაგრამ გერმანიისაგან გარკვეული ზეწოლის გამო იძულებული იყო შენიღბული ფორმით დაერღვია საბჭოთა კავშირთან 1925 წელს დადებული ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება: ანკარა ფაშისტებს სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულს აწვდიდა, გარდა ამისა, გერმანიის წარმატების შემთხვევაში თურქები მზად იყვნენ კავკასიის დასაუფლებლად. ამ მიზნით მათ სსრკ სამხრეთ საზღვრებთან შესაბამისი ძალებიც განალაგეს და შესაფერის მომენტს ელოდნენ. მოვლენები ისე განვითარდა, რომ თურქეთმა თავისი გეგმები ველარ განახორციელა, საბჭოთა მთავრობამ კი ანკარას ომის მიწურულს ბრალი დასდო ორსახოვან მოქმედებაში და განაცხადა 1925 წლის ხელშეკრულების გაუქმების სურვილი — 1945 წლის 19 მარტს მოლოტოვმა მოსკოვში თურქეთის ელჩს სარფერს ყოველივე ეს შეატყობინა. ცხადია, ანკარის ინტერესებში არ შედიოდა დიდ და ძლიერ მეზობელთან ურთიერთობის გამწვავება, ამიტომ ისმეთ ინენიუს მთავრობამ მოსკოვს შესთავაზა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. ივნისის დასაწყისში მოლოტოვმა სარფერს აცნობა, რომ სსრკ ეთანხმება თურქეთის წინადადებას, მაგრამ ჯერ უნდა მოგვარებულიყო სასაზღვრო-ტერიტორიული და სხვა საკითხები.

სარფერმა კატეგორიულად უარყო ტერიტორიული პრეტენზიები და როცა თურქეთის დელეგაცია დიდ ბრიტანეთს ეწვია, ჩერჩილს ყველაფერი აცნობეს და შველა სთხოვეს. ამ დროიდან თანდათანობით იწყება საბჭოთა პრესაში და რადიოში თურქეთის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა.

ობიექტურობის პრინციპი რომ დავიცვათ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტერიტორიული საკითხი ჯერ კიდევ 1944 წელს დაისვა საქართველოსა და სომხეთის სსრ-ს მიერ (როგორც ჩანს, კრემლის მითითებით, ინიციატივა ხომ ადგილებიდან უნდა წამოსულიყო!), მაგრამ თავდაპირველად ეს პროცესი უკიდურესი საიდუმლოებით იყო მოცული. დოკუმენტებიდან გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ ირკვევა, რომ „გერმანიის დამარცხება უკვე გარდაუვალია, ამიტომ დღის წესრიგში დგება თურქეთისაგან ადრე მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი, ამისათვის კი აუცილებელია ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია“.

თურქეთის აპელაციამ ინგლისთან მოსკოვის მუქარის შესახებ თავისებური გამოხმაურება ჰპოვა პოტსდამის „დიდი სამეულის“ კონფერენციაზე. 1945 წლის 21 ივლისს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის შეხვედრისას მოლოტოვთან გადაწყდა, რომ ამ საკითხს სამეულის სხდომაზე განიხილავდნენ. 22 ივლისს, საღამოს 17 საათსა და 07 წუთზე სხდომის თავმჯდომარე ტრუმენი სიტყვას აძლევს ჩერჩილს, რომელიც თავის მხრივ სთხოვს გენერალისიმუსს არ დააშინოს თურქები საზღვრების შეცვლის მოთხოვნით. სტალინი ჯერ მოლოტოვს მიმართავს განუმარტოს მათ პრობლემის არსი, შემდეგ კი თვითონ აღნიშნავს: „რამ შეაშინა თურქები?... საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მე მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე სომხეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა და არტაანის რაიონი, რომელიც ასევე ომამდე საქართველოს შემადგენლობაში იყო. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქეთს რომ არ დაეყენებინა საკითხი საბჭოთა კავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვვალდებულობთ დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ვალდებულობს დაიცვას ჩვენი საზღვარი. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასე განვუცხადეთ თურქებს — თუ მათ სურთ ჩვენთან კავშირის დადება, საჭიროა გაასწორონ საზღვრები და თუ არ უნდათ საზღვრების გასწორება, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია“.

კამათში ტრუმენი ჩაერია და სიტუაცია [illegible] ერთგვარად განმუხტა. [illegible] აზრით, ეს საკითხი მხოლოდ [illegible] კონფერენციისა. ამის შემდეგ ტერიტორიული პრობლემა სამეულის სხდომ[illegible]ბზე აღარ წამოჭრილა, თუმცა ეს არ ნიშნავდა თურქეთთან მიმართებაში მის დღის წესრიგიდან მოხსნას, წინ კი დევ დიდი და ხანგრძლივი პოლიტ[illegible]რი ბატალიები იყო მოსალოდნელი. ბე[illegible]ლადს ხომ თავისი სიტყვის ქარისთვის გატანება არ უყვარდა...

(ჩვენ ხელთა გვაქვს იმ დროისათვის სრულიად საიდუმლო ხასიათის დოკუმენტები და ანკარიდან სსრკ საელჩოს მიერ კრემლში გაგზავნილი კონფიდენციალური ინფორმაციები, აგრეთვე ასევე საიდუმლო მნიშვნელობის [illegible]კები და მრავალი სხვა საინტერესო მასალა ამ საკითხზე, მაგრამ მათ გამო[illegible]ვეყენებაზე თავს ვიკავებთ).

რასაკვირველია, სსრკ-თურქეთს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ორივე მხარე ენერგიას არ იშურებდა ერთმანეთის შეურაცხყოფის მიზნით. 1947 წლის ოქტომბერში კი თურქეთის მოთხოვნით ართვინისა და არტაანის ოლქებზე საბჭოთა კავშირის პრეტენზიების საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზეც განიხილეს (სესიის სტენოგრაფიული ჩანაწერის გაცნობით ირკვევა, თუ რა მწვავე კამათი მიმდინარეობდა საბჭოთა დელეგაციისა და თურქეთის დელეგაციის მეთაურებს ვიშინსკისა და სარფერს შორის.) 1952 წელს თურქეთი ნატოს სამხედრო ბლოკში გაერთიანდა... ცივი ომი გამძაფრდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ 1953 წლის მაისში ნიკიტა ხრუშჩოვის მითითებით საბჭოთა მთავრობამ თურქეთისადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიები მოხსნა.

ყარსის ხელშეკრულება და თანამედროვე კავკასია

ყარსის ხელშეკრულების მუხლობ[illegible] ანალიზი გვაჩვენებს, რომ დღე[illegible]სათვის მისი 20 მუხლიდან ფაქტობ[illegible]ვად მოძველებულია ან დიდი ხანი[illegible] რეალიზებულია VII, VIII, IX, XI, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX მუხლები (მათ შეიძლება „მკვდარი მუხლები“ ვუწო[illegible]დოთ), დარჩენილთაგან ძირითადია მ[illegible] 4 მუხლი, რომელშიც საზღვრის ხაზი[illegible] მოცემული. მიუხედავად ამისა, იგი მთ[illegible]ლიანობაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძა[illegible]ლას და, როგორც ზემოთ დავრწმუ[illegible]ნდით, მას წილად საკმაოდ უნიკალუ[illegible]რი ბედი ხვდა. ამ საერთაშორისო-სა[illegible]მართლებრივმა აქტმა ერთდროულად ოთხ სახელმწიფოს განუსაზღვრა მი[illegible]ნები და თავის დროზე ფორმალურად ხელი შეუწყო (ანდა განამტკიცა) ორი ავტონომიური წარმონაქმნის არსებო[illegible]ბა, მის მიერ დადგენილი საზღვრები კი სახელის მრავალგზისი ცვლილებ[illegible] მიუხედავად (საქართველოს სსრ — თურქეთი, ამიერკავკ. სფსრ — თურქეთი, სსრკ — თურქეთი, საქართველო — თურქეთი და ახლა მას ხშირად [illegible] საზღვარსაც უწოდებენ) საქართველო[illegible]სთან მიმართებაში უკვე საბოლოო[illegible] როგორც იტყვიან ხოლმე, „გასაჩივ[illegible]ბას არ ექვემდებარება“.

სწორედ ეს დებულება აისახა 199[illegible] წლის ივლისში დადებული საქართველ[illegible]ლოსა და თურქეთის ახალ ხელშეკრ[illegible]ლებაში, რომელშიც ნათქვამია: „მხა[illegible]რეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით[illegible] მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდ[illegible] საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის...“

თუ ყოველივე ამას დავამატებთ, რომ ყარსის ხელშეკრულება გარკვეულ კა[illegible]ვშირშია კიდევ ერთ დღევანდლამდე მო[illegible]ქმედ საერთაშორისო-სამართლებრ[illegible] აქტთან — 1922 წლის 9 იანვარს და[illegible]დებულ უკრაინა — თურქეთის ანალო[illegible]გიურ შეთანხმებასთან, რომლის I და IX მუხლებით უკრაინა მთლიანად აღ[illegible]არებს ყარსის დებულებებს, მაშინ შე[illegible]იძლება ითქვას, რომ 20-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა დიპლომატიის ნა[illegible]ყოფის სიმტკიცის მოწმენი ვართ.

დღევანდელ კავკასიაში არსებულ[illegible] გეოპოლიტიკური სიტუაცია, ცხადია, ბევრად განსხვავდება 75 წლის წინან[illegible]დელი ვითარებისაგან, მაგრამ იგივე სუ[illegible]ბიექტების ინტერესები და მიზნები, აგ[illegible]რეთვე იმავე გარე ფაქტორების გავ[illegible]ლენა პრაქტიკულად არ შეცვლილა. დასამალი არაა, რომ რეგიონში იგრძ[illegible]ნობა სახელმწიფოთა პოლიტიკურ[illegible] ორიენტაციის აშკარა სხვადასხვაობა, რაც თავის მხრივ ყარსის დებულებ[illegible]ბისადმი მათი დამოკიდებულებაშიც შეიმჩნევა. მაგალითად, სომხეთი სა[illegible]ზღვრებს უსამართლოდ მიიჩნევს, ფა[illegible]ქტობრივად არ ცნობს მათ და შესაბა[illegible]მისად თურქეთთან, რბილად რომ ვთ[illegible]ქვათ, „გულგრილი ურთიერთობა“ აქ[illegible]ვს. გარდა ამისა, თურქეთიც საკმაო[illegible] შეშფოთებით უყურებს ამიერკავკასი[illegible]აში რუსეთის ჯარების ყოფნას და გა[illegible] საკუთრებით სომხეთის საზღვარზე ჩა[illegible]ტარებულ წვრთნებს, მათი გადაიარა[illegible]ღების მცდელობებს. სწორედ ეს გა[illegible]ხდა მიზეზი ამა წლის მარტში სულე[illegible]მან დემირელის მიმართვისა ბორის ელ[illegible]ცინისადმი, რომელშიც იგი მიუთითე[illegible]ბდა მოსკოვის (ჩათვალე: ყარსის) ხე[illegible]ლშეკრულების ფუნდამენტურ მნიშ[illegible]ნელობას რუსეთ — თურქეთის თანა[illegible]შრომლობის სფეროში და აღნიშნავ[illegible] მისი პრინციპებიდან გადახვევის შე[illegible]თხვევაში შესაძლო უარყოფით შე[illegible]გებს.

ამჟამად საქართველო-თურქეთის საზღვარი შეიძლება ითქვას, მშვიდ[illegible]ბისა და თანამშრომლობის საზღვარ[illegible] მით უფრო, ეს ითქმის აზერბაიჯან[illegible] თურქეთის საზღვარზეც (მცირე მონ[illegible]კვეთი ნახჭევანში), რაც შეეხება სო[illegible]მხეთს — აქაც ბოლო ხანებში შეინიშ[illegible]ნება თურქეთთან მისი დაახლოების სუ[illegible]რვილი ყოველგვარი წინასწარი პირო[illegible]ბების გარეშე, ეს თავისთავად ხელს უწყობს საქართველოს ხელმძღვანელ[illegible]ბის მიერ წამოყენებული ინიციატივ[illegible] „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეის რე[illegible]ლიზაციის დაჩქარებას, რომლის ერ[illegible] ერთი მთავარი პრინციპი საზღვრებ[illegible] ურღვევობის დაცვა.

სიმონ ქილაძ

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე. გამარჯვებული მოკავშირეები სტალინის რეზიდენციაში.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 206-207.

საქართველოს რესპუბლიკა
№208. ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 1996 წელი.

ბრალი ედება ლიტვის ყოფილ პრემიერს

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ადოლფას სლეჟევიჩუსი სამართალში მიეცა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით. მას ბრალად ედება კომერციულ-საინოვაციო ბანკში შეტანილი ანაბრების ორჯერ უფრო მეტი სარგებლის მიღებაში თანამონაწილეობა. საქმე ის არის, რომ ანაბარი და სარგებელი სლეჟევიჩუსმა გამოიტანა შარშან დეკემბერში, რამდენიმე დღით ადრე, სანამ მთავრობა განკარგულებას გასცემდა ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. როგორც მთავარმა პროკურორმა კლიუნკამ განაცხადა, სლეჟევიჩუსს არ დააპატიმრებენ, ვინაიდან იგი არ არის გამქცევი, რათა თავიდან აიცილოს მართლმსაჯულება.

სერბი ნაციონალისტი საარჩევნო კამპანიაში ჩაება

ვოისლავ სესელჯი, ულტრანაციონალისტური სერბთა რადიკალური პარტიის ლიდერი, რომელსაც ბრალად ედება სამხედრო დანაშაულობანი, გამოვიდა სერბეთის სახელმწიფოს გაფართოების ერთ-ერთ ყველაზე თავგამოდებულ ქომაგად ფედერალურ იუგოსლავიასა და ჩერნოგორიაში 3 ნოემბერს დანიშნული რესპუბლიკური არჩევნების წინ. წინასაარჩევნო კამპანიის პროგრამის შესაბამისად ჩერნოგორიაში გამოსვლისას სესელჯმა მოუწოდა „შექმნან გაერთიანებული სერბეთის სახელმწიფო და გაათავისუფლონ სერბეთის კრაინა, სერბეთის დუბროვნიკი, სერბეთის ბოსნია და სერბეთის მაკედონია“. ნიქშიჩში გამართულ მიტინგზე სესელჯმა განაცხადა, რომ დიდი სერბეთის შექმნა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული რუსეთის მხარდაჭერაზე. „დიდი რუსეთი აღდგება და გაბატონდება ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ხოლო შემდეგ ბალკანეთში დაბრუნდება და სწორედ მაშინ დაუდგებათ სერბებს განთიადი“.

რუმინეთი და ნატო

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თეოდორ მელესკანუმ განაგრძო კამპანია, რათა დაარწმუნოს ნატოს წევრი სახელმწიფოები, რომ რუმინეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი უნდა მიიღონ ნატოში. ამ მიზნით მელესკანუ იყო ლონდონსა და პარიზში, სადაც შეხვდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რიფკინდს და საფრანგეთის ევროპის საქმეთა მინისტრს ბარნიეს, ბრიუსელში კი ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას გადასცა პრეზიდენტ იონ ილიესკუს წერილი. 14 ოქტომბერს ბუქარესტის ოტოპენის აეროპორტში დაიწყო ნატოს წვრთნა „სამშვიდობო პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში. წვრთნაში ნატოს წევრი ოთხი ქვეყნის (აშშ, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია) გარდა, მონაწილეობენ აგრეთვე, ჩეხეთი, სლოვაკეთი და მოლდოვა. ხოლო უნგრეთმა, სლოვენიამ და მაკედონიამ თავიანთი მეთვალყურენი გაგზავნეს.

ვინ უმაგრებს ზურგს დნესტრისპირელ სეპარატისტებს

მოლდავეთის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა განაცხადა: ტირასპოლის სეპარატისტთა ლიდერები არ მალავენ, რომ მათ მხარს უჭერს რუსეთი, აგრეთვე „მოლდავეთის ზოგიერთი ლიდერი“. სნეგურის თქმით, გამოყოფილი რეგიონის სტატუსის გამო კომპრომისს ვერ მიაღწევენ, რადგან სეპარატისტები გამუდმებით აყენებენ ახალ-ახალ მოთხოვნებს, ხოლო კიშინიოვი არასდროს არ ცნობს ამ რეგიონის დამოუკიდებელ საერთაშორისო სტატუსს.

ბულგარეთის მაღალი თანამდებობის მოხელეებს ხელფასი გაუყინეს

ბულგარეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით, 1 ოქტომბრიდან პარლამენტის დეპუტატებს, მინისტრებს, ეროვნული ბანკის დირექტორებსა და საბიუჯეტო სფეროს სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებს არ მოემატებათ ხელფასი ინფლაციის შესაბამისად. სოციალისტური პარტიის ფრაქციის ლიდერმა პრემიანოვმა თქვა, რომ კრიზისის დროს პოლიტიკოსთა ხელფასის გადიდება დაუშვებელია. ოპოზიციამ ამ წინადადებას უწოდა „იაფფასიანი პოპულისტური მანევრი“ პრეზიდენტის მომავალი არჩევნების წინ. ამჟამად დეპუტატის ძირითადი განაკვეთი სამჯერ მეტია ქვეყანაში ხელფასის საშუალო დონესთან შედარებით და შეადგენს 32184 ლევს (დაახლოებით 192 ლარს).

ლებედი – ახალი კომისიის თავმჯდომარე

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თავისი თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ალექსანდრე ლებედი თავმჯდომარედ დაუნიშნა კომისიას, რომელმაც უნდა აწარმოოს „დეტალური მოლაპარაკება ჩეჩნეთის რესპუბლიკის კრიზისის მოსაგვარებლად“. კომისიაში შედიან აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტი ვალერი კოკოვი, რუსეთის ეროვნებების საქმეთა და ფედერაციულ ურთიერთობათა მინისტრი ვიაჩესლავ მიხაილოვი, პრეზიდენტის მრჩეველი ემილ პაინი, ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტები რუსლან აუშევი და ახსარბეგ გალაზოვი.

კარდიოქირურგები თათბირობენ

ცნობილი რუსი კარდიოქირურგი რენატ აქჩურინი შეერთებულ შტატებში ჩავიდა, რათა მოეთათბიროს თავის უფროს ამერიკელ კოლეგას მაიკლ დებეკის. ეს მივლინება რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მომავალ ოპერაციასთან არის დაკავშირებული.

სომხეთის პრეზიდენტმა გააუქმა მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვა

სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა განაცხადა, რომ „კონსტიტუციურ წყობილებას აღარ ემუქრება უშუალო საფრთხე“ და გააუქმა 26 სექტემბერს შემოღებული მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვა. მთავრობამ უკანასკნელი ჯარები გაიყვანა ერევნიდან 11 ოქტომბერს. შავარშ კოჩარიანი და სამველ შახინიანი, ოპოზიციის ორი თვალსაჩინო წევრი, საპატიმროდან გამოუშვეს 9 ოქტომბერს. ამავე დროს ყოფილმა ეროვნული უშიშროების მინისტრმა დავით შახნაზარიანმა მოითხოვა, გადადგნენ პრემიერ-მინისტრი და თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და განაცხადა, რომ მათ ბრალი მიუძღვით ქვეყანაში დაძაბული სიტუაციის შექმნაში. ჰანეკე გელდერბლომ-იანკჰოუტმა, სომხეთში ვიზიტად მყოფი ევროსაბჭოს დელეგაციის წევრმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტის არჩევნები არ ყოფილა დემოკრატიული და დელეგაცია სრულ ანგარიშს ნოემბერში გამოაქვეყნებს.

ყაზახ კომუნისტებს სსრ კავშირის გაგონებაც არ სურთ

ყაზახეთის კომუნისტური პარტიის წევრებმა ხმა მისცეს თავიანთი წესდებიდან იმ პუნქტის ამოგდებას, რომელიც შეიცავს მოწოდებას პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და სსრ კავშირის აღდგენის შესახებ. კომუნისტთა კონგრესის დელეგატებმა აგრეთვე გადაწყვიტეს შექმნან საერთო-ეროვნული კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც კონგრესს გამართავს 1997 წლის დამდეგს. ერთ-ერთმა პარტიულმა ლიდერმა განაცხადა, რომ კომუნისტურ პარტიაში შედის დაახლოებით 50 ათასი წევრი, რომელთა უმრავლესობას ხანდაზმულნი შეადგენენ.

თუ ავტომობილის ყიდვა გსურთ

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი „როგორ ვიყიდოთ მანქანა გერმანიაში“. ახლა კი გთავაზობთ წერილს — როგორ შეიძინოთ ავტომობილი მოსკოვში. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვიშოვოთ მანქანის საყიდელი ფული, ამაზე არსებობს სპეციალური ლიტერატურა სერიიდან „როგორ გავხდეთ მილიონერი“.

რა ღირს ავტომობილი



სხვადასხვა ფირმაში ავტომობილის ერთი მოდელის ღირებულების შედარებისათვის უნდა გაარკვიოთ, რა შედის კონკრეტულ ფასში, აგრეთვე დააზუსტოთ ყოველი გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი ფასნამატის ოდენობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გამოიტანოთ დასკვნა, როგორი ფასები აქვთ ფირმაში, მაღალი თუ დაბალი.

მყიდველის მოტყუების გავრცელებული ხერხი — გაცნობებენ მხოლოდ საბაზრო ფასს, მაგრამ არაფერს არ გეუბნებიან ფასნამატზე (ფირმა „CABA“), ანდა „არევენ“ კომპლექტაციას (გაუმჯობესებით გეუბნებიან, ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი აქვსო — ავტოსადგომზე კი 4-საფეხურიანი ფირმა „რო[illegible]ნისა“).

განვმარტავთ, რომ „საბაზო მოდელი“ — ეს არის ავტომობილი სამომხმარებლო თვისებების ყოველგვარი გაუმჯობესების გარეშე (არაპრესტიჟული ფერი, საბურავო რეზინი), მაგრამ ასეთი ავტომობილები იშვიათია — ეს მოგებას არ აძლევს არც ავტოსალონს, არც ქარხანას. როგორც წესი, ყველა ფირმა სამამულო ქარხნებიდან იღებს გაუმჯობესებული კომპლექტაციის ავტომობილების პარტიებს ასორტიმენტით ან „სამოდელო რიგის“ შესაბამისად, თანაც გაუმჯობესების ყოველი ელემენტისათვის ქარხანა ამატებს ფასს. მართალია, საბითუმო გაყიდვის დროს შეიძლება დაწესდეს ერთიანი ფასი სხვადასხვა კომპლექტაციის ავტომობილებზე, როგორც, მაგალითად, ფირმა „ზევავტოსერვისში“.

მოსკოვის ფირმებში არსებული ფასნამატების წესი დაახლოებით შემდეგია: რეზინი Matador, Goodyear(არ შეგეშალოთ უკრაინული წარმოების სერვისში) — 100 დოლარი, ხავერდგადაკრული სალონი — 150, ანატომიური სავარძლები — 400-მდე, პრესტიჟული ფერი — 300-მდე („მეტალიკი“ — „ვაზ“-ისათვის შავი — „გაზ“-ისათვის), მაღალი პანელი („ვაზ“-08, 09-ისათვის) — 400მდე, მაკომპლექტებელი ნაწილების კოდირება — 50, გაუმჯობესებული საკიდარი — 300, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი („გაზ“-ისათვის) — 1100, დეკორატიული ელემენტები — 100, იმპორტული მაგნიტოლა — 100-300 დოლარი და ა. შ.).

მიმართეთ იქ, სადაც მეტი არჩევანია

თუ ავტოსალონი არჩევანისათვის გთავაზობთ სულ ორ ავტომობილს, ანდა არ გისახელებთ მათს რაოდენობას, უმჯობესია სხვა ფირმას დაუწყოთ ძებნა. თუმცა არის გამონაკლისიც: მაგალითად, ხუთკარიან „ნივას“ მხოლოდ „ლოგოვაზ ავტოარტის“ ავტოსალონში იყიდით.

ზოგჯერ მიმართავენ ავტომობილების მეკვეთით მიწოდების პრაქტიკას. როგორც წესი, წინასწარ იღებენ 100 პროცენტს, მაგრამ შესაძლებელია ნაკლები ოდენობაც, მაგალითად, ფირმა ს. ტ. ლ.-ში იღებენ 10-15 პროცენტს („გაზ“ ავტომობილი), მიწოდების ვადა კი ჩვეულებრივ ორი კვირაა. მეკვეთით მიწოდებით ხელშეკრულების დადებისას ყურადღება უნდა მიაქციოთ ავტომობილის კომპლექტაციას, მიწოდების ვადის ზუსტ მითითებას და მხარეთა პასუხისმგებლობას. თუ ავტომობილი სხვა ფერის ან სხვა კომპლექტაციის და დეფექტიანი გამოდგა, უფლება გაქვთ უარი თქვათ მის მიღებაზე და მოითხოვოთ ფულის დაბრუნება 5 დღის ვადაში.

ფულადი ანგარიშსწორების უსაფრთხოება

ჩვეულებრივ, ფულადი ანგარიშსწორების გაფორმება ხდება იმავე შემოკავებულ და დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ავტომობილების სადგომია განლაგებული. მაგრამ ხდება ხოლმე სხვაგვარადაც. მაგალითად, ფირმა „როსკონში“ მყიდველი არჩევს ავტომობილს 1905 წლის ქუჩის სადგომზე, ხოლო გაფორმება და გადახდა ხდება კურსკის ვაგზლის მახლობლად. თუ გზაში ფული ამოგაცალეს, საეჭვოა, რომ ფირმამ პასუხისმგებლობა იკისროს.

როგორ მოვიქცეთ, თუ ავტომობილი მოგვეწონს, ხოლო ტექპასპორტი არ არის (გზაშია ან გასასწორებლად არის გადაცემული), ფულის შეტანას კი ერთბაშად ითხოვენ? აქ რთულია რაიმე რჩევის მოცემა. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასეთ დროს შეიძლება ფულიც დაკარგოთ და ავტომობილიც.

გაყიდვისწინა სამზადისი

ავტომობილის გაყიდვისწინა მომზადება, ურომლისოდაც ვაჭრობა აკრძალულია, რეგლამენტირებულია სერვისის წიგნაკში. იგი გულისხმობს შემდეგ ოპერაციებს:

— ძარის, ლაქსაღებავით დაფარვის წვრილმან დაზიანებათა აღმოფხვრას,

— ყველა სითხის დონეთა შემოწმებას,

— თვლების, საჭის სამართავი მოწყობილობის დამაგრებას,

— კარბიურატორის უქმი სვლის სისტემის შემოწმებას და რეგულირებას (თუ საჭიროა), გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის კონტროლთან ერთად.

— ავტომობილის სასინჯი გამოყვანისას უნდა შემოწმდეს ყველა სისტემისა და ხელსაწყოს მუშაობა.

ცნობილია, რომ გაყიდვისწინა მომზადების აღნიშვნის გარეშე ავტომობილი არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურებას. ვინ აკეთებს ამ აღნიშვნას? რაც შეეხება ვაზ-ს, თითქმის წელიწადია, რაც ქარხანამ ამას თავი დაანება. შტამპს სვამს ერთ-ერთი დილერი გზაში ქარხნიდან მყიდველამდე, ანდა სხვა ორგანიზაცია, რომელსაც აქვს რუსეთის სახსტანდარტის მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი თუ გაყიდვისწინა მზადებას ავტოსალონი უზრუნველყოფს, მაშინ ალბათ კარბიურატორთან და სამაგრების დაჭიმვასთან პრობლემები თქვენ არ გექნებათ. არის ხოლმე, რომ ავტომობილი უკმარდაკომპლექტებულია, მაგრამ ყველა ნაკლული ნაწილი იყიდება საცალო ვაჭრობის ქსელში. მაგალითად, სარკე, ტუმბო ან ინსტრუმენტები. ამ შემთხვევაში ფირმამ ავტომობილის ღირებულებას უნდა გამოაკლოს ნაკლული ელემენტების ღირებულება. თუკი ლაქსაღებავი საფარი უმნიშვნელოდ არის დაზიანებული (მაგალითად, კონცერნ „ოქტიაბრს“ ავტომობილები თავისი სვლით მოჰყავს ქარხნიდან), მაშინ ფირმამ ფასი უნდა ჩამოაკლოს.

შეიძლება თუ არა ავტომობილის უკან დაბრუნება?

მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის საფუძველზე თქვენ 14 დღის განმავლობაში შეგიძლიათ უკან დააბრუნოთ ავტომობილი მაშინაც კი, თუ იგი გამართულია. თუმცა, ამის შემდეგ კლებულობს მისი ლიკვიდურობა — „იგი უკვე ახალი აღარ არის“. მაგრამ ავტომობილის ჩაბარება უპრობლემოდ შეგიძლიათ სახელმწიფო ავტოინსპექციის აღრიცხვაზე მის აყვანამდე. თუკი თქვენ ავტომობილი უკვე დააყენეთ აღრიცხვაზე, მაშინ დაბრუნებისას იგი განიხილება როგორც საკომისიო და ფირმა შეძლებს მანქანა მიჰყიდოს ახალ მყიდველს მხოლოდ საკომისიო გაფორმების ლიცენზიის ხელთქონის საფუძველზე.

თუკი თქვენ ავტომობილის დეფექტი აღმოაჩინეთ საგარანტიო ვადის გასვლამდე, მაშინ ვალდებული არიან აღმოფხვრან ეს დეფექტი 10 დღის განმავლობაში დამამზადებელი ქარხნის ტექმომსახურების ქსელში. 20 დღის განმავლობაში — თუ გამყიდველს მიმართავთ, ანდა ერთი თვის განმავლობაში გამოცვლით ავტომობილს. შესაძლებელია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაბათილებაც, რაზეც ფირმები ერთობ უხალისოდ თანხმდებიან. ასეთი შემთხვევები გამოვლინდა მხოლოდ „არლანის“ ფირმაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ საგარანტიო მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზი მაგნიტოლისა და სიგნალიზაციის თვითნებური დაყენებაც კი შეიძლება გახდეს.

მაგრამ თუკი თქვენ ტექნიკური მომსახურების სადგურს გამყიდველი ფირმის შუამავლობის გარეშე მიმართავთ, ალბათ მიიღებთ ერთ-ერთს შემდეგ პასუხთაგან:

1. თქვენი მანქანა გამართულია (იმ შემთხვევაში, თუ დეფექტი უმნიშვნელოა);
2. უწესივრობა თავისთავად აღმოიფხვრება სიარულის პროცესში.
3. დიაგნოსტიკა ფასიანია, 50 ათასი რუბლი, ხოლო რემონტი — უფასო, მაგრამ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო მისი ლოდინი ორ თვეს მაინც მოგიწევთ.
4. შეგიძლიათ გაარემონტოთ სწრაფად, ოღონდ — ფული უნდა გადაიხადოთ.

გამოსავალი მაინც არის — მიმართეთ დამამზადებელ ქარხანას, ანდა წინასწარ დადეთ ალტერნატიული საგარანტიო მომსახურების ხელშეკრულება ავტოსალონს. ეს, როგორც წესი, დამატებით დაგიჯდებათ 100-250 დოლარი. რეექსპორტული ავტომობილების ან ნახმარი უცხოური მანქანების შეძენის შემთხვევაში, ეს არის საგარანტიო მომსახურების მიღების ერთადერთი გზა.

თუკი ფირმა, რომელსაც საგარანტიო მომსახურების ხელშეკრულება დადეთ, არ ცნობს დეფექტს (საგარანტიო ვალდებულებათა შეუსრულებლობა ყველაზე გავრცელებული დარღვევაა), მაშინ აუცილებელია ექსპერტიზის გავლა ტექნიკური მომსახურების სადგურში.

გარდა იმისა, რომ თქვენ თვითონ უნდა დაესწროთ ექსპერტიზას, უნდა მოითხოვოთ, რომ კომისიაში შეიყვანონ ნებისმიერი დაინტერესებული პირი. თუკი ექსპერტიზა გამოიტანს დასკვნას, რომ მანქანა უწესივროა და ეს თქვენი ბრალი არ არის, მიმართეთ სასამართლოს (უმჯობესია ფირმის მისამართით).

სამწუხაროდ, მოსკოვში არ არის მანქანებით მოვაჭრე ფირმების ასოციაციები და პრაქტიკულად არ არის არც მყიდველთა უკუკავშირი მოსკოვის მთავრობის ორგანოსთან, რომელიც ავტომობილების გაყიდვის ლიცენზიას გასცემს, ასე რომ, თუკი თქვენი უფლებების დარღვევას წააწყდებით, მაშინ უნდა იჩივლოთ მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოში.

ავტოსალონის სახელწოდება	რომელი წლიდან არის ბაზარზე	გასაყიდი ავტომობილების მარკები	ავტოსადგომების რაოდენობა (მოსკოვში)	ავტომობილების რაოდენობა(მოსკოვში)	ავტოსადგომ. რაოდ. (მოსკოვს გარეთ)	ვაზ 21093-ის ღირებულება კომპლექტაციის მინ. მაქს. ათ. აშშ დოლარი	ვაზ 21043 და ვაზ 21047-ის ღირებ. (კომპლექტ. მაქს.) ათ. აშშ. დოლარი	გაზ 31029-ის ღირებულება კომპლექტ. მინ. მაქს. ათ. აშშ დოლარი	ვინ ახორციელებს გაყიდვისწინა მომზადებას	ვინ ახორციელებს საგარანტიო მომსახურ.
არლან სბ	92	ვაზ	3	150	7	8,4-8,9	7;7,5	–	არლანი	ტმს
ზევავტოსერვისი	95	ვაზ	1	150	–	8,7	6,8;7,4	–	სავაჭრო სახ. ლადა	სტროგინო ლადა
ლოგოვაზი	89	ვაზ	5	140	20	8,8-9,82	7,4; 8,1	–	ინჟენერინგ	
ლოგოვაზ ავტოარტი	93	ვაზ	1	30	–	ნივა კედრ 11.3-12,5			დილერ ვაზ	გაგარინ ლადა
„ოქტიაბრი“	89	გაზოაზ	1	100	–	–	–	7,2-9,05	„ოქტიაბრი“	„ოქტიაბრი“ ტმს
ს. ტ. ლ	93	ვაზ, გაზ	3	400	9	8,3-9,05	6,65;7,32	7,2-8,2	ს. ტ. ლ.	ს. ტ. ლ. ტმს

„იზვესტიის“ კორესპონდენტი ესაუბრება ზელიმხან იანდარბიევს

„ომის“ ჭრილობების მოშუშებას ათწლეულები დასჭირდება

შეხვედრა საღამოს იყო დანიშნული, მაგრამ მხოლოდ ღამით გაიმართა. „ომია...“ — ერთი სიტყვით განმარტა სიტუაცია პრეზიდენტის თანაშემწემ.

საუბარი დაიწყო შეკითხვით რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან ჩეჩნეთის მხარის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებათა შინაარსის შესახებ.

— შეთანხმებებში არ არის არც ერთი კონფიდენციალური პუნქტი, ჩვენს მოქალაქეებს ყველა პუნქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დახმარებით გავაცანით. ჩვენ დაუფარავი პოლიტიკის პრინციპების მომხრენი ვართ. უფრო მეტიც, მოეწყო ხელმოწერილი დოკუმენტების საერთაშორისო ექსპერტიზა, საიდანაც ირკვევა, რომ ნაკისრი ვალდებულებებით ჩვენ არავითარ საფრთხეს არ ვუქმნით მოპოვებულ თავისუფლებას.

რუსეთთან ურთიერთობაში — განსაკუთრებით დოკუმენტების ხელმოწერისას — ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, თუმცა უღიარებელი. მიმაჩნია, რომ საერთაშორისო გაერთიანების მიერ ჩეჩნეთის უღიარებლობა, ერთი მხრივ, საერთაშორისო სამართლის არასრულქმნილობის შედეგია. სხვადასხვა დროს მიღებული ერების თვითგამორკვევის, სახელმწიფოთა მთლიანობისა და სხვა ანალოგიური დებულებები ვეღარ ეგუებიან თანამედროვე რეალიზმს, მეორე მხრივ, ეტყობა, საერთაშორისო გაერთიანებას უბრალოდ ეშინია რუსეთისა, ანდა ეშინოდა — ჩეჩნეთის ომის დასასრულამდე.

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი იუწყებოდნენ, რომ ჩეჩნეთის სტატუსი ხუთი წლის შემდეგ განისაზღვრება.

— არა, ეს ასე არ არის. რუსეთის მთავრობასთან 3 ოქტომბერს ხელმოწერილ დოკუმენტებში ჩვენი რესპუბლიკის სტატუსზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. იქ საქმე ეხება რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის ხასიათს. ვთქვათ, ჩვენ არ მოვითხოვთ ჩეჩნეთის დაუყოვნებლივ ცნობას. ეს ჩვენი მხრივ დიდ დათმობად მიგვაჩნია და მას დავთანხმდით მძიმე ომის, უდიდესი მსხვერპლისა და წმინდა წყლის ყაჩაღობის შემდეგ, რომელიც თავს დაატეხეს ჩვენს მოსახლეობას ფედერალურმა ჯარებმა. უნდა აღინიშნოს ასეთი მომენტიც. დათქმულია, რომ ჩვენ უფლება გვაქვს არ დაველოდოთ 2001 წლის 31 დეკემბერს და დავაყენოთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ცნობის [illegible]

— [illegible] პოლიტიკური კრიზისა და ოფიციალურ [illegible] სხვადასხვაგვარად მიაჩნია, და ისინი ჩეჩნეთის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსებას სწორედ სტატუსის განსაზღვრით განაპირობებენ.

— ჩვენ სალად ვაფასებთ სიტუაციას — რუსეთი თვითონ არის ღარიბი, ფული არ გააჩნია. და აქ, საჭიროა გაიმიჯნოს დაფინანსებისა და ჩვენთვის ომით მოყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ცნებები. ნგრევის მასშტაბი უდიდესია. წინასწარი შეფასებითაც კი, ზარალი 140 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული. საავადმყოფოების, სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების დაახლოებით 70 პროცენტი დანგრეულია. განადგურებულია გზები, პირწმინდად მოისრა ყველა უმაღლესი სასწავლებელი. ნახევარზე მეტად არის დანგრეული არღუნი და გუდერმესი, და მთლიანად — ქალაქი გროზნო. ათობით სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა, ასობით — გაპარტახდა. დღეს 500 ათასზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა, ხოლო 400 ათასამდე ჩვენმა მოქალაქემ ჩეჩნეთიდან წასვლით უშველა თავს. და, ბოლოს, ამ საზარელ ომში ჩვენ დავკარგეთ 100 ათასამდე კაცი, ძირითადად მშვიდობიანი მცხოვრებნი, დაღუპულთა სახით, 37 ათასი დაჭრილისა და დაახლოებით 8 ათასი მძიმედ დაჭრილის სახით.

ვშიშობ, რუსეთში ყველას ვერ გაუგია: თავისუფლებისათვის ბრძოლაში ასეთი მსხვერპლის გაღების შემდეგ ჩვენ არამც და არამც, არავითარი დაფინანსების გულისათვის არ დავთმობთ მას.

— ნგრევის ასეთი მასშტაბი მოითხოვს კვალიფიციურ სპეციალისტებს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის აღსადგენად. როგორ მიმდინარეობს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება? საერთოდ, როგორ მიმდინარეობს ჩეჩნეთში ცხოვრების ნომალიზაციის პროცესი? რესპუბლიკაში მანქანით რომ მოვდიოდით, ჩვენ ვნახეთ, რომ მინდვრად მუშაობენ, გროზნოში ალებულია ხერგილები, გაჩნდა უამრავი ბაზარი...

— ჩვენ უაღრესად მძიმე ზამთარი მოგველის. იმისათვის, რომ ომის ჭრილობები მოვიშუშოთ, ათწლეულები დაგვჭირდება. რაღა თქმა უნდა, ადამიანები გულხელდაკრეფილნი არ სხედან. გლეხები ომის დროსაც ხნავდნენ და თესავდნენ. მაგრამ იშვიათია დღემ ისე ჩაიაროს, რომ არ მოვიდეს ცნობა ნაღმზე ვისიმე აფეთქების შესახებ. ჩვენ არა გვყავს მესანგრეთა ქვეგანაყოფები, ჩვენ არ წამოგვიწყია ნაღმების ომი. დანაღმული ველების რუკებს რუსი სამხედროები ჯერჯერობით არ გვაძლევენ. გროზნოს წყურვილი ჰკლავს, ხოლო ერთი წყალსადენი დანაღმულია და სიახლოვესაც ვერ ვეკარებით, გადათხრილ- გადაბუგულია ჩვენი მინდვრები. ჩეჩნეთში 500 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ომობდა, ამ მინდვრებზე გადაიარა 10 ათასმა ერთეულმა ჯავშანტექნიკამ. აგებდნენ ზღუდეებს, სადაც მოეპრიანებოდათ, თხრიდნენ ბლინდაჟებსა და სანგრებს. ეს ჭრილობებიც კიდევ დიდხანს ვერ მოიკრავს პირს.

მე ვერ ვხედავ პრობლემას კოალიციური მთავრობის შექმნაში. იმ რამდენიმე კაცის გარდა, რომლებიც აშკარა ღალატის გზას დაადგნენ, დანარჩენებს შეუძლიათ და, თუ მოისურვებს, იმუშავებენ. ჩვენ ძალიან გვჭირდება გამოცდილები, კვალიფიციური და პატიოსანი ადამიანები.

— ჯარები მიდიან. ჩვენ ვნახეთ მიმავალი კოლონები, ტრადიციისამებრ სამხედროები ჯავშანტრანსპორტიორებსა და მანქანებს უკან ჰკიდებენ ცოცხებს — დარჩენილ კვალს აგვევინებენ, რათა აღარასოდეს დაბრუნდნენ. თქვენ კმაყოფილი ხართ ჯარისკაცთა გაყვანის ტემპით?

— ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ რუსი ჯარისკაცები მიდიან. სხვა საკითხია — როგორ მიდიან. ეტყობა, ზოგიერთ სამხედროს ჩეჩნეთისათვის მოტანილი ქონება ეცოტავება, და წასვლისას რაც ხელში მოჰყვებათ, ყველაფერი მიაქვთ. კლიმოვსკის აეროდრომზე ბეტონის ფილების აძრობაც კი დაიწყეს. ყოველი ასეთი ფილა დაახლოებით 400 ათასი რუბლი ღირს, მაგრამ ალბათ ასეთ საქონელსაც გამოუჩნდა მუშტარი. რუსეთის სამხედრო სარდლობა ჩვენ არ გვიზიარებს ჯარის ნაწილების გაყვანის გეგმებს, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ მოასწრონ ამის დამთავრება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, ისე, როგორც ვარაუდობდნენ.

— როგორ მოქმედებენ ერთობლივი კომენდატურები?

— საკმაოდ ეფექტიანად და ჯერჯერობით უკონფლიქტოდ. ისინი შექმნილია გროზნოს ოთხ რაიონში, ერთი — საერთო-საქალაქო. ჩეჩნეთის რესპუბლიკის დანარჩენ ნაწილში ძალაუფლება ჩვენ გვეკუთვნის და რუსეთის წინაშე ამ ტერიტორიის მართვის არავითარი ვალდებულებანი ჩვენ არა გვაქვს. პასუხისმგებლობა [illegible] კისრება.

მოდა



განთქმული მოდელი კლაუდია შიფერი პორტუგალიელი დიზაინერის ნუნო გამას ნაწარმოებს უწევს რეკლამას.

ეს საპატარძლო კაბა ჩიარა ბონის კოლექციიდან არის.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების— **OMRI** -სა და **„პლანეტა—ფორტეს“** მასალების მიხედვით.

უძღვება **არჩილ მანჯგალაძე.**

ერისშვილები

დამაარსებელი

აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელს კარგად იცნობს არა მარტო ქართველი საზოგადოება. მას, როგორც დიდ მკვლევარს, მეცნიერების ორგანიზატორსა და მაღალკვალიფიციური კადრების აღმზრდელს იცნობენ და აფასებენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

წინამძღვრიშვილების ოჯახი ერთ-ერთი მოწინავეთაგანი იყო საქართველოში. ამან დიდი როლი შეასრულა ბატონი მიხეილის მსოფლმხედველობისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. თბილისის სასულიერო სემინარიადამთავრებულ ახალგაზრდას თან დაჰყვა ღვთისშვილთა სიყვარული და პროფესიის არჩევანიც, ალბათ, ამან განაპირობა.

სამედიცინო განათლება მ. წინამძღვრიშვილმა ხარკოვში მიიღო, აქვე მოხდა მისი, როგორც პრაქტიკოსი ექიმისა და მეცნიერის, ზრდა-დავაჟკაცება.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან გამოხმობილ მეცნიერთა შორის ბატონი მიხეილიც იყო. იგი, უკვე დიდად განსწავლული და დახელოვნებული კლინიცისტი, სამშობლოში დაბრუნდა და ენთუზიაზმით შეუდგა ეროვნული კადრების აღზრდისა და ქართული მედიცინის აღორძინების საქმეს.

1919 წლის 26 ივნისს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში მ. წინამძღვრიშვილმა დაიცვა დისერტაცია. ეს იყო მშობლიურ ენაზე დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია. მას მაღალი შეფასება მისცეს პროფესორებმა ა. ალადაშვილმა და ვ. მაღენიუკმა. მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ ახალგაზრდა სწავლულს წარმატება მიულოცა. 1921 წელს მ. წინამძღვრიშვილს დოცენტის წოდება მიენიჭა და დიაგნოსტიკის კათედრა ჩააბარეს. 1924 წლიდან იგი უკვე პროფესორია.

1930 წლიდან მიხეილ წინამძღვრიშვილი სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგეა. ამავე წელს, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ხანგრძლივი მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ — ბერლინში, ვენასა და პარიზში. აქ მუშაობს და ცხოვრობს ცნობილი მეცნიერების ბერგმანის, ბერგის, პორგესის, ფოლტის, ვენკებახისა და ვაკეზის სამყაროში. ისწავლა, დახელოვნდა, სრულყოფას მიაღწია და ის დიდი განძი ჩამოიტანა სამშობლოში, სახელად ცოდნა რომ ჰქვია.

ამ პერიოდიდან მთელი ძალით მჟღავნდება მისი საექიმო-მეცნიერული პოტენციალი. ბატონი მიხეილი ქართული სამედიცინო ლიტერატურის საგანძურს ავსებს პირველი ქართული მრავალტომეული სახელმძღვანელოთი შინაგან სნეულებათა პროპედევტიკაში, ჰქმნის საოცრად საინტერესო შრომებს ნეფროლოგიის, ჰემატოლოგიის, პულმონოლოგიის, გასტროენტეროლოგიის დარგში; კონსტიტუციურ-გენეტიკური როლის შესახებ ამა თუ იმ პათოლოგიის ჩამოყალიბებაში, პირველი მიაქცევს ყურადღებას ჭაბუკთა ჰიპერტონიას და 1935 წელს ფართოდ აცნობს მას სამედიცინო საზოგადოებას.

მ. წინამძღვრიშვილი დიდ დროს უთმობს პედაგოგიურ საქმიანობას. მისი ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განუხრელი ზრდა მთელს მსოფლიოში იმპერატიულად მოითხოვდა ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების ღრმა შესწავლას, კარდიოლოგია კი ბატონი მიხეილის სტიქია და სიყვარული იყო. სწორედ ამიტომ, თავდაუზოგავ საექიმო, მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, დაუცხრომლად ზრუნავს საქართველოში კვალიფიციური კარდიოლოგიური სამსახურის შექმნისათვის და დიდი ძალისხმევის ფასად 1946 წელს აღწევს კიდეც დასახულ მიზანს — აარსებს საბჭოთა კავშირში პირველ კარდიოლოგიის ინსტიტუტს, რითაც დასაბამი ეძლევა საქართველოში კარდიოლოგიის განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურს. გაკეთდა საერო და სათაობო საქმე — ნამდვილი გვირგვინი ბატონი მიხეილის მოღვაწეობისა, 16 წლის მანძილზე ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს იყო ამ დარგის ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ბატონმა მიხეილმა ჩვეულებრივი შემართებით გადალახა საორგანიზაციო სიძნელეები. იგი არაჩვეულებრივი რუდუნებით აყალიბებს ინსტიტუტის კოლექტივს. იწვევს მედიცინის სხვადასხვა დარგის წამყვან სპეციალისტებს, ნიჭიერ, ზნესრულ ახალგაზრდებს, საფუძველს უყრის მაღალპროფესიულ საბჭოს, ინსტიტუტს აღჭურავს თანამედროვე აპარატურით, მდიდარი სამამულო და უცხოური ლიტერატურით. ინსტიტუტში მკვიდრდება არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, თანადგომა, რაც დიდად უწყობს ხელს შრომით აღმავლობას.

ბატონმა მიხეილმა ინსტიტუტს იმთავითვე მისცა კლინიკური და ექსპერიმენტული მიმართულება, რადგან თვლიდა, რომ კლინიკა და ექსპერიმენტი განუყრელი დისციპლინებია და ყოველ მკვლევარს უნდა შეეძლოს მათი მონაცემების დაპირისპირება. მან თავიდანვე სწორად შეარჩია თანამედროვეობას მისადაგებული აქტუალური თემატიკა და მისი შესწავლის ხერხები ბრძნულად დასახა. დიდსა და გაუკაფავ გზაზე მას თან გაჰყვნენ მისი მეგობრები, კოლეგები თუ მოწაფეები, ვისაც ბედმა მასთან სიახლოვე არგუნა — გრიგოლ დიდებულიძე, თადეოზ მამალაძე, ოსკარ სტეპუნი, გიორგი მათეშვილი, ილია კობიაშვილი, ივანე გიგინეიშვილი, ვლადიმერ ქლენტი, ვლადიმერ ასათიანი, ბონდო ჩიქოვანი და, რაც მთავარია, იმედის მომცემი ახალგაზრდები. თაობებს შორის მოსალოდნელი სიცარიელე არ გაჩენილა, რადგან თავიდანვე შესისხლხორცდა უფროსი თაობის სიბრძნე-გამოცდილება და ნიჭიერი ახალგაზრდობის ძიების წყურვილი.

აკადემიკოსი წინამძღვრიშვილი პირველი ხუთი წლისათვის ინსტიტუტის მეცნიერულ კვლევის ძირითად მიმართულებად ირჩევს ჰიპერტონულ დაავადებას. 1947-48-49 და 1952 წლებში საქართველოს ყველა რაიონში და ქალაქ თბილისში, გარკვეული სქემითა და გეგმით ტარდება მოსახლეობის მასობრივი, დინამიკური გამოკვლევა. ამით მიხეილ წინამძღვრიშვილი პირველი აძლევს დასაბამს უცხოეთში დღეისათვის დიდად აქტუალურ ჰიპერტონული დაავადებების ეპიდემიოლოგიურ კვლევას და ჰქმნის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, ჩამოყალიბების საფუძველს.

ეპიდემიოლოგიური კვლევის პარალელურად ინსტიტუტში ფართოდ შეისწავლიან უმაღლესი ნერვული სისტემის როლს ჰიპერტონული დაავადების ჩამოყალიბებაში, ენდოკრინული და რენული ფაქტორების მნიშვნელობას დაავადების სტაბილიზაციის საქმეში; ბიოქიმიურ ლაბორატორიაში პროფესორ ო. სტეპუნის ხელმძღვანელობით მიიღება თირკმლისმიერი პრესორული ნივთიერება „რენოლი“, რომელიც უცხოეთში დიდ აღიარებას ჰპოულობს. მ. წინამძღვრიშვილი, სსრ კავშირში პირველი, ხსნის ბავშვთა კარდიოლოგიურ და ფარმაკოლოგიურ განყოფილებებს, ეს უკანასკნელი მუშაობს ახალი ჰიპოტენზიური მედიკამენტების მიღებაზე.

ბატონი მიხეილი უხვად მოპოვებული ეპიდემიოლოგიური, კლინიკური და ექსპერიმენტულ მასალის ანალიზის საფუძველზე აყალიბებს არტერიული ჰიპერტონიის, ხოლო მოგვიანებით, 1952 წელს აქვეყნებს ჰიპერტონული დაავადების კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციაში პირველად აღწერს ჰიპერტონული დაავადების შექცევად, რევერზიბილურ ფორმას, რომელიც დღეს სამედიცინო ლიტერატურაში მისი სახელით არის შესული. ბატონი მიხეილის აზრით, ჰიპერტონული დაავადების შექცევადობა შესაძლებელია არა მხოლოდ ადრეულ, არამედ მოგვიანო სტადიებშიც. ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმულ მის მოსაზრებას მხოლოდ უკანასკნელ ხანს შეისწავლიან უცხოელი მკვლევარები. მ. წინამძღვრიშვილი, სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ასევე პირველი გამოჰყოფს პრეჰიპერტონიულ მდგომარეობას, ერთდროულად იგი დასაშვებად მიიჩნევს არტერიული ჰიპერტონიის შეუღლებული ფორმების არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აკად. მ. წინამძღვრიშვილის ჰიპერტონული დაავადების კლასიფიკაცია გამოირჩევა თავისი აქტუალობით და დღესაც ფართოდ გამოიყენება კარდიოლოგიაში, როგორც სახელმძღვანელო ჰიპერტონული დაავადების კვლევის საქმეში.

1954-55 წლიდან ჰიპერტონული დაავადების პარალელურად კარდიოლოგიის ინსტიტუტში ისწავლება ათეროსკლეროზის პრობლემაც. ბატონი მიხეილი აკადემიკოს ი. ტატიშვილთან და ასპირანტ (ამჟამად პროფ.) რ. კაპანაძესთან ერთად მსოფლიოში ერთ-ერთი პირველთაგანი მუშაობს „უეცარი კარდიული სიკვდილის“ პრობლემაზე. ამავე დროს სწავლობს ისეთ რთულ საკითხს, როგორიც გულის კუნთის დისტროფიაა და მალე აყენებს მეცნიერულად გამართულ დებულებებს, იძლევა ამ დაავადების კლასიფიკაციის სავარაუდო სქემას, იწყებს მონოგრაფიის შედგენას, მაგრამ შრომა დაუმთავრებელი რჩება... 1956 წლის 28 დეკემბერს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა კავშირში პირველი კარდიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, თერაპევტთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრი, მრავალი საკავშირო სამედიცინო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თერაპევტთა რესპუბლიკური და თბილისის საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი მიხეილ წინამძღვრიშვილი. თითქმის ნახევარი საუკუნე გატაცებით და ერთგულებით ემსახურა თავის საყვარელ საქმეს და შთამომავლობას დაუტოვა მრავალი მეცნიერული შრომა, მონოგრაფია, მეცნიერ-მედიკოსების მთელი პლეადა, დიდი ტრადიციების მქონე კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

მადლიერი შთამომავლობა არ ივიწყებს მ. წინამძღვრიშვილის ღვაწლს, ამის დადასტურება გახლავთ მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა, რომელიც ამშვენებს დღეს ჩვენს დედაქალაქს. საქართველოს კარდიოლოგთა ასოციაციის მიერ დაარსებული მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილის სახელობითი პრემია საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის კარდიოლოგიის დარგში; კარდიოლოგიის ინსტიტუტის სკვერში მდგარი, დიდი ქართველი მოქანდაკის მ. ბერძენიშვილის ხელით შექმნილი ძეგლი წარწერით — Fundator (დამფუძნებელი). ამ ძეგლის ხილვისას არაჩვეულებრივი მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა გეუფლებათ და ჩნდება სურვილი კეთილსინდისიერად ემსახურო იმ საქმეს, რომლის დაარსებასა და აყვავებას შესწირა თავისი ცხოვრება მიხეილ წინამძღვრიშვილმა. საქმეს, რომელსაც ქართული ეროვნული მედიცინის აღორძინება ჰქვია.

ბონდო ქოგულია,
აკადემიკოსი, პროფესორი;

ვახტანგ ქავთარაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, პროფესორი,

ცისანა კაჭახიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

ფესტივალი

„ღვინობისა“

ახალგაზრდობის ზეიმია

თბილისში ერთ კვირას (6-13.X) გრძელდებოდა ფესტივალი „ღვინობისა“. ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ საქართველო-გერმანიის საზოგადოება — კულტურის ცენტრი „შიმალი“, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“, საქართველოს კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი.

საქართველო-გერმანიის საზოგადოება — კულტურის ცენტრი „შიმალი“ შეიქმნა 1992 წელს. აქ გაერთიანებული ახალგაზრდების მიზანია ხელი შეუწყონ საქართველოსა და გერმანიის მეგობრობას, ურთიერთდაახლოებასა და თანამშრომლობას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მათი ინიციატივით მოიწვიეს თბილისში გერმანიის „ვალდორფის“ სკოლის სიმფონიური ორკესტრი, მოაწყვეს გერმანიაში მოღვაწე ქართველი მხატვრების გამოფენა. 1993 წლიდან მოყოლებული „შიმალის“ წევრები რეგულარულად აწყობენ ფესტივალს სახელწოდებით „ღვინობისა — ახალი სახელები“.

„ოთხმოცდაათიანელებს“ საფუძველი ჩაეყარა შარშან. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მეცნიერების, განათლების, კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას. ამავე დროს, საზოგადოების წევრები დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსაც, კონფერენცია-სემინარებს მართავენ.

ფესტივალი „ღვინობისა“ ცდილობს გამოავლინოს და მხარი დაუჭიროს ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ახალგაზრდებს, დააახლოვოს ქართველი და გერმანელი შემოქმედები, წარუდგინოს ოთხმოცდაათიანელთა თაობის კულტურის მოღვაწეები ქართველ და უცხოელ საზოგადოებრიობას, უფროს თაობას.

• ფესტივალ „ღვინობისას“ პროგრამა საზოგადოებრიობას ფართო არჩევანს სთავაზობდა. სიმფონიური მუსიკის ცენტრში აჟღერდა გერმანული კლასიკური მუსიკის ქმნილებები (კონსერვატორიის სტუდენტთა და ასპირანტთა შესრულებით). ახალგაზრდებმა პროფესიული შესრულებით ფართო მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურეს. არანაკლებ აღფრთოვანებული დარჩა მაყურებელი მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლესთან არსებული გერმანულენოვანი ლიტერატურული თეატრის (ხელმძღვანელი — ქეთევან მებონია) წარმოდგენით. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ნიჭიერმა ახალგაზრდებმა შთაგონებით გააცოცხლეს სცენაზე ფრიდრიხ შილერის „ვილჰელმ ტელისა“ და „დონ კარლოსის“, ასევე ვილი ბრედელის — „მამები — ოჯახური კონფლიქტის“ გმირები. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა და „ქარვასლაში“ გაიმართა ახალგაზრდა მხატვართა საინტერესო გამოფენები, სადაც წარმოადგინეს ფერწერისა და გრაფიკის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ფესტივალ „ღვინობისას“ საზეიმო დახურვა შედგა სასტუმრო „მეტეხ-პალასში“. დამსწრეთა შორის იყვნენ საქართველოში გერმანიის საელჩოს კულტურის ატაშე ლეპელი, გოეთეს ინსტიტუტის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველო-გერმანიის საზოგადოების წარმომადგენლები. კონსერვატორიის სტუდენტებმა კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართეს; შესრულდა შუმანის, მოცარტის, შუბერტის, მენდელსონის, ბეთჰოვენისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები, მეორე განყოფილება დაეთმო თანამედროვე მოდების ჩვენებას (მოდელიორ-დიზაინერი — დავით რამიშვილი).

„ღვინობისა“ წლეულს მეტი დახვეწილობითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა.

თეა ცაგურიშვილი.

შევინარჩუნოთ წიგნი

1991-93 წლებში სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის რაიონების ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი განახევრდა

საქართველოს კულტურის სამინისტროს სისტემის საბიბლიოთეკო ფონდში ბოლო წლების მონაცემებით 30 მილიონზე მეტი წიგნია დაცული, რომელთა დიდი ნაწილი მსოფლიოს უნიკალურ წიგნად ფონდს განეკუთვნება და ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს. საგანძურს კი მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება. სამწუხაროდ, გულშემატკივარი და პატრონი დღეს ცოტაა. საყვედური ამ მიმართებით ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ბიბლიოთეკაში უანგაროდ მომუშავე პიროვნებების მიმართ გვმართებს, რადგან მათი დიდი (სამწუხაროდ, დაუფასებელი) შრომისა და მზრუნველობის შედეგია, რომ დღეს ბევრი ბიბლიოთეკის ფონდი გაუძარცვავი და ხელშეუხებელია.

1991-93 წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა კრიზისმა არც ბიბლიოთეკები დაინდო. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში გაიძარცვა ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი. სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის რაიონებში განახევრდა წიგნადი ფონდი, ჩხოროწყუს ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა კი მთლიანად დაიწვა. რაც წასაღები იყო, წაიღეს, ხოლო დანარჩენი „გამოსაზამთრებლად“ გამოიყენეს „წესრიგის დამცველებმა“.

აღსანიშნავია, რომ დაკარგული ლიტერატურის დიდი ნაწილი — საცნობარო ენციკლოპედიები, ლექსიკონები, აგრეთვე ხელნაწერითი, სერიული ლიტერატურა, ძველი გამოცემები და სხვა, როგორც შემდგომ გაირკვა, ბიბლიოთეკის ბეჭედდასმული წიგნები შავ ბაზარზე ან ბუკინისტურ მაღაზიებშიც იყიდება. მართალია, დღეს აღარ არის მასობრივი გაძარცვის ფაქტები, მაგრამ პროცესი ინერციით გრძელდება. თავს ამ შემთხვევაში ვერც ბიბლიოთეკის დირექტორები და თანამშრომლები იმართლებენ და ვერც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც ნაკლებად ან სულ არ ინტერესდებიან ამ საქმით იმ მოტივით, რომ კულტურისათვის დღეს არავის სცალია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ეს ლიტონი სიტყვები არ არის, რასაც ადგილებზე შექმნილი მდგომარეობა და ბევრი რაიონის გამგებლის კულტურის დარგში „მოღვაწეობაც“ ადასტურებს. ვიმეორებთ, რომ თავის მართლება დანაშაულია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში მხოლოდ კულტურის დაწესებულებების ენთუზიაზმის იმედად მუშაობა წარმოუდგენელია. „კულტურის გადარჩენის“ ჭეშმარიტად პატრიოტული მოწოდება ლოზუნგად არ უნდა დარჩეს და არც მხოლოდ კულტურის ობიექტების ამოცანად. ამ საქმეში ყველა უწყებას შეუძლია თავისი სიტყვის თქმა და საქმით თავის გამოჩენა.

კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების წინაშე ბევრი პრობლემა დგას. უპირველესი მათ შორის არის წიგნადი ფონდის გადარჩენა. კერძოდ, აუცილებელია ფონდის საცავების ტენიანობისა და ტემპერატურის რეჟიმის, სარესტავრაციო სამუშაოების, ფონდის გადაბარების წესისა და სხვა სპეციფიკური საკითხების მოგვარება, მაგრამ მთავარი დღეს მაინც ის არის, რომ წიგნი გადავარჩინოთ ხელყოფისაგან. ამ მიზნით, სამინისტროში შემუშავდა დოკუმენტი წიგნის დაკარგვის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის მიხედვით მკითხველის ან ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიზეზით დაკარგული წიგნის ანაზღაურება მოხდება ამავე წიგნით ან გაორმაგებული საბაზრო ღირებულების თანხით. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება წიგნების დიდი რაოდენობით ან რეგულარულად დაკარგვას, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია ფონდზე.

იზა დემეტრაშვილი,
კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხალხური შემოქმედების სამმართველოს მრჩეველი საბიბლიოთეკო დარგში.

ბინები, აგარაკები

ვყიდი ბინას ვერაზე ფილარმონიის წინ ოროთახიანს გადაკეთებულს სამოთახიანად, ხუთსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე. ბინა მაღალჭერიანია. საერთო ფართი 75 კვ. მ. ლოჯიით და ორი აივნით, ტელეფონით. სინათლე, ლიფტი და წყალი მუდმივადაა. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 93-40-75, ეკა, დათო. 31-68-26, გია.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება ოროთახიანი, იზოლირებული ბინა დიდ დიღომში. მე-3 მიკრორაიონის დასაწყისში. საწყისი ფასი 12 000 ლარი. დარეკეთ: 61-84-91.

ვიქირავებ ერთ ან ოროთახიან, იზოლირებულ ბინას, ვერაზე ან ვაკეში — ავეჯით და ტელეფონით. 94-35-75.

იყიდება სამოთახიანი, არასტანდარტული ურემონტო ბინა, რომელიც ყავლაშვილის პროექტითაა, 16-სართულიანის მე-8 სართულზე. მისამართი: ნუცუბიძის პლატო: მე-3 მ. რ. მე-2 კვარტალი, მე-4 კორპუსი. ტელეფონი: 98-55-80; კოკაია.

ქირავდება ოროთახიანი, იზოლირებული ბინა ცხელი წყლით, ფალიაშვილის ქუჩაზე, პირველ სართულზე. ფასი 120 ლარი. ტელეფონი: 22-77-91.

იყიდება გვერდიგვერდ მდებარე სამოთახიანი (კუთხის) და ოროთახიანი, არასტანდარტული ბინები, რომლებსაც აქვთ მიშენებული დიდი ლოჯიები და აივნები, ტელეფონით, სარდაფებით: მანქანის სადგომებით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-6 კვ. კინო „თბილისის“ უკან, ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე. შეიძლება სხვენის გამოყენება. ფასი 50 ათასი დოლარი. ტელეფონები:95-89-13; 51-09-63.

ვცვლი ან ვყიდი ქუთაისიდან თბილისში ოროთახიან ბინას, 5-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ბინას აქვს მიშენების პერსპექტივა. ფუნდამენტი ჩაყრილია. ბინა კარგ ადგილზე მდებარეობს. ტელეფონი: 35-32-63.

იყიდება ოროთახიანი, გარემონტებული ბინა სამედიცინო ინსტიტუტთან, მიცკევიჩის ქუჩაზე. ბინა არის 8-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე ლოჯიით, აივნით, ტელეფონით, რკინის კარებით, სარდაფით. ფასი 31 ათასი დოლარი. ტელეფონი: 38-65-03.

იყიდება ორსართულიანი აგარაკი მანგლისში, სახლი არის ტყის პირას, ხეხილიანი ბაღით. ფასი 10 ათასი დოლარი. ტელეფონი: 66-35-46.

ვყიდი ვერაზე, შანიძის ქ.№ 22-ში, კაპიტალურ სახლში, მე-3 სართულზე, რვაოთახიან, იზოლირებულ ბინას. საერთო ფართია 200 კვ.მ. ბინას აქვს ხუთი სარდაფი, ტელეფონები და ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 150 000 დოლარი. 29-26-77, 23-09-63.

ქირავდება ოროთახიანი, ტელეფონიანი ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-2 კვარტალში. 31-88-11; 31-44-64.

იყიდება ხუთოთახიანი გარემონტებული ბინა 13-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე, ფანასკერტელის ქუჩაზე (მხატვრების ბინა). საერთო ფართი 220 კვ.მ. სამი აივნით, დიდი ლოჯიით. საწყისი ფასი 130 ათასი დოლარი. ტელეფონი: 37-13-63.

ვიქირავებ ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით, ავეჯით, ვაკეში ან ვერაზე. ტელ: 93-12-42; ზვიადი.

ვაქირავებ კერძო სახლს საბურთალოზე, ცაგარელის 84. ეზოთი და ავტოფარეხით. ფასი 260 ლარი. ტელ: 37-08-01.

იყიდება ერთოთახიანი, სუფთა ბინა, ტელეფონით დოლიძის ქუჩაზე; 8- სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ბინის საერთო ფართია 30 კვ.მ. ჭერის სიმაღლე 2 მ. 70 სმ. მიშენებული ლოჯის კარკასით (32 კვ.მ.) ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 22-03-48. ნუნუ.

იყიდება ნუცუბიძის მე-3 მ/რ ყოფილ რაიკომთან ოროთახიანი, იზოლირებული, ტელეფონიანი, სუფთა ბინა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-74-77.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ზემელზე, ერთ იზოლირებულ ოთახს სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-58-65. ნუნუ.

ვაქირავებ ოროთახიან ბინას, ლოჯით, ბარნოვის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-35-25.

იყიდება ოროთახიანი 70 კვ.მ. იზოლირებული, მაღალჭერიანი ბინა ტელეფონით, მეტრო „რუსთაველთან“ ახლოს (გიორგი ახვლედიანის ქ. 14). ბინა ხანძრის შედეგად საჭიროებს რემონტს, გამოდგება ოფისისათვისაც. საწყისი ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 22-16-08.

იყიდება სასწრაფოდ ვაკეში, საცურაო აუზთან, ხუთოთახიანი, მშენებარე ბინა 250 კვ.მ. საერთო ფართით. ბინას აქვს ავტოფარეხი პირველ სართულზე. ბინა დამთავრების სტადიაშია. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ — 29-18-57.

ქირავდება ერთოთახიანი ბინა დიღმის მასივში, II კვარტალი, მე-11 კორპ. მე-2 სართულზე. დარეკეთ — 34-41-74 ან 34-50-53, ლია.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მუხიანში, მე-3 მ.რაიონში, მე-7 სართულზე, მე-17 კორპუსში, ბინა ჩეხური პროექტისაა. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ — 96-12-73.

იყიდება კერძო სახლი სვანეთის უბანში, მე-5 ბავშვთა საავადმყოფოსთან. ფასი 15 000 დოლარი. დარეკეთ — 96-12-73.

ვაქირავებ ერთ ოთახს კერძო სახლში, ცალკე შესასვლელით, საბჭოს მოედანთან ახლოს. ფართი 12 კვ.მ. აქვს წყალი და ტელეფონი. ფასი ერთ სულზე 25 ლარი, ორზე 30 ლარი. დარეკეთ — 95-15-44, დღისით, თინა.

სასწრაფოდ იყიდება ყავლაშვილის პროექტის ოროთახიანი ბინა დოლიძის ქუჩის № 27-ში, ლოჯიით, აივნით, ავტოსადგომით, ტელეფონით. დარეკეთ — 36-78-72. ადიკო.

იყიდება ოროთახიანი ბინა მეტრო ისნის გვერდით, კაპიტალურ თერთმეტსართულიან სახლში პირველ სართულზე. ფასი შეთანხმებით. 74-52-90, აჩიკო. ციცო.

იყიდება ორსართულიანი, საკუთარი სახლი გათბობის სისტემით, ტელეფონით, ხეხილიანი ეზოთი, მეგრელიძის ქუჩაზე (საბურთალო). ეზოს ფართია 510 კვ.მ. სახლის ზომებია 11X17. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ — 39-64-87. საღამოს.

იყიდება სავაჭრო ობიექტად, საოფისედ მომზადებული ერთოთახიანი ბინა საბურთალოზე, კოსტავას ქუჩის № 75-ში, I სართულზე. მისი რეკონსტრუქციის პროექტი დამტკიცებულია არსებული წესით, ბინაში არის ტელეფონი, სარდაფი, ფასი 14 ათას 500 დოლარი. ტელეფონი — 39-64-87, საღამოს.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, მიშენებით, დიდი, მშრალი სარდაფით, მესამე ოთახი ქვეშ კაპიტალური გარაჟით გასამართია. მისამართი — ნუცუბიძის ქ. № 74, ტელ: 31-35-76, ნათია. ფასი შეთანხმებით.

ვყიდი სახლს, ლამაზი ეზოთი და 1700 კვ.მ. ხეხილის ბაღით. სახლი ბელეტაჟზეა, ზემოთ 4 ოთახია. ქვემოთ ოთხი სარდაფია საკუთარი გათბობით, რუსული ღუმელებით. ეზოში აუზი და სხვა სათავსოებია. მისამართია — აეროპორტის დასახლება (ალექსეევკა), ხვედელიანის, 8. ტელ: 29-43-29, მზია.

ვაქირავებ 70 კვ.მ. ფართს ოფისისათვის ვერაზე, ყაზბეგის ქ. № 17. ტელ: 29-23-29.

ქირავდება სამოთახიან ბინაში ერთი იზოლირებული ოთახი, ერთ ან ორ სტუდენტ გოგონაზე. ფასი შეთანხმებით. 29-10-76 (ბინა მდებარეობს კეკელიძის № 17-ში).

ქირავდება სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი ერთ სტუდენტ გოგონაზე ან მარტოხელა ქალზე, კეკელიძის 17-ში. 23-38-17.

იყიდება კერძო სახლი ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ქ. № 114-ში, საწყისი ფასი 40000 ლარი. 95-57-44.

ქირავდება ორსართულიანი კერძო სახლი ნაძალადევის რაიონში, ბინას პირველ სართულზე აქვს დამხმარე სათავსოები და აბაზანა, მე-2 სართულზე ორი ოთახი სამზარეულოთი და ტუალეტით. ბინას აქვს კერძო ეზო და კაპიტალური გარაჟი, ტელეფონი, ფასი 100 ლარი. 66-36-37, 66-15-79, 98-94-20, გოგი.

ვყიდი სამოთახიან, სარემონტო ბინას, ვაკეში. წყნეთის ქუჩაზე, 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით. ფასი შეთანხმებით: ტელ: 94-12-75 დილით. საღამოს 23-12-21, მადი.

იყიდება ერთოთახიანი, სუფთა ბინა მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“ 8-სართულიანი სახლის მე-8 სართულზე, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 94-12-75 დილით, საღამოს 23-12-21, მადი.

ვცვლი ბინას, ლაგოდეხის რაიონის სოფელ გრაფოვკიდან 4-ოთახიან სარდაფიან და აივნიან ბინას, ხეხილის ბაღით, 1500 კვ. მ. მიწის ფართით. ერთოთახიან ბინაზე თბილისში. ტელ: 96-63-77 ან 96-63-07. მაია.

ქირავდება დოლიძის ქ. მე-8 კორპუსში, პირველ სართულზე პრივატიზებული, ორ იარუსიანი მაღაზია 80 კვ. მ. ფართობით, ჭერის სიმაღლე 4 მ და 70 სმ. და 110 მ/კვ. სამი ოთახი გამოიყენება ოფისისათვის და საწყობისათვის. შესასვლელები ქუჩის მხრიდან. გაქირავება შეიძლება ცალ-ცალკე და ნაწილებად მაღაზიებისათვის, მცირე საწარმოებისათვის და წარმომადგენლობებისათვის. მნახველთათვის გასაღებები დევს იქვე მდებარე პატარა მაღაზიაში. ფასი შეთანხმებით. 37-25-14, 36-44-88, 36-39-44, 95-19-71.

იყიდება ან ქირავდება ოროთახიანი ბინა. ფართი 50 კვ. მ. მრგვალ ბაღთან. თავის სათავსოებით. ბინა იზოლირებულია, პრივატიზებულია, ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-46-60, თინა.

იყიდება ჩეხური პროექტის ოთხოთახიანი ბინა, დიდი დიღმის II მ/რ, II კორპ. II სად. II სართ. რკინის კარებით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. საწყისი ფასი 13.000 დოლარი. ტელ: 95-49-69, თამაზი.

იყიდება ორსართულიანი სახლი, ზღვის სანაპიროზე ქობულეთში, საცხოვრებელი ფართით 350 კვ. მ. იატაკი პარკეტისაა, ტელეფონით, წყალკანალიზაციით, აბანო-ტუალეტით. ეზოს ფართია 1.200 კვ. მ. გაშენებულია თითქმის ყველა სახის ხეხილი, ყურძნის ტალავერი. სახლის წინა და უკანა მხარეს ზღვისკენ აქვს ღია ვერანდები. სახლი მდებარეობს ქალაქის ცენტრში. ცენტრალური სტადიონიდან დაშორებულია 20 მეტრით. ეზოში არის ავტოფარეხი და სხვა სათავსოები. საწყისი ფასი 50.000 დოლარი. ტელ: 29-26-77, ან 22-72-94 ან 23-09-63, ვენერა ან მაყვალა.

იყიდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ზემო სართული ხისაა. ლანჩხუთის რაიონში, სოფელ სუფსაში, ხეხილიანი ეზოთი, რომლის ფართია 2.000 კვ. მ. და საყანე ნაკვეთით, რომლის ფართია 5.000 კვ. მ. სახლი მდებარეობს სოფლის ცენტრში. სარკინიგზო სადგურთან და საავტომობილო გზასთან ახლოს. სახლი 5 კმ-თაა დაშორებული კურორტ ურეკთან და გრიგოლეთის სამკურნალო პლიაჟებთან. საწყისი ფასი 15.000 დოლარი. ტელ. 29-26-77, 22-72-94, 23-09-63, იკითხეთ მაყვალა ან ვენერა.

ვყიდი დიღმის მასივში რვასართულიანი სახლის მე-4 სართულზე ერთოთახიან სუფთა ბინას გრძელი აივნით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-16 კორპ. ბ. 35, ფასი შეთანხმებით, 36-53-76, გურამი (დარეკეთ დღის საათებში).

იყიდება სამოთახიანი გარემონტებული ბინა, გლდანის მე-3 მ/რ-ში, ცხრასართულიანი სახლის მე-4 სართულზე, სარდაფით და მანქანის დასაყენებელი ადგილით, ფასი შეთანხმებით. 62-03-64, ალექსი (დარეკეთ საღამოს 8 სთ-ის შემდეგ).

იყიდება მუხიანის მე-4 ა მ/რ-ში, მე-11 კორპუსში, მე-2 სადარბაზოში, მე-6 სართულზე, ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, ფასი შეთანხმებით. 63-34-95, 38-50-87, ნელი.

ვაქირავებ ოროთახიან ბინას ლოჯიით, ბარნოვის ქუჩაზე, ტელ: 23-35-25.

იყიდება გარემონტებული 4-ოთახიანი ბინა ბახტრიონზე (ქვემოთ), 9-სართულიანი სახლის V სართულზე, ლოჯით, პლიუს 40 კვ. მ. მიშენებით, სარდაფით, რკინის კარებით, ატმორით, საკაბელო ტელევიზიით, ტელეფონი: 37-75-41, 17 საათის შემდეგ.

იყიდება სანზონაში საკუთარი ორსართულიანი სახლი (აგურის), მიწის ნაკვეთით 420 კვ. მ. დიდი აივნით. ტ. 61-30-50, საწყისი ფასი 45000 დოლარი.

იყიდება ოროთახიანი სუფთა ბინა მეტრო სამგორთან ახლოს, VIII ლეგიონის დასახლება, IX კორპუსი, ბინა 48, ტელ: 74-20-40 საღამოს 7 საათის შემდეგ.

სასწრაფოდ იყიდება მშენებარე, ორსართულიანი აგარაკი დუშეთში, სოფელ არღუნში. მიწის ნაკვეთი 600 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 38-81-24.

იყიდება ოთახნახევრიანი, გარემონტებული ბინა დოლიძის ქუჩაზე. ტელ: 36-23-24.

იყიდება ვაკის პარკთან ოთხოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა დიდი ლოჯიით, საერთო ფართი 180 კვ.მეტრი, სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე, კაპიტალური გარაჟით, კეთილმოწყობილი 2-ოთახიანი სარდაფით, პატარა ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით.ტელ. 22-67-58. ლია.

სხვადასხვა

[illegible] ფირმა იღებს შეკვეთებს დიდი რაოდენობით (200-300 [illegible] მეტრი) [illegible] ვადლებაზე, შეღავათიან ფასებში როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით. მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება გარანტირებულია. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე მისვლით მომსახურება. მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას 14, გამომცემლობა „სამშობლოს“ პირველ სართულზე მდებარე წიგნის მაღაზია. ტელ: 99-93-03; 34-35-96.

იყიდება არმატურა, ტონა 350 ლარი, ტელ: 23-38-34.

იყიდება ავტოფარეხი, დეტალებად გაკეთებული, ასაწყობი, სქელკედლიანი რკინის მასალით დამზადებული. ზომა 6X4, ფასი 1500 ლარი. ტელ: 34-39-98.

მოვემსახურები საკუთარი მანქანით კერძო პირს, სამედიცინო დაწესებულებას, ორგანიზაციას (ვაზ-05). ტელეფონი — 98-49-56.

იყიდება რუსეთის ფიჭვისაგან დამზადებული ფანჯრები იაფად. ფასი შეთანხმებით. 62-03-64, ალექსი (დარეკეთ საღამოს 8 სთ-ის შემდეგ).

იყიდება გერმანული პიანინო „რონიში“, სამი პედლით, ჩუქურთმებიანი. ფასი 1.000 დოლარი. ტელ. 39-05-67.

იყიდება ჩეხური ბროლის 5 სანთლიანი ჭაღი, ფასი 100 ლარი. ტელ: 29-10-90.

იყიდება ღუმელი რუსეთის წარმოების, ელექტრონიკა. ფასი 50 ლარი. ტელ: 29-10-90.

იყიდება ყველანაირად ლიცენზირებული და გაფორმებული ფირმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ლიმონათისა და სხვა გაზიანი წყლების ჩამოსასხმელი საამქრო, ხელის ჩამოსასხმელებითა (ტირაჟებით) და ყველა საჭირო ინვენტარით. საამქრო არის მუშა მდგომარეობაში. იყიდება აგრეთვე მცირე ზომის პურის ელექტროსაცხობი (თონე). შენობები არენდით არის აღებული. საამქროები მდებარეობს ბაგებში ცენტრალური გზის პირას. საწყისი ფასი 12000 ლარი. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 34-35-96, იკითხეთ დათო. დილის ან საღამოს საათებში.

იყიდება „ავტოტექმომსახურებისათვის“ შემდეგი მოწყობილობა-დანადგარები: მსუბუქი მანქანების საშრობი კამერა „ტერმაქსი“ ინდური წარმოების. ფასი 12000 დოლარი, მოძრავი საშრობი 4Ф-6 — 500 დოლარი, კომპრესორი MT-10 ინდოეთის— 700 დოლარი, ამწე 4E-205, უნგრული — 2000 დოლარი, ამწე პლატფორმა გერმანული — 2500 დოლარი, ფარების მარეგულირებელი „ნოვატორი“ — 200 დოლარი, ვულკანიზატორი (საბურავების საკერებელი) — 800 დოლარი, სახარატო ჩარხი საბჭოთა წარმოების 1A — 6R — 80 დოლარი, მანქანების გადასასურველია ერთნაირი მყიდველი, რომელთანაც ფასზე შეთანხმება შესაძლებელია. მსურველებმა დარეკონ შემდეგ ტელეფონებზე: 74-51-26 ან 31-70-85, იკითხონ ვაჟა.

ავტომანქანები

იყიდება ოთხკარიანი „БМВ 320 ი“, რომელიც გამოშვებულია 1984 წელს. გავლილი აქვს 85000 კილომეტრი. არის სრული ავტომატით. ფასი 3700 დოლარი. ტელ: 39-25-93.

იყიდება „БМВ 325 ე“ ორი კარით. გამოშვებულია 1985 წელს. გარბენილი აქვს 124 ათასი კილომეტრი. ფასი 4600 დოლარი, ტელ: 39-25-93.

იყიდება ავტომანქანა „ნივა“ 1990 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-32-03, დიტო.

ვყიდი ქარხნულ მდგომარეობაში მყოფ მსუბუქ ავტომანქანა „ზიმს“. მანქანა მუშაობს. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 22-22-46.

ვყიდი „გაზ 24-02“მარკის ავტომანქანა „ვოლგას“ („ფურგონი“) გამოშვებულია 1985 წელს. გავლილი აქვს 56 ათასი კილომეტრი. ფასი 5000 დოლარი. მიაკითხეთ ხარაგაულში, წერეთლის № 17-ში. ტელეფონი: 2-15-15.

იყიდება „ნივა“ 1990 წლის გამოშვება. თეთრი. გავლილი აქვს 90 000 კმ. იდეალურ მდგომარეობაშია. ფასი 3800 ლარი. ტელ: 23-38-34.

იყიდება 09 მარკის ავტომობილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-10-90.

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:
ტელ: 99-73-24.

როინ მეტრეველი

დამფუძნებელი

ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი

ხრამეტე საუკუნის საქა-
ლოს ჰყავდა თავისი სუ-
რი მეუფე, პიროვნება, რო-
მაც ახალი ერა დაიწყო ქა-
ლი საზოგადოებრივი ცხო-
ბის ისტორიაში; შემოიჭრა
ლი ძალით, ეროვნული თვი-
ნების გამოღვიძების იდეით,
მელმაც ხმამაღლა გამოაც-
... „ჩვენ უნდა ვსდიოთ
სხვა ვარსკვლავს, ჩვენ
ჩვენი ვშვათ მყოობადი,
უნდა მივცეთ მომავალი
ბს"... ეს იყო ილია ჭავჭა-
ჭეშმარიტი მამულიშვილი,
მღრომე. მეოცე საუკუ-
დასაწყისში ილიას მძიმე
ომა ივანე ჯავახიშვილის
ბეზე გადაინაცვლა. ამ უკა-
ჯელს წილად ხვდა უაღრე-
სპატიო და ამასთან მე-
რთული ხვედრი — ილია ჭა-
ალობა გაეწია ერისათვის...
საინტერესო იქნება მოვი-
ოთ ექვთიმე თაყაიშვილის
ები ივ. ჯავახიშვილის შე-
„იშვიათია კაცი, რომე-
რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს,
ც სულ მცირე. ივანე ჯა-
შვილში სანთლით რომ ვე-
ძათ, ვერავითარ ნაკლს ვერ
აჩენდით. ეს სრულიად
ლო ადამიანი იყო: ზნეო-
სპეტაკი, ზრდილი, ალერ-
ა, თავმდაბალი, კაცთმოყ-
ე და ჯელშემატკივარი, ერთ
ერის სიტყვას მისგან ვერ
ნებდით, ის შვილი იყო ქა-
ლი ინტელიგენტი ოჯახისა,
ლიც გამსჭვალული იყო ქა-
ლი პატრიოტიზმით და სა-
ველოს კეთილდღეობისა-
მუშაობით..." სწორედ ასეთ
ანს შეეძლო ქვეყნის ჭე-
ბე სამსახურში ჩამდგარი-
რის წყლული საკუთარ ტკი-
ლ შეეცნო, საკუთარი სი-
ცე სამშობლოს საკურთ-
თან მიეტანა ზვარაკად და
ვე სიყვარულში ჩაეფერფ-
ლიყო.

წელი იცოცხლა ივანე ჯა-
შვილმა და თავისი ცხოვ-
ბა და მოღვაწეობით, მი-
ახული მამულიშვილური
ასობით უდიდესი კვალი
ა ისტორიაში. დაუღალავი,
მეცნიერული შრომის შე-
შექმნა და საზოგადოე-
სცა ქართველი ერის ის-
ა, საქართველოს ეკონო-
რი ისტორია, ქართული მუ-
ისტორია, საქართველოს
რიული გეოგრაფია, ქარ-
საისტორიო მწერლობის
რია; გამოიკვლია და მე-
რულ ჩარჩოებში ჩააყენა
ვარე ისტორიული დისცი-
ბი: პალეოგრაფია, ნუმი-
კა და სხვა. მეცნიერმა
ესი ღვაწლი დასდო კავ-
ხალხების ისტორიის შე-
ვას. იგი გამორჩეული იყო
გადოებრივი საქმიანობი-
XX საუკუნის I ნახევრის
რთველოს კულტურულ-მე-
რულ ცხოვრებაში ყველა
შვნელოვანი საკითხი ივანე
ხიშვილის სახელს უკა-
დება. უდიდესია მეცნიერის
ლი თბილისის უნივერსი-
დაარსებაში.

ცნიერება შეიძლება მრა-
ვარი იყოს. ერის ისტორი-
მრავალი გზით შეიძლე-
ამიანმა მოიპოვოს სახე-
ლი. მაგრამ სულ სხვაა ატა-
ე ეროვნული უნივერსიტე-
დამაარსებლის სახელს —
დიდესი ბედნიერებაა!

ვეყოფელია ივანე ჯავახი-
ლი და ქართული უნივერ-
ტი. ადამიანი და ტაძარი...
იანი — შემოქმედი და ტა-
— ხელიერი საზრდოს უშ-
ტყარო...ივანე ჯავახიშვი-
ქართული უნივერსიტეტი.
ნას, რომლის განათლე-
და კულტურის საწყისები
სულ საუკუნეებშია ჩაკა-
ლი, რომელსაც ჯერ კიდევ
საუკუნეში ფაზისის აკა-
ჰქონდა, სადაც მსოფლიოს
ლი ქვეყნიდან იღებდნენ
ლებას, რომელსაც XII სა-
ში გელათისა და იყალთოს
მიები ამშვენებდა, რომე-
პრაქტიკულად უმდიდრესი
ურულ-საგანმანათლებლო
ლიები ჰქონდა, ახალ
ში აუცილებლად ესაჭირო-
ა უნივერსიტეტი.

კიდევ გასული საუკუნის
იანი წლებიდან მოყოლე-
ქართული ეროვნულ-გა-
თავისუფლებელი მოძრაობის
ეები უნივერსიტეტის გა-
მოითხოვდნენ.

ართველი ახალგაზრდობა,
ვად მრავალი წინააღ-
ბა-დაბრკოლებისა, მაინც
ებდა ევროპისა და რუ-
სხვადასხვა სასწავლე-
ლოდნის მიღებას. მეცხ-
საუკუნის მეორე ნახე-
ერთი გამოჩენილი ქა-
ლი მეცნიერი ამკობდა რუ-
იმპერიის უმაღლესი სა-
ლებლების პროფესურას.

ე საუკუნის დასაწყისში
ლი უნივერსიტეტის შე-
საკითხი მთელი სიგრძე-
დაისვა. ამ საქმის თა-
იყო ივ. ჯავახიშვილი,
ც იმჟამად პეტერბურგის
რსიტეტის პრივატ-დოცე-
მუშაობდა.

წლის ბოლოს ივ. ჯავა-
ლმა უშუალო თაოსნობითა
ომძღვანელობით პეტერ-
ს უნივერსიტეტში დაა-
ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც გააერთიანა, უნივერსიტეტის გარდა, სხვა ინსტიტუტების სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ „წრემ" უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე. ნაყოფიერი მუშაობაც გაჩაღდა საქართველოს წარსულის, ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ენის შესასწავლად.

იმედის ნაპერწკლები გააღვივა იმ ფრიად მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის სასწავლებლების დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელ-ფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. დაბრკოლებები მაინც დიდი იყო, თანაც წინააღმდეგობას ქართველი პატრიოტები სწორედ კანონის გამომცემელთა მხრიდან წააწყდნენ... მეფის მთავრობის სიტყვა და საქმე არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

ჟამთა სვლა თავისას აკეთებდა... ქვეყანაში გადატრიალებები ხდებოდა... 1917 წლის თებერვალი ახალი ძვრებით აღინიშნა... საზოგადოების განვითარებას ახალი მიმართულებები, ახალი გზები უჩნდება. ივ. ჯავახიშვილმა არ დააყოვნა და დიდი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა. მან თავის ბინაზე შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე... და მოითათბირეს უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. საჭირო იყო პეტერბურგში მყოფი ქართველების ჩაბმა ამ საქმიანობაში. ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებაზე (კინოთეატრ „ელიტში") რომელსაც ზურაბ ავალიშვილი თავმჯდომარეობდა, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა.

1917 წლის გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის და იწყებს პირველ ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმავე წლის 12 მაისს. თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი და სხვ.

დამფუძნებელი კრება გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გააკეთა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება მოაგონებდა ქართველ ხალხს საქართველოს უძველეს კულტურულ სიძლიერესა და ტრადიციებს. „ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განვითარებისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუჩერებელმა მისწრაფებამ ქართველობას საშვილიშვილოთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მოზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო, დროზე შეეთვისებინა კიდეც" — განაცხადა ივ. ჯავახიშვილმა და ყურადღება გაამახვილა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც იყო მცდელობა საქართველოში სასწავლო ცენტრების შექმნისა. „...ერის ყოველი წარმატება თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული... ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულ ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ". ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის შესრულება, თანაც მოითხოვდა, რომ დაარსებულიყო სწორედ უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილს ნათლად ესახებოდა, რომ უნივერსიტეტთან შემდგომში შესაძლებელი გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება. მეცნიერის აზრით, „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება".

ფართო ხასიათის მუშაობა გაიშალა ქუთაისში. 1917 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ტარდება კულტურულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა ივ. ჯავახიშვილის წინადადებას უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი საუნივერსიტეტო წესდების პუნქტი დამტკიცდა და ნოტარიალური გაფორმების შემდეგ გადაეგზავნა მთავრობას დასამტკიცებლად. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომელსაც იმხანად ხარლამოვი თავმჯდომარეობდა, უარყო წარმოდგენილი დოკუმენტიდან ძირითადი დებულებანი და იგი დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს გადაუგზავნა, ხოლო წესდება თბილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა რეგისტრაციისათვის.

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება, რომელიც გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მისივე წინადადებით თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, ამის შემდეგ მოხდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრებით შევსება (საზოგადოებას შემატნენ: მ. დადიანი, კ. გამსახურდია, ნ. ლომოური, ს. კლდიაშვილი, გ. ლამბარაშვილი, პ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. კვეზერელი-კოპაძე, გ. მუხაძე, შ. მესხიშვილი, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოღაშვილი, ი. თიკანაძე, თ. ჯავახიშვილი, ი. მერკვილაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ელიაშვილი და სხვა). კრებამ ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის — მექი ფალავას განცხადების საფუძველზე წევრებად მიიღო ქუთაისის წარმომადგენლებიც. 1917 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საერთო კრება, რომელსაც 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო. კრების საპატიო თავმჯდომარე იყო პეტრე მელიქიშვილი, თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ილ. ზურაბიშვილი. ამ კრების ოქმი გვაუწყებს: „პრ.-დოც. ივ. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა, ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს". ბუნებრივია, ეს არსებითი საკითხი იყო და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მოხსენების მეორე ნაწილში ივ. ჯავახიშვილი შეეხო სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისი აზრით, ამთავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი მეიცავს ჰუმანურ სამეცნიერო საგნებს — როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო, საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს — ბუნებისმეტყველებისას და მათემატიკისას... თუ ამთავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა შევძელით, მაშინ რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი..."

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე ისწავლიან არაბულ და სპარსულ ენებსაც და „უნივერსიტეტი გაზრდის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მოწაფეთ მეცნიერებაში გასაწვრთნელად და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის".

ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას. შესაწირავის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა თანხა, თანაც თავის მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ივ. ჯავახიშვილს. უნივერსიტეტის დაარსებისათვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. ისინი თავიანთ მორალურ მხარდაჭერასთან ერთად მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ ძდეის განორციელებას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი, თანაც წერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილმობილურ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე მიიღებს უმაღლეს განათლებას. (1917 წ. 25 ოქტომბერი)".

როგორც ჩანს, სომეხი ხალხის ჭეშმარიტი შვილის ამ მისალმებას დიდი გამამხნევებელი გავლენა მოუხდენია ქართველებზე.

დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით, თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივ. ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, რომელიც, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს"... პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება და პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი; პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად — იოსებ ყიფშიძე.

დადგა ქართველი ხალხის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მომენტი — უნივერსიტეტის გახსნის დღე... გადაწყდა, უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

დადგა 26 იანვარი 1918 წელსა... ამ დღეს წყნეთის ქუჩაზე № 41-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — ქართული უნივერსიტეტი.

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ზეიმი გაიხსნა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა პ. მელიქიშვილმა, ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის შესახებ. ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს მიესალმნენ სხვადასხვა (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, პოლონური და ა.შ.) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლები. მოვიდა ბევრი მისალოცი დეპეშა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ამ დღეს საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ზეიმის დასასრულს გათვალისწინებული იყო ივ. ჯავახიშვილის ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს. ლექციის თემა ასეთი იყო: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში".

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემა. პირველი სემესტრისათვის პროფესორი იყო: — 7, პროფესორის მოადგილე — 5, მეცნიერ-ხელმძღვანელი — 2, ლექტორი — 4, სულ — 18 თანამშრომელი; სტუდენტი 369 იყო.

პირველი დღეებიდანვე სისხლსავსე ცხოვრება დაიწყო, დღითიდღე იზრდებოდა უნივერსიტეტი; მტკიცდებოდა სასწავლო ბაზა. უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა კავკასიის უპირველესმა უმაღლესმა საგანმანათლებლო კერამ. თავის ზრდა-განვითარებასთან ერთად, უნივერსიტეტი მრავალ სიკეთეს უყრიდა საფუძველს, მტკიცედ იდგა ქვეყნის ეროვნული ორიენტაციის განმსაზღვრელად. ამ ძალას ინარჩუნებდა ყველა ვითარებასა და ყველა დროში.

თბილისის უნივერსიტეტის წიაღიდან წარმოიშვა დღეს არსებული თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტი, სამედიცინო და აგრარული უნივერსიტეტები.

სწორედ აქედან, თბილისის უნივერსიტეტის წიაღიდან შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის 55 წლისთავი სულ ახლახან აღვნიშნეთ.

ფართო მასშტაბის მეცნიერულმა კვლევამ თბილისის უნივერსიტეტს საყოველთაო აღიარება მოუპოვა. აქ შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო სკოლები მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და კავკასიოლოგიის, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს საქართველოს მეცნიერების განვითარებას ქვეყანაში.

დღეს უნივერსიტეტში 18 ფაკულტეტზე 30 ათასი სტუდენტი სწავლობს, გვაქვს ორი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი — მაღალი ენერგიების ფიზიკისა და გამოყენებითი მათემატიკის, 60-მდე ლაბორატორია, მდიდარი ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, სტამბა. გაფართოვდა მეცნიერთა კონტაქტები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, რომელიც უნივერსიტეტმა გადაიტანა 1992-93 წლებში, მან შეინარჩუნა თავისი პოტენციალი და ვფიქრობთ, ქვეყნის წინსვლასთან ერთად, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაც შესაბამისი იქნება. დღეს ბევრი ჩვენი მეცნიერის შრომები თავისი მნიშვნელობით საერთაშორისო მასშტაბისაა და დიდი წვლილი შეაქვთ ზოგადად მეცნიერების განვითარებაში. საინტერესოა სტუდენტური ცხოვრებაც, სწავლა, თვითმოქმედება, სპორტი — აქედან გამომდინარე ასევე საერთაშორისო მასშტაბის მიღწევებით, მნიშვნელოვანი სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა მიმდინარეობს უნივერსიტეტის სოხუმის, ახალციხის, სიღნაღისა და ზუგდიდის ფილიალებში.

ჩემი წერილი ერთი ამბის გახსენებით მინდა დავამთავრო.

... 1940 წლის 18 ნოემბერი. რამდენიმე დღით ადრე საგანგებო მოსაწვევი ბარათი აუწყებდა საზოგადოებრიობას, რომ ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავდა მოხსენებას თემაზე: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები". მრავალრიცხოვანმა მსმენელმა მოიყარა თავი. დანიშნულ დროს ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო. და სწორედ აუდიტორიაში, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა... გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილი, გარდაიცვალა მოქალაქეობრივი და მეცნიერული მოვალეობის შესრულების ჟამს.

... ერთხელ პეტერბურგიდან ივ. ჯავახიშვილს წერილი გამოუგზავნია მეუღლისათვის, რომელშიც, სხვათა შორის, ნაამბობი იყო, რომ ივანე დასწრებია ერთ ლექციას, რომლის კითხვისას პროფესორი იქვე უეცრად გარდაცვლილა. ამ სურათით შთაგონებული იწერებოდა: უბედნიერესი კაცი ყოფილა, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაიცვალაო. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ბედად ასეთი სიკვდილი ეწერიაო...

გავიდა წლები და ივ. ჯავახიშვილსაც სწორედ ამგვარი სიკვდილი არგუნა ბედმა. დიდი ივანეც, თავისი საყვარელი მოწაფეების ხელებზე გადასვენებული, მოკვდა ისე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ისდიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე — მოქალაქეობრივსა და მეცნიერულ ვალს.

ქართველმა ხალხმა ცხარე ცრემლებით დაიტირა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი. მისი ღვაწლისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

დიდ მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღსრულა მან თვისი ვალი".

ფიროსმანის წელიწადი

ნიკო ფიროსმანაშვილი. 1882 წ.

ფასდაუდებელი მემკვიდრეობა

მონოპოლია ჭეშმარიტებაზე არავის გააჩნია. ჭეშმარიტება თავისთავად არსებობს. შემოქმედებითი პროცესი უხილავია. საწყისები იმ შემოქმედებითი გზისა, რომელიც ფიროსმანმა განვლო, უთუოდ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სიღრმეშია საძებნი. არაჩვეულებრივი სიყვარულითა და უშუალობით გადმოსცემს მხატვარი თავისი ქვეყნის ცხოვრებას, ადათ-წესებს, მწუხარებასა და სიხარულს.

ფიროსმანის ხელოვნება სიკეთეა, კეთილი სიტყვაა, სიტყვა შემოქმედისა, რასაც საფუძვლად სამშობლოს სიყვარული უდევს. მისი ნამუშევრების ნახვისას პირველი, რაც უმალვე შეინიშნება, არის დიდი ხელიერი სიღრმე და ზუსტი ნახატი, მკვრული კომპოზიცია და მინაგანი იმპულსი, გულწრფელობა და დამაჯერებლობა, ფერწერულობა და განწყობის აქტიურობა. საოცრად თბილია ის სამყარო, რომელშიც მის მიერ შექმნილი ადამიანები და ცხოველები სახლობენ. მხატვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვალების გამომეტყველებას. ქალთა მრავალრიცხოვან სახეებში თვალშისაცემია სინაზე, კეთილმობილება და უშუალობა. ფიროსმანის ტილოებში ჩანს შემოქმედის თავისებური დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი, სინამდვილის აღქმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ განზომილებაში.

ფიროსმანი ცხოვრებამ ღვინის სარდაფებსა და მედუქნეებთან მიიყვანა. მისი ტილოების პირველი შემფასებლები სწორედ მედუქნეები იყვნენ. საზოგადოების სხვა ნაწილს კი ძალიან გვიან გაუჩნდა ინტერესი მხატვრის შემოქმედებისადმი. მას არსებობისა და მუშაობისათვის მინიმალური პირობებიც კი არ გააჩნდა, მაგრამ განგებამ ფიროსმანი უდიდესი ნიჭით დააჯილდოვა და მანაც კაცობრიობას დაუტოვა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, რომლითაც კიდევ მრავალი თაობა ეზიარება ჭეშმარიტ ხელოვნებას.

მამუკა მიძილაძე.

შეხვედრა ფიროსმანთან

მე ვარ ხუთი წლის. მახსოვს ჩემი მოსკოვის ბინა — მაგიდაზე, სკამზე, იატაკზე დაყრილი ფოტოები. ბიძაჩემი თენგიზ მირზაშვილი მუშაობს ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების დიდ ალბომზე. ფოტოები — ფერადი, შავ-თეთრი, გადიდებული ხელები, ფეხები (სურათის დეტალები), გადაჭრილი ფოტოები — თვალები, ცხენი, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ფიროსმანთან. ჯერ გავეცანი ილუსტრაციებს და მერე მის ორიგინალებს.



ნათელა იანქოშვილი — მირზაანის მონატრება

ისევ მოსკოვი, მე 7 წლისა ვარ. თენგიზ მირზაშვილი და დედაჩემი ჯინა აწყობენ ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენას მოსკოვური კერძო კოლექციებიდან, ამასთან დაკავშირებით დედაჩემთან ერთად მოვხვდი მოსკოვის საინტერესო ბინაში, სახლის პატრონი, ახალგაზრდულად გამოწყობილი და მოხატული მოხუცი ქალი ლეგენდარული ლილიან ბრიკია. აქ, ამ სახლში პირველად შევიტყვე, რომ ბაბუაჩემი არჩილ მიქაძე ზდანევიჩებთან ერთად ფიროსმანის სურათების ერთ-ერთი პირველი შემსწავლელი და შემგროვებელი ყოფილა. 37 წელს ბაბუაჩემი გადაასახლეს და მერე დახვრიტეს. მისი მნიშვნელოვანი კოლექცია „გოგონა ბუშტით", „ბიჭი ეროვნულ კოსტიუმში", „თეთრი დათვი ბელებით", „ირემი წყალთან" და სხვა, ნაწილობრივ მოხვდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ნაწილი კი მიმოიფანტა.

ფიროსმანზე ბევრი საინტერესო დაიწერა, მე კი მინდოდა ჩემი ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებები გამეხსენებინა დიდ მხატვარზე.

ანა კალატოზიშვილი.

სამშობლოს მეხოტბე

ნიკო ფიროსმანაშვილი! ცნობილი სახელი და გვარია, დღეს აგერ ფიროსმანის დღეებიც კი იმართება ქალაქში, სადაც იგი ცხოვრობდა და ხატავდა, ხატავდა-მეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ ძნელია თქვა სიტყვა მუშაობდა — ერთობ მიწიერია ეს სიტყვა, არც მიესადაგება პოეტურ სამყაროს, რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილმა დატოვა. ერთნაირად ლამაზია ყინულივით ცივ წყალში მდგომი მეთევზე და აქტრისა მარგარიტა, მძიმე ტვირთმოკიდებული მუშა და მოქეიფე ყარაჩოხელები. თაობები უყურებს იმდროინდელს ნიკალას თვალებით და ის დარდიმანდულ-რომანტიკული სამყარო თითქოს ცოცხლდება და ჩვენ დიალოგი ძველსა და თანამედროვეს შორის ახალ ელერადობას იძენს.

რაც შეეხება ნიკალას, მისთვის საქართველო და თბილისი, სადაც ცხოვრობდა, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. სიყვარულით ხატავდა ორთაჭალის ბაღებში მოქეიფე თავადებს, თუ ისტორიულ გმირებს. მისთვის ხომ საქართველო სამშობლო იყო, სამშობლო, სადაც ის დაიბადა და მთელი ცხოვრება მართალ კაცად დაბიჯებდა.

რაღა თქმა უნდა, ნიკალა ერთადერთი მხატვარი არ იყო თბილისში. იმ დროისათვის თბილისში მხატვართა ამქარიც არსებობდა და მხატვრულ სამუშაოებს მაღალ დონეზე ასრულებდა. მიუხედავად ამისა, ნიკალა პოპულარული იყო, რაზეც უდავოდ მეტყველებს ქმნილებათა საკმაოდ დიდი რაოდენობა (ეს რამაც ჩვენამდე მოაღწია) და, რაც მთავარია, მათი სტილისტური მრავალფეროვნება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნამუშევრები დაკვეთითაც სრულდებოდა. ბუნებრივია, იკითხავთ: რა იყო ამის მიზეზი? რაღა თქმა უნდა, ის, რომ ნიკალა იყო ერთადერთი, ვინც გულახდილად და ყველასათვის გასაგები ენით გადმოსცემდა სამყაროს. იმ სამყაროს, რომელიც ხოცუმისათვის ორგანული და ახლობელი იყო. ნიკალა იყო ერთადერთი ფერმწერი, რომელიც ცდილობდა დაყრდნობოდა ეროვნულ ფესვებს და მისი ძიებებიც სწორედ ეროვნული ხელოვნების შექმნას ემსახურებოდა. არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ფიროსმანაშვილს გააზრებული და შეგნებულად ჰქონდა არჩეული ეს გზა, სწორედ ამიტომ უფრო დასაფასებელი და პატივსაცემია მისი ბუნებრივი ნიჭი და თვითმყოფადობა, სწორედ ამიტომ დარჩება იგი ორიგინალურ მხატვრად, მხატვრად, რომელიც სამშობლოს ასხამდა ხოტბას და მისი ერთგული შვილი იყო.

დავით ალექსიძე.

სონა

ირგვლივ მტრედნი გენგენ
ხაგენგს,
რაც უფრო ჰგავს ამბორს...
ეს სურათი ქართველ ქალზე
რამდენ სათქმელს ამბობს!

შედევრს უავლი არ გაუვა
რაც რომ ჟამმა განვლოს, —
ფიროსმანი ხატავს სონას, —
სონა უკრავს გარმონს...

ეს ნახატი ერთ პატარა
[illegible] გვანდობს, —
[illegible] უყვარს ფიროსმანი, —
ნიკა სხვაზე დარდობს...

მისთვის დარი აღარ დარობს,
აღარც ვარდი ვარდობს, —
გულის ჭირს და გულით სათქმელს
მხოლოდ ფერებს ანდობს...

ფიროსმანი ხატავს სონას,
სონა უკრავს გარმონს...

ნანა ღვინეფაძე.

იგი ბედნიერი იყო

პატარაობისას, ჩემთვის ყველაზე გასაგები, საყვარელი და მისაღები მხატვარი ფიროსმანი იყო. გულუბრყვილო, სევდიანი სიკეთითა და ბავშვური მიამიტობით გამსჭვალული მისი სურათები უბრალოდ მიყვარს.

ფიროსმანაშვილის პიროვნება ჩემთვის, როგორც დამწყები მხატვრისათვის, უდაო მაგალითია იმისა, თუ რამდენის დათმობა შეიძლება მიზნის მისაღწევად, თუ რა არის ყოველდღიური გმირობა! მიუხედავად უმძიმესი ყოფისა, ფიროსმანაშვილი ბედნიერი იყო და თვითონ ესმოდა ეს. მიუხედავად საშინელი ფინალისა, მისი ცხოვრება — მისივე არჩევანი იყო. ფიროსმანის ბედი რაღაცით ამედეო მოდილიანის ცხოვრებას ჰგავს. ეს დეტალებში ჩაღრმავების გარეშეც ნათლად ჩანს. არა მგონია, რომ ეს მხოლოდ იმ დროის მახასიათებელი ნიშანი იყოს.

შემორჩენილი ორი-სამი ფოტოსურათი ფიროსმანისა საოცრად მაგონებს მის მიერ შექმნილ პერსონაჟებს. და მე ეს მესმის. დარწმუნებული ვარ, დიდი ხელოვანის ცხოვრება მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს ემსგავსება.

ალბათ უცნაურია, მაგრამ ფიროსმანის „ჟირაფს" რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მახსენდება.

მიხო ძოწაძე.

სასამართლო

„შეიძლება დახვრეტასაც გამოჰკრა ხელი...“

ვაგრძელებთ ფრაგმენტების ბეჭდვას სახელმწიფო ბრალმდებლის ვალერი წერეთლის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 7 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ლოთი ქობალიასა და სხვათა პროცესზე.

ყაჩაღობა გზებზე

1992-93 წლებში ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, სიმონ ელენტის, ზვიად ძიძიგურის, ნუგზარ მოლოდინაშვილის, ბადრი ზარანდიას და მათი თანამზრახველების შეიარაღებული ბანდები საქართველოს ტერიტორიაზე სისტემატურად თავს ესხმოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებს, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებს, ცალკეულ პირებს, იტაცებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონებას, — ტვირთს, სტრატეგიულ ნედლეულს, შეიარაღებას...

ბანდფორმირებების შემორიგების, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მიტევების, ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებისა და მაგისტრალებზე ყაჩაღობის აღკვეთის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ლოთი ქობალიას შენაერთებისათვის მიენდო რკინიგზის ინგურის სადგურის დაცვა, ყველა მატარებლის, ტვირთის, მგზავრის უსაფრთხოება. 1992 წლის 27 სექტემბერს დაიდო კიდეც ხელშეკრულება. ზუგდიდის რაიონის მთელს ტერიტორიაზე — ენგურზე რკინიგზის ხიდის ჩათვლით, — გალის № 6 ბატალიონი წესრიგს დაიცავდა, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველო კი სარკინიგზო მაგისტრალზე საგუშაგოებს მოაწყობდა, 100-ზე მეტ კაცს ხელფასს მისცემდა.

ლოთი ქობალიამ და მისმა თანამზრახველებმა ეს ხელშეკრულება გამოიყენეს თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების აღსასრულებლად. მათ შანტაჟითა და მუქარით, ფაქტობრივად, დაატერორეს სადგურ ინგურის პოლიციის მუშაკები, ისინი განდევნეს და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობები ერთიანად მოუსპეს. თავიანთ ნებაზე აჩერებდნენ მოძრავ შემადგენლობებს, ჩხრეკდნენ ვაგონებს, იტაცებდნენ სასურველ ტვირთს და აბინავებდნენ მას „საიმედო ადგილზე“.

წინასწარი შეთანხმებით, ვახტანგ ქობალიას უშუალო დავალებით, რკინიგზის ინგურის სადგურიდან 1992 წლის 27 დეკემბრიდან 1993 წლის 15 აპრილამდე ტვირთებს იტაცებდნენ იური ბაძალუას, 15 აპრილიდან 17 მაისამდე — გუჯუჯი ებრალიძის, 17 მაისიდან 22 ივნისამდე — ანზორ ჩხეიძის, 22 ივნისიდან თვის ბოლომდე — გოჩა ნაჭყებიას, ივლისის დასაწყისიდან 17 აგვისტომდე — თენგიზ ზულიას, 17 აგვისტოდან 6 ნოემბრამდე კი ბადრი ზარანდიას ბანდები.

ეს ბანდები 1993 წელს რკინიგზის ინგირის სადგურს თავს დაესხნენ 27-ჯერ. მარტო 1 ივლისიდან 30 ოქტომბრამდე აქედან მოიტაცეს 718.026 კგ. ნავთობპროდუქტები, 18.500 კგ. მაკარონი, 30.000 კგ. რუბეროიდი, 20.000 კგ. კვერცხი და ხახვი, 38 ცალი საბურავი, 256.200 კგ. სასუქი, 2.500 კგ. მარილი, 661.298 კგ. შაქრის ფხვნილი, 2.076.650 კგ. ხორბალი, ერთი ვაგონი „გრადის“ ტიპის ჭურვები, ორი ვაგონი საბრძოლო მასალა, ერთი „ბმპ“ და ერთი ტანკი... და ეს მაშინ, როცა აფხაზეთში გახურებული ომი მიმდინარეობდა...

1993 წლის 1 თებერვალს ინგირის სადგურში შემოვიდა მატარებელი № 3101. მას თავს დაესხა იური ბაძალუას ბანდა, ჩახსნა ვაგონი № 21524913 და, ლოთი ქობალიას განკარგულებით, იქიდან „გრადის“ ჭურვები გაიტაცა; 17 ივლისს ამავე სადგურში შემოვიდა მატარებელი № 3401. მას თავს დაესხა გუჯუჯი ებრალიძის და ანზორ ჩხეიძის ბანდები, ჩახსნეს პლატფორმა და ტანკი გაიტაცეს; 10 აგვისტოს ამავე სადგურში შემოვიდა მატარებელი № 4302. მას თავს დაესხა თენგიზ ზულიას ბანდა და იქიდან 56.906 კგ. დიზელის საწვავი გაიტაცა; აფხაზეთში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით გაგზავნილი ყველაზე მეტი საწვავი, საბრძოლო მასალები და საკვები პროდუქტები დაიტაცეს 1993 წლის 9 მარტს, როდესაც სატვირთო მატარებელს (№ 972) ერთდროულად ჩახსნეს 8 ვაგონი...

ინგირის სადგურში ძარცვა არც სოხუმის დაცემის შემდეგ შეუწყვეტიათ. ძირითადად უკვე იტაცებდნენ საწვავს. 20 ოქტომბერს გაიტაცეს 60.233 კგ, 23 ოქტომბერს — 43.684 კგ, 29 ოქტომბერს — 58.677 კგ, 25 ოქტომბერს — 59.074 კგ, 27 ოქტომბერს 122.881 კგ, 29 ოქტომბერს — 60.076 კგ, 30 ოქტომბერს დაიტაცეს ორი ვაგონცისტერნა, 31 ოქტომბერს კი — ოთხი...

სასამართლო პროცესზე მოწმემ, — საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა ვახტანგ შენგელიამ, — განაცხადა: 1993 წლის 17 ოქტომბერს, ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირების სამტრედიაში შემოჭრის შემდეგ, მას დაურეკა ყოფილმა პრეფექტმა ზვიად ძიძიგურმა და უბრძანა სამხედრო კომისარიატის შენობაში მოთავსებულ ე. წ. „კომენდატურაში“ გამოცხადება. ნახევარი საათის შემდეგ იგი მართლაც მივიდა ადგილზე. იქ დახვდა ზვიად ძიძიგური, ჯემალ ჩანიძე, სოსო ელენტი, ლოთი ქობალია და სხვები. მათ კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ სამტრედიის რკინიგზის სადგურში მდგარი 83 ვაგონი პროდუქტი და 16 ცისტერნა საწვავი არსად გაეგზავნა. ლოთი ქობალია დაემუქრა: თუ არ დაგვემორჩილები, „შეიძლება დახვრეტასაც გამოჰკრა ხელიო“.

შემდგომ დღეებში მას სისტემატურად იბარებდნენ „კომენდატურაში“ ან „პრეფექტურაში“ და მოკვლის მუქარით აიძულებდნენ პროდუქტებით დატვირთული ვაგონები და საწვავით სავსე ცისტერნები გაეგზავნა ზუგდიდში. კერძოდ, 18 ოქტომბერს გურამ აბსანძემ, ტარიელ გელანტიამ, ზვიად ძიძიგურმა და სხვებმა უბრძანეს, რომ ბენზინით, დიზელით, თვითმფრინავის საწვავით, ტრანსფორმატორის ზეთით სავსე ცისტერნები დაუყოვნებლივ გაეგზავნა ზუგდიდში. ზუგდიდშივე უნდა გაეგზავნა ხორბლითა და ქატოთი დატვირთული ვაგონები. ვახტანგ შენგელია განგებ აჭიანურებდა ამ ბრძანების შესრულებას, იმიზეზებდა — რკინიგზა [illegible] დაზიანებულიო, მაგრამ... 22 [illegible] ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებამ ნავთობბაზიდან გამოიყვანეს საწვავით დატვირთული ცისტერნები და გაიტაცეს ზუგდიდის მიმართულებით.

ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა ფოთიც აიღეს. 1993 წლის 4 ოქტომბერს ისინი თავს დაესხნენ თბილისში მომავალ სატვირთო მატარებელს (№ 3504) და მისი თერთმეტი ვაგონი, რომლებშიც ჩატვირთული იყო 661.298 კგ. შაქრის ფხვნილი, ჩაიყვანეს ზუგდიდში, იქიდან კი მთლიანად დაიტაცეს. 5 ოქტომბერს გაიტაცეს ხორბლით დატვირთული 10 ვაგონი (961.000 კგ.), 30 ოქტომბერს კი — 35 ვაგონი (2.079.550 კგ). ეს ბოლო ტვირთი სომხეთს ეკუთვნოდა.

სისხლის წყურვილი

1993 წლის 28 ოქტომბერს, დაახლოებით 11 საათზე, ლოთი ქობალიას ბანდის წევრებმა დაატყვევეს სამთავრობო ჯარების ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ცქიტიშვილი, მებრძოლები დიმიტრი ბალაძაშვილი და რამაზ დავითაშვილი. ისინი მიიყვანეს ხობში, სენაკი-ზუგდიდის ცენტრალურ ტრასაზე, გასტრონომთან. იმით განაწყენებულმა ლოთი ქობალიამ, რომ ტყვეები იბრძოდნენ სამთავრობო ჯარებში, განსაკუთრებული სისასტიკით, საჯაროდ, მოსახლეობის თვალწინ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, მრავალჯერადი გასროლით უშუალოდ დახვრიტა ლევან ცქიტიშვილი და დიმიტრი ბალაძაშვილი. რამაზ დავითაშვილი კი დახვრიტა როლანდ ლაკიასთან ერთად.

იმავე დღეს, დაახლოებით 14 საათზე, ლოთი ქობალიას ბანდის წევრებმა, ასევე დაატყვევეს ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე და სამთავრობო ჯარების მებრძოლები გოგიტა ონანაშვილი და პაატა გოგიაშვილი. ეს პირები, ხობისწყლის ხიდთან, მიჰგვარეს ლოთი ქობალიას. მიუხედავად იმისა, რომ ლოთი ქობალიას ორიოდე საათის უკან დახვრეტილი ჰყავდა სამი ტყვე, ახლაც განსაკუთრებული სისასტიკით, ასევე საჯაროდ, მოსახლეობის თვალწინ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, მრავალჯერადი გასროლით დახვრიტა დავით ბოლქვაძე, გოგიტა ონანაშვილი და პაატა გოგიაშვილი. შემდეგ კი თვითმხილველნი გააფრთხილა: — „არ მიეკაროთ, დაე, ლორებმა შეჭამონ!“.

ის ფაქტი, რომ ხობში ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე და კიდევ ხუთი გვარდიელი უშუალოდ დახვრიტა ლოთი ქობალიამ, თავიანთი ჩვენებებით დაადასტურეს მოწმეებმა გელა ქაკარავამ, ეთერ ბიწაძემ, ბონდო კუტალიამ, ნატო შენგელაიამ, ტარიელ იოსავამ და სხვებმა...

სენაკზე თავდასხმისას, ქალაქის ცენტრში, ბანდიტურმა ფორმირებებმა ჯავშნიანი მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს „ჟიგულით“ მიმავალ პოლიციის მუშაკებს. მშვიდობიანი მოქალაქე ალექსანდრე ბალუშვილი ადგილზე მოკლეს, პოლიციელები ვიაჩესლავ ნოვიკი და დავით გაბარია დაჭრეს, მათი იარაღი კი გაიტაცეს.

27 ოქტომბერს სამთავრობო ჯარებმა სენაკი გაათავისუფლეს. მაგრამ მეორე დღეს, 1993 წლის 28 ოქტომბერს, ლოთი ქობალიას ბანდებმა, აგრეთვე მის მიერ ოჩამჩირიდან სპეციალურად ჩამოყვანილმა აფხაზმა, ჩეჩენმა და სხვა დაქირავებულმა მკვლელებმა, კვლავ აიღეს ქალაქი. იმავე დღეს სოფელ თეკლათში, სერგო ბჟალავას საცხოვრებელი სახლის ეზოში, დახვრიტეს ოთხი მშვიდობიანი მცხოვრები: დავით გოგიშვილი, ბორის გოგიშვილი, დავით პირტახია და მათთან სტუმრად მყოფი, შინაგანი ჯარის გორის ბატალიონის უფროსის მოადგილე გივი ჭიჭელაშვილი.

ხუთი დღით ადრე კი, 23 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, აბაშის რაიონის სოფელ მარანში, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან ლოთი ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-მაიორ ზურაბ ნაირაშვილის ავტომანქანას. ინტენსიური სროლის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ ზურაბ ნაირაშვილიც და მათთან ერთად მანქანაში მყოფი პირებიც — სამხედრო მოსამსახურეები თამაზ ჟვანია და აკაკი ღომიძე.

ლოთი ქობალიას შეიარაღებულ ფორმირებათა სინდისზეა ხონში შემთხვევით ტყვედ ჩავარდნილი რუსი სამხედრო ტყვების დახვრეტაც...

ინციდენტი ქუჩაში

პროკურორმა ვალერი წერეთელმა თავის სიტყვაში, როდესაც იგი ლოთი ქობალიას მიერ ჟურნალისტ დავით ბოლქვაძისა და კიდევ ხუთი გვარდიელის დახვრეტის ფაქტს გადმოსცემდა, რამდენჯერმე დეტალურად, დაწვრილებით გაიმეორა მოწმეთა ჩვენებები, თვითმხილველთა ფრაზები... ჭირისუფალთათვის ძნელი, აუტანელი იყო ყოველივე ამის მოსმენა, მაგრამ ისინი მაინც ისმენდნენ ჩუმად, — გულმოკლულნი და ცრემლმორეულნი... მათ არც მაშინ ამოუღიათ ხმა, როდესაც განსასჯელთათვის დახვრეტა მოითხოვეს. ადგნენ და ასევე მდუმარედ დატოვეს დარბაზი...

— ჩვენს ადგილას რომ „ზვიადისტები“ ყოფილიყვნენ, ალბათ, ტაშს დაუკრავდნენ, — თქვა დათო ბოლქვაძის დედამ ქალბატონმა ლია ისიანმა. მართალია სამართალმა პური უნდა ჭამოს, დამნაშავემ პასუხი საკადრისად უნდა აგოს, მაგრამ მე ეს შვებას მაინც ვერ მომგვრის. ტაშით კი არა, ღიმილითაც არ შევეგებებივარ პროკურორის მოთხოვნას. დარბაზიდან უსიტყვოდ ჩამოვედი ძირს და იქ დავინახე გამძვინვარებული ლოთი ქობალიას და, რომელიც მთელი ძალით გაჰკიოდა: „რა აქვს ჩემს ძმას დასახვრეტი, ხუნტის წევრებო, თქვენი დროც დადგება!“

მისი ექსცესები პირველი არ არის. ქობალიას დას და კიდევ მის ახლობლებს შეხლა-შემოხლა ადრეც ჰქონდათ მოწმეებთანაც, ჟურნალისტებთანაც... და აი, ახლა, როგორც კი თვალი მომკრა, იმავე წამს მომვარდა და მომახალა: „შე გათახსირებულო, შენ ბანდიტ შვილს შევარდნაძე მაინც მოკლავდა, რას ერჩით ჩემს ძმას?“ ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ მოკლავდა შევარდნაძე ჩემს შვილს? მეორეც, რახან „შევარდნაძე მაინც მოკლავდა“, ამიტომ იგი ლოთი ქობალიას უნდა დაეხვრიტა?

აი, ასეთი ლოგიკისაა არა მარტო ეს აშარი დედაკაცი, არამედ მისი ძმაც — ლოთი ქობალიაც, მაგათი შემხედვარე ქვებს უნდა ვისროდე, მაგრამ... მათ მაინც არაფერს ვერჩი! ისინი კი ერჩიან ჩემს მკვდარ შვილს, ერჩიან მის სახელს. და ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ჩემი შვილის მკვლელობა ძალზე გახმაურდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. დახვრიტეს უდანაშაულო, უიარაღო ჟურნალისტი, რომელიც იხვეწებოდა, არ მესროლოთო! ამ ბრალდებას მათ თავი ვერ დააღწიეს ვერც დაშინებით, ვერც მუქარით, ვერც ცილისწამებით, ვერც ცრუ მოწმეებით, — ამიტომ არიან გამწარებულნი.

ლოთი ქობალიას დამ არ მაკმარა მარტოოდენ ლანძღვა-გინება, გააფთრებით იწევდა საცემრად. პოლიციამ იმარჯვა, თორემ მთლად გამწეწავდა... თუმცა მისი აბდაუბდა წამოძახება და ჩემი მწყობრიდან გამოყვანა ფიზიკურ შეურაცხყოფას აჭარბებდა კიდევ. ყველაფერი ისევ მაგათ სინდისზე იყოს!

თქვა ეს ქალბატონმა ლიამ და აღარ გაუგრძელებია, პირიქით, საუბარი „სხვა თემაზე“ გადაიტანა: — იცით, დათოს ბიუსტის დასადგმელად სკვერი შეარჩიეს, ვაჟა-ფშაველას პროსპექტსა და ქავთარაძის ქუჩის შესაყართან. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი სკვერიაო.

ალბათ, ესეც ცხოვრების წესია, მისი რკინისებური ლოგიკაა — უღირსებს სიცოცხლეშივე თავს ლაფს ასხამენ, ღირსეულებს კი — სიკვდილის შემდეგაც პატივს მიაგებენ!

ბადრი იაშვილი.

ჩოგანი

„დინამო“ — „ბოავიშტა“ 1:0

ევროტურნირებში 24-წლიანი თამაშის მანძილზე კენჭისყრამ თბილისის „დინამოს“ პირველად შეახვედრა პორტუგალიური კლუბი.

მართალია, „ბოავიშტა“ რეგალიებით საგრძნობლად ჩამოუვარდება ამ ქვეყნის ელიტურ გუნდებს — „ბენფიკას“, „პორტუს“ და „სპორტინგს“, მაგრამ ოფიციალურ საერთაშორისო სარბიელზე სისტემატური გამოსვლებით დაგროვებული გამოცდილებითა და პროფესიონალი ლეგიონერებით ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. აღნიშნულ ფაქტორებს დაუმატეთ პორტუგალიური ფეხბურთისათვის დამახასიათებელი ფილიგრანული ტექნიკა, უზადო ინდივიდუალური ოსტატობა და მიხვდებით, როგორ მეტოქესთან მოუწია შერკინება სანახევროდ ჭაბუკებით დაკომპლექტებულ საქართველოს უცვლელ ჩემპიონს.

მით უფრო მეტ წონას იძენს გუშინდელი წარმატება. კი, ბატონო, კონტინენტის პოპულარული საკლუბო ტურნირების სტრატეგიიდან გამომდინარე, შინ პირველ მატჩში მინიმალური ანგარიშით მოპოვებული გამარჯვება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ბევრი ვერაფერი გარანტიაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ნურც წლევანდელი გათამაშების განვლილი ტურების შედეგებს დავივიწყებთ. „მოლდესთან“ და „ტორპედოსთან“ საპასუხო შეხვედრებსაც ხომ ერთბურთიანი მარაგით შეხვდნენ დინამოელები? ალბათ, მიხვდით, რასაც მოგახსენებთ. ნურავის ჰგონია, რომ გადაჭარბებულად ვაფასებდეთ თბილისელთა შესაძლებლობებს. არავითარ შემთხვევაში! უბრალოდ, ფაქტს ვერსად წავუვალთ — როგორც წმინდა საფეხბურთო კომპონენტებში, ისე ჩვენი ფეხბურთისათვის აქილევსის ქუსლად ქცეულ ბრძოლისუნარიანობაში აშკარაა პროგრესი! ეს არის მისასალმებელი, თორემ ნაკლიც რომ ადვილი შესამჩნევია, თუნდაც გამძლეობასა და ფუნქციურ მომზადებაში, ამას არავინ უარყოფს.

ამ გარემოებამ გუშინაც იჩინა თავი. ტაიმნახევრის განმავლობაში მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუდეს მეტოქეს, განსაკუთრებით „ჩამცლელ“ თამაშში, რომელიც შიგადაშიგ უხეშობამიც გადაიზრდა. ორთაბრძოლის ასეთმა ხასიათმა სამი გაფრთხილება (მათ შორის კალაძისათვის — მეორე), მაჭავარიანის ტრავმა და დასკვნით ოც წუთში დაღლილობის გამო ინიციატივის სტუმართათვის გადაბარება მოგვიტანა. საერთოდ კი, აღსანიშნავია ზოიძის, ღობჯანიძის, კერძევაძისა და იაშვილის კარგი თამაში. რაც შეეხება გოგიჩაიშვილსა და ჯამარაულს, მათ „ბოავიშტას“ ჩერნოგორიელმა მწვრთნელმა ზორან ფილიპოვიჩმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფანტასტიკური ოსტატები უწოდა.

ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ ერთადერთი გოლი ჩვენი წამყვანი დუეტის მონაწილეობით გავიდა. საჯარიმოში ჯამარაულის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი 28-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა ზუსტად დაარტყა — 1:0.

მსგავსი სიტუაცია კიდევ ორჯერ შეიქმნა, მაგრამ ბელგიელ მსაჯ სანდრას რეაგირება აღარ მოუხდენია.

იმავე პრესკონფერენციაზე დავით ყიფიანმა პორტუგალიელთა მაღალ დონესთან ერთად ყურადღება სწორედ ტენდენციურ მსაჯობაზე გაამახვილა, რომელიც, მისი აზრით, მთელი ტურნირის მანძილზე შეიმჩნევა დინამოელთა საწინააღმდეგოდ.

სხვათა შორის, გუშინ რამდენიმე ეპიზოდში იღბალი თბილისელთა თანამგზავრად მოგვევლინა. იმედი ვიქონიოთ, რომ ფორტუნა ჩვენს გუნდს არც 29 ოქტომბერს პორტუში გაწირავს.

გია პლატონიშვილი.

ბურთისათვის იბრძვის ლევან კოგიაშვილი. ალექსანდრე კოზორაშვილის ფოტო.



შეტევაზე ვახტანგ ნაცვლიშვილი

„ვითა“ — „ბუდუჩნოსტი“ 104:86

გუშინ, სპორტის სასახლეში კალათბურთში ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვითა“ იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტს“ მასპინძლობდა.

შეხვედრის დასაწყისი სწრაფ ტემპში წარიმართა. თბილისელმა კალათბურთელებმა ინიციატივა მატჩის დებიუტშივე ხელთ იგდეს. ანგარიში ნაცვლიშვილმა გახსნა — 2:0. ამ დღეს ჩვენი გუნდის წევრებმა კარგად ითამაშეს. მატჩის დასაწყისში „ვითას“ შემადგენლობაში გამოირჩეოდა ჩხეიძე, რომელიც შეუდარებელი იყო დაცვაში და პირველივე წუთებში მის აქტივში უკვე სამი „ჩაჩრა“ იყო. ჩხეიძეს კარგად აუბა მხარი შენგელიამ. თუ წინა შეხვედრებში იგი შეტევაში უფრო ინერტული ჩანდა, გუშინდელ მატჩში ენერგიულად და მონდომებით ითამაშა და შედეგად თავის გუნდს 20 ქულა მოუტანა.

ვითელთა სნაიპერს გია სანაძეს მატჩის დასაწყისში ბედი არ წყალობდა, მაგრამ ტაიმის მეორე ნახევრიდან მისი შეჩერება ნამდვილად გაუჭირდათ იუგოსლაველ კალათბურთელებს. გიამ ოთხი ზუსტი სამქულიანის ჩაგდება შეძლო. ტაიმის ბოლოს „ვითას“ გამთამაშებელმა უსტიაშვილმა ორჯერ ზედიზედ შესანიშნავი პასი მიაწოდა მეტოქის ფარქვეშ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ქარაბაკს და მანაც არ გაწბილა თანაგუნდელები. პირველი ტაიმი „ვითამ“ მოიგო 17-ქულიანი სხვაობით—50:33.

მეორე ნახევრის დასაწყისში ყველაფერი აირია, ქართველ კალათბურთელებს ნერვიულობა დაეტყოთ და პირველ ტაიმში მიღწეული სოლიდური უპირატესობა ერთ მომენტში 5 ქულამდე „გაფლანგეს“ — 66:61. ისე გავიდა ექვსწუთნახევარი, „ვითამ“ მხოლოდ ორი ქულის მოპოვება შეძლო, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ საქართველოს ჩემპიონი დროზე მოეგო გონს და მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლო.

შეხვედრის ბოლო მონაკვეთში კარგად მოქმედებდა ნაცვლიშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა „ვითას“ გამარჯვებაში. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მიხეილ ბერუაშვილიც, რომელიც ბესიკ ლიპარტელიანმა შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შეიყვანა მოედანზე და მან დროის მცირე მონაკვეთში შეძლო 9 ქულა მოეტანა თავისი გუნდისათვის. შეხვედრას წერტილი დაუსვა ბოლო წამზე სანაძის მეექვსე ზუსტმა სამქულიანმა — 104:86.

წინა მატჩებისაგან განსხვავებით, ქართველი გულშემატკივრების გასახარად ვითელები თითქმის ყველა საჯარიმოს ზუსტად ასრულებდნენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ჩვენს გუშინდელ მეტოქეზე და საერთოდ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ გუნდმა შეძლო „ლონდონ თაუერზის“ დამარცხება.

ამ შეხვედრაში საკმაოდ იყო უხეშობა, 5 პერსონალური ჯარიმის მიღების გამო მოედნის დატოვება მოუხდა „ვითას“ ოთხ მოთამაშეს — ქარაბაკს, დადიანს, უსტიაშვილს და შენგელიას.

ეს ვითელთა მეორე გამარჯვება იყო ევროპის საკლუბო თასის წლევანდელი გათამაშების ჯგუფურ ტურნირში და კიდევ არის შანსი, რომ „ვითა“ მოხვდეს იმ ოთხ გუნდში, რომლებიც თასისათვის ბრძოლას გააგრძელებენ შემდეგ ეტაპზე.

ამით დასრულდა პირველი წრე. მცირე პაუზის შემდეგ განახლდება ჯგუფური ტურნირი, რომელშიც „ვითას“ ოთხი თამაში ელის სტუმრად. და მხოლოდ ერთი შინ.

იაგო საჯანელი.

ბრალი ედებათ

გამეტებული თანასოფლელი

ბაკურციხეში 43 წლის ალექსანდრე გურგენიძემ ურთიერთშელაპარაკებისას მუცელში დანით დაჭრა თანასოფლელი, 40 წლის თემურ ჯანიაშვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. ა. გურგენიძე გურჯაანის პოლიციამ დააკავა.

ჭოჭუამ ამანათი ვეღარ მიიღო

ბუღით უნდოდა 70 წლის აზიზ ამოევს № 1 საგამოძიებო იზოლატორის 87-ე საკანში მყოფ პატიმარ თ. ჭოჭუას პატივისცემა და ამანათით 15 გრამი ოპიუმი შეეგზავნა, მაგრამ... შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროსა და № 1 საგამოძიებო იზოლატორის თანამშრომლებმა იგი დააკავეს.

თაღლითობით გამდიდრებული

3500 ლარი გამოსძალა ნასამართლევმა, 35 წლის დავით ქოიავამ მეტროპოლიტენ „გოცირიძის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის თანამშრომლებს აკაკი მანჯგალაძესა და ბელა ხუციშვილს.

გასულ დღე-ღამეში

სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით მოხდა 10 დანაშაული. გახსნილია — 9. გაუხსნელი დარჩა ერთი ავტოავარია, რომელიც, სამწუხაროდ, სიკვდილიანობით დამთავრდა. მოხდა ერთი გაუპატიურება — მოძალადე დადგენილია. ასევე გახსნილია ერთი მკვლელობა, სახელმწიფო ქონების ოთხი ქურდობიდან — ოთხივე, ერთი — თაღლითობა, ერთი — მანქანის გატაცება. დაკავებულია ერთი ძებნილი.

შსს პრესცენტრის მასალების მიხედვით.

ამინდი

16 ოქტომბერი

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 8-14, დღისით 17-22, მთაში — ღამით 5-10, დღისით 13-18, მაღალმთაში — ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ღრუბლიანი ამინ წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატ რა ბარში — ღამით 7-12, დღ ით 13-18, მთაში — ღამით 8, დღისით 8-13, მაღალმთაში ღამით 0-5, დღისით 3-8 გრა უსი სითბო.

თბილისში მოღრუბლული ინდია მოსალოდნელი, წვიმა, ს სტი ქარი, ტემპერატურა — ღ მით 10-12, დღისით 16-18 გ დუსი სითბო.

მეუღლე ლამარა პეტრიაშვილი, შვილები ვახტანგი, პაატა, რძლ მარინა, თამარი, შვილიშვილები გიორგი, ვალერი, თორნიკე, ლ ძმა თენგიზი, დები ვერიკო, ჯულიეტა, ცოლისძმები გაიოზი, გუ მი, რძალი იზო ბარიშვილი სიძეები გოდერძი აფციაური, ნოდა ციგრიაშვილი ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რ გარდაიცვალა

გიორგი (გოგი) გრიგოლის ძე მილდისელი

დაკრძალვა 19 X. 2 ს. მჭადიჯვარში (დუშეთის რ.).

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამ ცემლობის სამნეო ნაწილის გამგე

გოგი მილდისელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები თინა, ნინო ხუნდაძეები, რძლები ელენე იმერლიშვილ ეენია, მადონა რამიშვილები, ჩიტო ხუნდაძე, სიძეები მიხეილ ხ გვაძე, დემურ ბერია, გიორგი ფაფაკერაშვილი, დისწული ნათ ქორიძე, ძმისწულები გურამი, ლამარა, ამალია, ჯემალი, რეზო, ლიდა, ანზორი რამიშვილები; მაზლიშვილები ნაზი, ომარი ხუნ ძეები, შვილიშვილები მანანა ბრეგვაძე, ქეთინო იაშვილი, შვილთ შვილები ბორია, ირინა, გიორგი, დავითი იუწყებიან, რომ გარ იცვალა

რაისა თომას ასული რამიშვილი-ხუნდაძე

პანაშვიდი 15, 16, 4 სთ. გამოსვენება 17, 3 სთ, ჭავჭავა პროსპ. 51. I კორპ. IV სართული, ბინა 10.

შვილები კოტე, აზა, მზია, რძალი დალი შავგულიძე, შვილიშ ლები, დედმამიშვილები, სიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალ

ვერა ვლადიმერის ასული გიგაშვილი-კოპაძიძე

დაკრძალვა 19, 3 ს. ქვედა ხაზანში (ზესტაფონის რ.).

ქ. თბილისის № 9 აფთიაქის კოლექტივი ღრმა მწუხარებით ი ყება, რომ გარდაიცვალა ამავე აფთიაქის თანამშრომელი

მარიამ (მარიკა) არჩილის ასული ვეშაპური

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სთავაზობს:

❖ მაღალი ხარისხის საგაზეთო ქაღალდის ნარჩენებს, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ ა-2 და ა-3 ფორმატის გაზეთების, წიგნების, ბროშურების დასასტამბად, საბეჭდ თაბახებად და სხვა;

❖ გაზეთ „საქართველოს რეპუბლიკის“ ძველ, ჩამოწერილ ეგზემპლარებს, დაბეჭდილს მაღალხარისხოვან, დიდი ფორმატის საგაზეთო ქაღალდის 4, 6, 8 გვერდზე.

[illegible]

[illegible] 93-26-19, 99-03-09;
მისამართი — კოსტავას 14, IV სართული.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილი
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბაში ხოშარაულის 29.